ლელო
პალიტრა მედია
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
31 ოქტომბერი **ოთხშაბათი** 2012 №258 (13 864) ფასი 80 თეთრი

# მარცხი, რომელიც დავიმსახურეთ

საქართველო – უკრაინა

**1:3**

0:1 [illegible] (3)
0:2 ბორიაჩუკი (56)
0:3 [illegible] (67)
1:3 [illegible] (76)

# მწარე სიმართლე
# უკრაინას უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლო!




↳3



## იმედი არის: წინ კიდევ ორი მატჩია

ლუკა ზარანდიამ ბურთი უკრაინელთა კარის ძელს მოარტყა

## გიორგი დევდარიანი: ბიჭები გამოუცდელობის გამო გადაჭარბებულად ნერვიულობდნენ • ორ თვეზე მეტია საერთაშორისო ამხანაგური მატჩი არ ჩაგვიტარებია

## რაგბის 17-წლამდელები ისევ ელიტაში!



↳13

### ცხელი ხაზი

გერმანიის თასი

**უსენსაციოდ: იაშვილმა გაიტანა, ბოხუმი მერვედფინალშია** ↳4



ინგლისის ლიგის თასი

**12-გოლიანი თრილერი: რედინგი–არსენალი 5:7**

დამატებით დროში

გურამ ძაგანია



## ქართული სპორტის მატიანე

↳11

# ქართული ფეხბურთი

● საქართველოს XXIII ჩემპიონატი. XII ტურის წინათქმა

**31.10. მარტვილი. ცენტრალური. 15:00**

## მერანი–ზესტაფონი

ურთიერთშეხვედრები:
5 მატჩი, 0 მოგება, 1 ფრე, 4 წაგება. ბურ. 6-15

დისკვალიფიკაცია:
მერანი - არავინ; ზესტაფონი - კაჭკაჭიშვილი

**31.10. თბილისი. დინამო არენა. 17:00**

## დინამო (თბ)–მეტალურგი

ურთიერთშეხვედრები:
20 მატჩი, 8 მოგება, 5 ფრე, 7 წაგება. ბურ. 23-16

დისკვალიფიკაცია:
დინამო: ძარია; მეტალურგი - არავინ

LIVE. რეპორტაჟი I არხზე

**31.10. განმუხური. 15:00**

## ზუგდიდი–ტორპედო

ურთიერთშეხვედრები:
9 მატჩი, 2 მოგება, 2 ფრე, 5 წაგება. ბურ. 4-9

დისკვალიფიკაცია:
ზუგდიდი: დ. ბოლქვაძე; ტორპედო - არავინ

**31.10. ქობულეთი. ჩელე არენა 15:00**

## დინამო (ბთ)–სიონი

ურთიერთშეხვედრები:
33 მატჩი, 14 მოგება, 9 ფრე, 10 წაგება. ბურ. 40-28

დისკვალიფიკაცია: არავინ

**31.10.ივანწმინდა. 15:00**

## ჩიხურა–კოლხეთი

ურთიერთშეხვედრები:
1 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 0 წაგება. ბურ. 2-0

დისკვალიფიკაცია: ჩიხურა - არავინ;
კოლხეთი - მიქაბერიძე

**31.10. მცხეთა. მცხეთა პარკი 15:00**

## ვიტ ჯორჯია–დილა

ურთიერთშეხვედრები:
27 მატჩი, 22 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება. ბურ. 62-18

დისკვალიფიკაცია: არავინ

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 11 | 8 | 2 | 1 | 31 | 8 | 26 | 5 | 5 | 0 | 0 | 22 | 5 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 9 | 3 | 11 |
| 2 | ტორპედო | 11 | 8 | 1 | 2 | 26 | 8 | 25 | 6 | 5 | 0 | 1 | 14 | 3 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 12 | 5 | 10 |
| 3 | დილა | 11 | 7 | 1 | 3 | 18 | 8 | 22 | 7 | 4 | 0 | 3 | 13 | 8 | 12 | 4 | 3 | 1 | 0 | 5 | 0 | 10 |
| 4 | ჩიხურა | 11 | 6 | 2 | 3 | 15 | 11 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 6 | 1 | 10 | 7 | 3 | 1 | 3 | 9 | 10 | 10 |
| 5 | ზესტაფონი | 11 | 5 | 2 | 4 | 12 | 8 | 17 | 6 | 2 | 2 | 2 | 4 | 3 | 8 | 5 | 3 | 0 | 2 | 8 | 5 | 9 |
| 6 | ზუგდიდი | 11 | 4 | 5 | 2 | 12 | 8 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 9 | 4 | 11 | 6 | 1 | 3 | 2 | 3 | 4 | 6 |
| 7 | მეტალურგი | 11 | 5 | 0 | 6 | 8 | 14 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 4 | 8 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 4 | 6 | 6 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 11 | 4 | 2 | 5 | 10 | 14 | 14 | 5 | 1 | 1 | 3 | 5 | 7 | 4 | 6 | 3 | 1 | 2 | 5 | 7 | 10 |
| 9 | მერანი | 11 | 4 | 0 | 7 | 7 | 20 | 12 | 5 | 3 | 0 | 2 | 4 | 6 | 9 | 6 | 1 | 0 | 5 | 3 | 14 | 3 |
| 10 | დინამო (ბთ) | 11 | 2 | 2 | 7 | 10 | 21 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 7 | 7 | 6 | 6 | 0 | 2 | 4 | 3 | 14 | 2 |
| 11 | სიონი | 11 | 1 | 4 | 6 | 9 | 20 | 7 | 6 | 0 | 4 | 2 | 3 | 7 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 6 | 13 | 3 |
| 12 | კოლხეთი | 11 | 0 | 3 | 8 | 4 | 22 | 3 | 6 | 0 | 2 | 4 | 2 | 10 | 2 | 5 | 0 | 1 | 4 | 2 | 12 | 1 |

# ...ვიწყებთ მეორე განყოფილებას!

დღეს მეორე წრე იწყება — გადამწყვეტი ეტაპის დრო დგება ჩვენს ჩემპიონატში; იმედი დავიტოვოთ, რომ პირველი ეტაპის ბოლომდე დაგეგმილი 11-ვე ტური უპრობლემოდაც ჩაივლის და არც უამინდობა შეუშლის ხელს ამა თუ იმ მატჩის ჩატარებას. იმის იმედიც უნდა გვქონდეს, რომ პირველი ეტაპის ფინიშის მოახლოებასთან ერთად მატჩების უმრავლესობა სპორტული პრინციპების სრული დაცვით წარიმართოს; ალარაფერს ვამბობთ მსაჯობაზე: ტური არ გავა, ამ საკითხთან დაკავშირებით რომელიმე გუნდს პრეტენზია არ ჰქონდეს! რალა შორს მივდივართ: ახლახან ჩამთავრებული ტურის თითქმის ყველა შეხვედრის შემდეგ დამარცხებული გუნდის წარმომადგენლები ლიად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას არაობიექტური მსაჯობის გამო. ჰო, ზოგან ადგილობრივი გულშემატკივრების მხრიდან ზეწოლას ახსენებდნენ, ზოგან — არდანიშნულ პენალტს, ზოგან — არჩასათვლელ გოლს, ზოგან — უსაფუძვლო გაძევებას და ასე შემდეგ. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ყველაფერი ხდება პირველი წრის ბოლო ტურში. აი, დღეიდან რომ დაიწყება შემოდგომა-ზამთრის „მარათონი“, პრეტენზიები თუ ბრალდებები მერე ნახეთ! მით უფრო, რომ დღეიდან 22 დეკემბრის ჩათვლით (ანუ, პირველი ეტაპის დამთავრებამდე) გუნდებს 11-11 ოფიციალური მატჩის (სულ „უბრალო“ გადაანგარიშებით, ფაქტობრივად, ყოველ მეხუთე დღეს) ჩატარება მოუწევთ! მაგრამ, მანამდე დღევანდელი მატჩებით მეორე წრეც უნდა დავიწყოთ და... ოქტომბერიც გავაცილოთ!



I წრის მატჩი. მეტალურგი-დინამო. გიორგი მერებაშვილი (მარცხნივ) და ლექსო ინწკირველი
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## ქვლავაც უხერხული მეტოქე?

ტურის ცენტრალური მატჩი თბილისში, ეროვნულ სტადიონზე (უკაცრავად, „დინამო-არენაზე“) გაიმართება: საჩემპიონო სტარტალებული „დინამო“ ბოლო წლების თავის ყველაზე „უხერხულ“ მეტოქეს ეთამაშება. ჰო, ეგრეა — პირველ წრეში რუსთავში მოპოვებული გამარჯვებით დაწინაურდა „დინამო“, თორემ „მეტალურგთან“ (ანუ „ოლიმპთან“) ურთიერთშეხვედრებში სრული თანაფარდობა ჰქონდა. პირველი წრის მატჩიც შემთხვევით არ გვიხსენებია: სწორედ 11 აგვისტოს ჩაატარა კიდეც უმცროსმა **დუშან უჰრინმა** სადებიუტო შეხვედრა საქართველოს ჩემპიონატში და მისი ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამო“ ჯერჯერობით ამართლებს კიდეც სეზონის უმთავრესი ფავორიტის სტატუსს. აქვე, არცთუ უმნიშვნელო დეტალიც: „დინამომ“ ხუთივე საშინაო მატჩი მოიგო და „ტრადიციის“ გაგრძელებას დღესაც შეეცდება. თუმცა, კიდევ ვიმეორებთ, რომ ერთობ უხერხული მეტოქისგან სერიოზულ წინააღმდეგობასაც უნდა ველოდოთ — მით უფრო, რომ ბოლოდროინდელი არასტაბილური ასპარეზობით „მეტალურგმა“, ცოტა არ იყოს, სათუოდ გაიხადა პირველ ექვსეულში მოხვედრა. თუმცა, ყოველივე ამას უამრავი მიზეზი აქვს და რუსთაველთა ახალგაზრდა მწვრთნელს **გიორგი ყიფიანს** (რომლის ხელმძღვანელობითაც „მეტალურგმა“ მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარა) გარკვეული დროც სჭირდება თავისი ახალი გუნდის ასათამაშებლად.

...არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იყო, დღევანდელი მეტოქეების პაექრობას საქართველოს ჩემპიონი რომ უნდა გამოევლინა; ის ორი შეხვედრაც ბევრს ემახსოვრება, „მეტალურგმა“ („ოლიმპმა“) სტუმრად რომ შეძლო „დინამოს“ დამარცხება (2008 და 2011 წლებში): პირველ შემთხვევაში **დავით დევდარიანის** ჩინებული ბურთაობით, მეორე ჯერზე კი **ირაკლი მაისურაძის** ერთიმეორეზე ეფექტური გოლებით თუმცა, ახლანდელ „დინამოს“ ისეთი ტემპი აქვს „აკრეფილი“, წამყვანმა ევროპულმა საბუქმეიქერო კანტორებმა წყვილს უპირობოზე-უპირობო ფავორიტობა მიაკუთვნეს!

## ინტრიგის მოლოდინში

უცნაური სიტუაციაა: დღევანდელ შეხვედრებზე ვსაუბრობთ და ამავე დროს, ყველას მომავალი ტურის უმთავრესი ინტრიგა გვახსენდება! უფრო ზუსტად, ინტრიგაზე მეტი ეთქმის „ტორპედოსა“ და „დინამოს“ მომავალ დაპირისპირებას; თუმცა, ამ სეზონში მართლაც გამორჩეულად მოასპარეზე ქუთათურებმა თავის უშუალო კონკურენტთან არსებული სხვაობა რომ შეინარჩუნონ, დღევანდელი შეხვედრა უნდა მოიგონ. აი, ეს კი, არ დავმალავთ და, **გია გეგუჩაძის** ახალგაზრდული გუნდისთვის იოლი საქმე ვერ იქნება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „დინამოს“ გარდა მხოლოდ „ზუგდიდია“, ამ სეზონში საკუთარ მოედანზე რომ არ დამარცხებულა! ამას გარდა, განმუხურში (სადაც „ზუგდიდი“ საშინაო მატჩებს ატარებს) თამაში ყველა იქ ჩასულ გუნდს უჭირს. ზოგი იმასაც ამბობს, რომ მასპინძელთათვის პირველი ტაიმი თუ „არასასურველი სცენარით“ წარიმართა, შესვენების შემდეგ ყველაფერი რადიკალურად იცვლება და ისევ იმ „ბოროტ ხმებს“ თუ დავუჯერებთ, არნახული ზეწოლით დაშინებული არბიტრებიც მასპინძელთა სასარგებლოდ „ცდებიანო“. არადა, „ზუგდიდს“ ისეთი შემადგენლობა ჰყავს, მსაჯების დაუხმარებლადაც რომ უნდა ჰქონდეს ზედა ექვსეულში მოხვედრის პრეტენზია...

## დახმარება არ გვჭირდება!

ჩემპიონატის მესამე ფავორიტიც სტუმრად თამაშობს, თუმცა, „ტორპედოსგან“ განსხვავებით, აშკარად „მშვიდ გარემოში“ მოუწევს თავისი საჩემპიონო ამბიციების დამტკიცება; გორის „დილაზე“ მოგახსენებთ, კლუბის ისტორიაში, უდავოდ გამორჩეულ და საუკეთესო სეზონს რომ ატარებს და წლევანდელი თასის ფინალისგან (და საერთოდ, ამ გათამაშებისგან) განსხვავებით, „ზემოდან“ დაუხმარებლადაც აგრძელებს შთამბეჭდავ სერიას. დღეიდან „დილას“ სამმატჩიანი გასვლითი მატჩების სერია ეწყება და იმავე „დინამოსა“ თუ „ტორპედოსგან“ განსხვავებით, შედარებით ხელსაყრელი კალენდარიც აქვს; მოკლედ, საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო სეზონის ჩამტარებელ მწვრთნელს **გიორგი დარასელიას** ჩინებული შანსი ეძლევა თავისი დაუმარცხებელი სერია გააგრძელოს. ისე, ერთი მხრივ, „დილას“ ასეთი ასპარეზობა მოულოდნელი არავისთვის უნდა ყოფილიყო: დღესდღეობით ყველაზე დაბალანსებული შემადგენლობა ხომ სწორედ გორელებს ჰყავთ, თანაც „დილა“ სეზონის მსვლელობისას ძლიერდება: ერთმა ახალწვეულმა (**ნათან ჟუნიორმა**) წინა ტურში „დუბლი“ შეასრულა, მეორე (**ლეონარდო** ) — გუშინ წარადგინეს. აქვე, მასპინძლებზეც ვთქვათ: უმაღლესი ლიგის ყველაზე ახალგაზრდული გუნდი მხოლოდ და მხოლოდ ქებას იმსახურებს და ნამდვილად არ არის შემთხვევითი, რომ გამოცდილი სპეციალისტის, **მერაბ კოჭლაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ვეტერინარებს“... ზედა ექვსეულში მოხვედრის პრეტენზია გაუჩნდათ!

დაბოლოს, ამ წყვილის კიდევ ერთ „თავისებურებაზეც“: დღევანდელი მეტოქეების ურთიერთდაპირისპირება 1997-98 წლების სეზონიდან იწყება და უნდა ითქვას, რომ „ვეტერინართა“ უპირატესობა აშკარაზე მეტია!

## ახლები და ძველები

დანარჩენი სამი მატჩის შედეგსაც შეუძლია სატურნირო ცხრილში მეტნაკლები გადაადგილებ(ებ)ის მოხდენა. „ჩიხურა“ და „კოლხეთი“ უმაღლეს ლიგაში ერთმანეთს მეორედ ხვდებიან და სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, წყვილის უპირობო ფავორიტად **სოსო ფრუიძის** დამოძღვრილი საჩხერელთა გუნდი მიიჩნევა.

წინა სეზონთან შედარებით აშკარად შესუსტებულ „მერანსაც“, წესით, დიდი ჯაფა უნდა დაადგეს შეთამაშების გზაზე დამდგარ „ზესტაფონთან“ მატჩში. თუმცა, არც ის დაგვავიწყდეს, როცა წინა სეზონში (თანაც, გადამწყვეტ ეტაპზე) „მერანმა“ უშელავათო ბრძოლა გაუმართა „ზესტაფონს“ (ის მატჩი 4:4 დამთავრდა) და მარტვილში დაკარგული ის 2 ქულა იმერლებს კინალამ ჩემპიონობის დაკარგვად დაუჯდათ...

ახლა კი აუტსაიდერთა პაექრობაზეც: ბათუმის „დინამოც“ და ბოლნისის „სიონიც“ უმაღლესი ლიგის „სტაჟიანი“ წევრები არიან, მაგრამ ამ ბოლო დროს ორივე გუნდს პრობლემები მოეძალა. ზედიზედ ორმა მოგებამ **გია გურულის** გუნდის სატურნირო მდგომარეობა კი გააუმჯობესა, მაგრამ ამას შემდეგ ასევე ზედიზედ ორი მარცხი მოჰყვა. აი, ბოლნისელები კი უკვე ორ თვეზე მეტია თავიანთი საყვარელი გუნდის გამარჯვების მოლოდინში არიან, მაგრამ „სიონი“ წარუმატებლად ასპარეზობას განაგრძობს და უშუალო კონკურენტთან დღევანდელ შეხვედრას ზედიზედ 4 წაგებით ხვდება.

დაბოლოს, ერთ ფაქტზეც: უმაღლეს ლიგაში ბათუმის „დინამოსა“ და „სიონის“ დაპირისპირება 1995-96 წლების სეზონში დაიწყო. ბათუმელთა დღევანდელ შემადგენლობაში კი ერთი ისეთი ფეხბურთელია, 17 წლის წინანდელ „დინამო“-„სიონის“ შეხვედრებში რომ მონაწილეობდა და გოლ(ებ)იც გაჰქონდა: მართლაც უბერებელ **ამირან მუჯირზე** მოგახსენებთ, საქართველოს ჩემპიონატში 38 წლის ასაკშიც ბევრ თავის ახალგაზრდა კოლეგას რომ სჯობია...

**გია ტუხაშვილი**

### II ლიგა

**აღმოსავლეთი ზონა. IX ტური**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-2 (ცხ.) – ფარავანი (ნინოწ.) | 8:1 |
| სასკო-2 (თბილისი) – გაგრა-2 | 1:10 |
| იუსი ბესტი (თბ.) – აბული (ახალქ.) | 4:0 |
| დუშეთი – ქართლი-2011 (გორი) | 1:5 |
| ლაგოდეხი – ლიახვი-2 (აჩაბეთი) | 3:0 |
| საქ. უნივერს. (თბ.) – იბერია (თბ.) | 4:1 |
| ივერია (ხაშური) – ალგეთი-XXI (თბ.) | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქართლი-2011 | 9 | 8 | 1 | 0 | 32-4 | 25 |
| 2. იუსი ბესტი | 9 | 6 | 2 | 1 | 36-11 | 20 |
| 3. ივერია | 8 | 6 | 0 | 2 | 26-14 | 18 |
| 4. სპარტაკი-2 | 9 | 5 | 1 | 3 | 29-17 | 16 |
| 5. საქ. უნივერს. | 7 | 5 | 0 | 2 | 21-10 | 15 |
| 6. დუშეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 23-14 | 15 |
| 7. გაგრა-2 | 9 | 4 | 1 | 4 | 27-21 | 13 |
| 8. ლაგოდეხი | 9 | 4 | 1 | 4 | 18-22 | 13 |
| 9. აბული | 9 | 4 | 2 | 3 | 13-21 | 10 |
| 10. ლიახვი-2 | 6 | 2 | 1 | 3 | 7-10 | 7 |
| 11. ფარავანი | 9 | 2 | 0 | 7 | 7-26 | 6 |
| 12. იბერია | 7 | 1 | 1 | 5 | 8-27 | 4 |
| 13. ალგეთი-XXI | 7 | 1 | 0 | 6 | 8-21 | 3 |
| 14. სასკო-2 | 8 | 0 | 0 | 8 | 11-48 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი თემა

# კიდევ ერთხელ დინამოზე

ამ ჩვენი "დინამოსთვის" ისევ იბრძვიან. "დინამო" საქართველოს ნაკრები ალარაა, მაგრამ მაინც "დინამოა", ისევ ჩვენია, თითქოს ყველასია.

დაახლოებით ათი წლის წინ იყო, რადიო "თავისუფლებას" რომ ვუსმენდი. გულმოდგინე რადიომსმენელი არ გახლავართ, მაგრამ ისე მოხდა, რომ რადიო "თავისუფლებაზე" გადავრთე და რესპონდენტის კარგმა თხრობამ გამიტაცა. ცხადია, აქ ჩემი ამბავი როდია საინტერესო, ყურადღება რესპონდენტის ნათქვამმა მიიქცია, რალაცნაირად, გემრიელად იყო თქმული, ალალად და ამავე დროს პომპეზურად. რესპონდენტი კი **აკა მორჩილაძე** გახლდათ, რომელმაც მოკლედ და ჯიგრიანად ჩამოაყალიბა "დინამოს" მნიშვნელობა. მწერალმა თქვა, რომ საქართველოს ისტორიას ოთხი რამ ქმნიდა: მართლმადიდებლობა, ბაგრატიონთა დინასტია, კახური ღვინო და თბილისის "დინამო".

მორჩილაძე ინგლისური ფეხბურთის ქომაგია და რაც მას ვიცნობ, ერთხელ მოვახერხე მისი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩზე წაყვანა. ინგლისში ფეხბურთი მართლაც უყვართ, საქართველოში კი ტურის ცენტრალურ მატჩზე ათასამდე ქომაგი თუ მოიყრის თავს, როცა შეხვედრა დედაქალაქში იმართება. ეროვნული ნაკრების მატჩზე კი სტადიონი მაშინ ივსება, თუ ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი ან გერმანია გვესტუმრება. ზოგს რომ ჰკითხო, საქართველო მაინც საფეხბურთო ქვეყანაა, რადგან ჩვენ გვყავდა ისეთი "დინამო", რომელსაც მთელ დუნიაზე იცნობდნენ.

დრომ თავისი გაიტანა, ბევრი რამ შეიცვალა. "დინამომ" თითქოს ძველი მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ რადგან საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ნაწილია, მისტიკური ძალა არ დაუკარგავს.

ტურის ცენტრალურ მატჩზე ახლა იმდენი ხალხი დადის, რამდენიც "დინამოს" დუბლების თამაშზე იმ ძველ დროს, როცა "დინამოს" მთელ დუნიაზე ანგარიშს უწევდნენ. მაშინ ხალხი მეტწილად უმცროსი **მიშა მესხის** სანახავად დადიოდა "დინამოს" დუბლების მატჩებზე. ცხონებული **ჯემალ ჩიმაკაძე** კი სხვა რამის გამოც მიდიოდა იქ, "რიჟიკას" უნდა ვიყუროო, ასე ეძახდა მოსკოვის დინამოელ **კირიაკოვს.**

მაშინდელ "დინამოს" ქომაგიც სხვანაირი ჰყავდა. ყმაწვილობა დასავლეთ თუ ჩრდილოეთ ტრიბუნის მეორე იარუსზე იკრიბებოდა საყვირებითა და დროშებით, ისინი სტადიონზე უმცირესობას შეადგენდნენ. მათ მაშინ ფანებს არ ეძახდნენ, თუმცა გამორჩეულები კი იყვნენ "დინამოს" ფანობაში.

იყო ასეთი ჟურნალისტი: **ოთარ ნოზაძე**. კალამი, საქაღალდე, სათვალის ჩარჩოც კი ლურჯი ჰქონდა, "დინამოს" ფერის. მან ძალიან ბევრი ძველი ამბავი იცოდა "დინამოზე". ეს კაცი 90-იან წლებში გავიცანი, ძველი ლელოელი იყო. მისი ნარკვევები "დინამოზე" ერთი ამოსუნთქვით იკითხებოდა. მაშინ ერთიორად ძნელი იყო თავის



გატანა საგაზეთო ჰონორარებით. ბევრ დინამოურ ისტორიას იტევდა მისი ნაწერები, ეს კაცი "დინამოთი" ცხოვრობდა, ამბობდნენ, სახლში კიბის მოაჯირიც კი ლურჯად აქვს შეღებილიო. ნოზაძეს მხოლოდ ფოტოებითაც შეეძლო წიგნის გამოცემა "დინამოს" ისტორიაზე, მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო, ასეთ პროექტს არავინ დააფინანსებდა.

კარგად ილუსტრირებული წიგნი "დინამოს" ისტორიაზე – ასეთი რალაც რომ გააკეთო, კომერციული თვალსაზრისით ვინძლო მომგებიანი არც იყოს, მაგრამ დიდი მნიშვნელობის კი იქნება. ინგლისი და სხვა საფეხბურთო ქვეყნები ალბათ იმითაც გვჯობნიან, რომ იქ ასეთი რალაცების ყადრი და ფასი კარგად იციან.

ბოლოდროინდელ "დინამოს" პატრონი და ლოგოც ბევრჯერ შეეცვალა. რყევებმა ძვრა ვერ უყვესო "დინამოს", ასე კი არა, უფრო პირიქით მოხდა. "დინამოს" კარგი და სტაბილური პატრონი სჭირდება. ეს, ცოტა არ იყოს, ზოგადი განმარტება კი არის, მაგრამ კლუბის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად იქცა მის უახლოეს ისტორიაში.

მორჩილაძის განმარტება კი ალბათ ყოფითიც არის და მწერლურიც, მასში არაფერია ბელეტრისტიკული, "დინამოს" ისტორიას მოხატვაზე უფრო გაფრთხილება სჭირდება. ეს ისეთი სიყვარულია, რომელიც თაობიდან თაობაზე, მამიდან შვილზე გადადიოდა. სწორედ ეს განაპირობებს საფეხბურთო კულტურას, ქვეყნის საფეხბურთო სიძლიერეს. ინგლისშიც ხომ ასე უყვართ საფეხბურთო გუნდები...

**დავით თავართქილაძე**

U 17. შესარჩევი ტურნირი



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# მარცხი, რომელსაც ვერ გავექცეოდით

30.10. თბილისი. მ. მესხი
1 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 1 |
| უკრაინა | 3 |

0:1 ლუჩკევიჩი (3), 0:2 ბორიაჩუკი (56), 0:3 ტრეტიაკოვი (67), 1:3 თევზაძე (76)

| საქართველო 4-3-1-2 | უკრაინა 4-4-1-1 |
|---|---|
| გოშაძე | სოლდატენკო |
| გელაშვილი | კირიუხანცევი |
| მარგველაშვილი | მაკოხონი |
| მალანია | ლუკიანჩუკი |
| ტაბიძე | შტანენკო |
| ხარაიშვილი | ლუჩკევიჩი |
| თევზაძე | კუკსენკო |
| შულაია | ვაჩიბერაძე |
| ც. მესხი | არენდარუკი |
| ზარანდია | კოვალენკო |
| კერძევაძე | ბორიაჩუკი |
| მწვრთნელი გ. დევდარიანი | მწვრთნელი ა. გოლოვკო |

**საქართველო**

46. მესხი – **რ. ჭანტურია**
75. რ. ჭანტურია - **ჩაბრაძე**

*სათადარიგოები: ქურდაძე, ველიაშვილი, გოროზია, ლაშხია, პატარკაციშვილი*

**უკრაინა**

46. კუკსენკო – **იაროვოი**
51. ლუჩკევიჩი – **ტრეტიაკოვი**
63. კოვალენკო - **ორიხოვსკი**

სათადარიგოები: **ბეზრუკი, კაპლიენკო, ზინჩენკო, პოლიუხანიჩი**

გაფრთხილება: **თევზაძე (37), გელაშვილი (53), კირიუხანცევი (57), ტრეტიაკოვი (60), სოლდატენკო (79)**

არბიტრი: **ვ. დიმიტრუ (კვიპროსი)**

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი რაუნდი მარცხით დაიწყო – **გიორგი დევდარიანის** გუნდმა უკრაინასთან ვერაფერი გააწყო და ახლა იმის იმედად ვართ, რომ ჩვენი ნაკრები მდგომარეობას თბილისური ტურნირის დარჩენილ ორ მატჩში გამოასწორებს და ელიტრაუნდის საგზურს მაინც შესწვდება. გუშინ კი, უნდა ვალიაროთ, რომ "მიხეილ მესხზე" კანონზომიერი შედეგი დაფიქსირდა.

უკრაინელებმა სწრაფი გოლის გატანა შეძლეს – ფლანგურ გადაცემას **ვალერი ლუჩკევიჩი** გამოეხმაურა და თავური დარტყმით თავისიანები დააწინაურა.

პირველი ტაიმი საინტერესო და დინამიკური გამოდგა. ვიხილეთ საგოლე მომენტებიც, საიდანაც, სამწუხაროდ, უმრავლესობა სტუმრებმა შექმნეს. ანგარიშის გათანაბრება **ლუკა ზარანდიას** შეეძლო, რომლის დარტყმისგანაც მეტოქე ძელმა იხსნა, უკრაინელთა მიერ შექმნილი სახიფათო ეპიზოდების ჩამონათვალი კი ასეთია:

- უკრაინის ნაკრების კაპიტნის, **ვიქტორ კოვალენკოს** დარტყმა **ოთო გოშაძემ** მოიგერია, ცოტა ხანში კი სტუმრებმა ოდნავ არაზუსტად დაარტყეს;
- **ანდრეი ბორიაჩუკი** მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ გოშაძეს ვერ აჯობა;
- ქართული დაცვის უყურადღებობის შედეგად დასარტყმელ პოზიციაზე **დენის არენდარუკი** აღმოჩნდა, თუმცა საქართველოს ნაკრების კარის დარაჯს ვერც მან აჯობა.

ერთი სიტყვით, პირველ ტაიმში უკრაინელები კომბინაციურ და სწრაფ ფეხბურთს თამაშობდნენ, ქართველებზე მწვავედ უტევდნენ და სულაც არ აპირებდნენ ერთი გოლით დაკმაყოფილებასა და მასპინძლებისთვის ინიციატივის შეგნებულად დათმობას.

იმედი გვქონდა, რომ მეორე ტაიმში მდგომარეობა ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვლებოდა, მაგრამ ამის მაგივრად, უკრაინელთა უპირატესობა კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში გოშაძემ თავისი გუნდი ლუჩკევიჩის დარტყმისგან იხსნა, ტაიმის შუაწელში კი უკვე ნათელი გახდა, რომ ამ მატჩში ქულის მოპოვებაც არ გვეწერა. 56-ე წუთზე ბორიაჩუკის ზუსტი თავურით უკრაინელები ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ, 67-ეზე კი შეცვლაზე შესულმა **მაქსიმ ტრეტიაკომა** თავისიანების უპირატესობა კიდევ უფრო სოლიდური გახადა.

73-ე წუთზე არენდარუკის ძლიერი დარტყმისგან საქართველოს ნაკრები ხარიხამ იხსნა, მატჩის მიწურულს კი **გიორგი თევზაძემ** თავური დარტყმით პრესტიჟის გოლის გატანა შეძლო. ბოლო საინტერესო მომენტი **ლუკა ზარანდიას** არაზუსტი დარტყმა იყო.

დასაწყისი ცუდია, მაგრამ იმედი დავიტოვოთ, რომ ლუქსემბურგსა და შოტლანდიასთან მატჩში საქართველოს ნაკრები უფრო ხარისხიან და რაც მთავარია, შედეგიან თამაშს შემოგვთავაზებს.

**მატჩის შემდეგ**

**გიორგი დევდარიანი** (საქართველო): "მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა და უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეეძლო. შესაძლოა, ჩვენი ბიჭები გამოუცდელობის გამო გადაჭარბებულად ნერვიულობდნენ. ცოტნე მესხი თამაშის სრულად ჩასატარებლად მზად არ არის და ამიტომაც შევცვალე. ფაქტია, რომ ორ თვეზე მეტია, საერთაშორისო ამხანაგური მატჩი არ ჩაგვიტარებია".

**ალექსანდრ გოლოვკო** (უკრაინა): "საქართველოს ნაკრები შესწავლილი გვყავდა და ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია სათანადოდ გამოვიყენეთ. სწრაფი გოლის გატანით ჩემმა ფეხბურთელებმა მღელვარება გადალახეს და დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს".

**შოტლანდია–ლუქსემბურგი 5:2**

30.10. თბილისი. ბასა. 100 მაყურებელი

**1:0 მუირჰედი (5), 2:0 მუირჰედი (40), 3:0 მუირჰედი (57. პენ.), 4:0 მაკმულანი (64), 4:1 საკრასი (68. პენ.), 4:2 მანგენი (79), 5:2 სინამონი (80)**

შოტლანდია: **კელი, სინამონი, სუტარი, ბოროვმენი, უოტერსი, უელში (57. დონელი), მაკმულანი, ჰენდერსონი (66. ბიერსი), მუირჰედი, ჰარპერი (57. სტორი), სტონი.**

მწვრთნელი: **დ. გორე**

ლუქსემბურგი: **რულე, კოლკესი (33. ჰაკიმი), ვეიგა, პერეირა, ვარელა, ფილიე, ალვერდი, საკრასი, პინტუ (63. მანგენი), შვიტცი, ტილი (70. შოოსი).**

მწვრთნელი: **მ. ბაუმი**

გაფრთხილება: **კოლკესი (19), მაკმულანი (40), ვარელა (58)**

არბიტრი: **ჯ. კაზანოვა (სან მარინო)**

■ ■ ■

წყვილის ფავორიტმა შოტლანდიამ დაგეგმილი სამი ქულა საკმაოდ იოლად მოიპოვა და ჯგუფის სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა. ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" გამართული მატჩის გმირი ბრიტანელთა ფორვარდი **რობი მუირჰეიდი** გახდა, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შოტლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 5-2 | 3 |
| 2. უკრაინა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| 3. საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |
| 4. ლუქსემბურგი | 1 | 0 | 0 | 1 | 2-5 | 0 |

**1 ნოემბერი**

შოტლანდია-უკრაინა
ლუქსემბურგი-საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ქართული ფეხბურთი

## გურია



„ლელოში“ გამოქვეყნებული წერილის (საფეხბურთო კლუბი „გურია“ იშლება?) შემდეგ სატელევიზიო სიუჟეტები გააკეთეს წამყვანმა ქართულმა ტელეკომპანიებმა. როგორც ცნობილია, „გურიას“ ფეხბურთელებს 2 თვის ხელფასი არ მიუღიათ და 1-ელ ნოემბრის შემდეგ თამაშზე გასვლას არ აპირებენ. შეგახსენებთ, რომ ამჟამად კლუბი პირველი ლიგის “ა” ჯგუფში პირველ ადგილზეა და 1-ელ ნოემბერს თბილისში ერთ-ერთ ლიდერ სტუ-ს ეთამაშება.

„ლელო“ კომენტარისთვის „გურიას“ საუკუნის ფეხბურთელსა და ლეგენდარულ კაპიტანს, ლანჩხუთის მაჟორიტარ თემურ ჩხაიძეს დაუკავშირდა:

# თემურ ჩხაიძე: სახლიც რომ გავყიდო, დანაპირები უნდა შევასრულო

**- ბატონო თემურ, „გურიასთან“ დაკავშირებით გვაინტერესებს თქვენი პოზიცია - კლუბს ფინანსური პრობლემები აქვს და დაშლის საფრთხის წინაშე დგას.**

- ამ ეტაპზე ვერაფერს მოვახერხებ. წესით და რიგით, კლუბს ბოლომდე იმან უნდა მიხედოს, ვინც აქამდე გვერდში ედგა და პატრონობდა და უნდა ითქვას, რომ კარგად პატრონობდა. შუა გზაზე მიტოვება გამართლებული არ იქნება.

**- თქვენ, ალბათ, ექსგამგებელ გიორგი გოგუაძეს გულისხმობთ... ის ხომ ამჟამად არ მუშაობს და სახლშია...**

- დიახ, მაგრამ მას ხომ სახლიდან არ მოჰქონდა ფული? ბიუჯეტში როცა ჰქონდათ, წესით, წლის ბოლომდე უნდა იყოს გათვლილი...

**- ვიცით, რომ მთლიანი სეზონის ხარჯები არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში...,**

- ძალიან ცუდია, თუ ასე იყო... მაქსიმალურად უნდა ეცადონ, ეს გამოასწორონ და თუ ამ წრეს ჩაამთავრებინებენ გუნდს, ძალიან კარგ საქმეს გააკეთებენ. მერე კი ჩვენ აუცილებლად მივხედავთ, ამის თაობაზე მაქვს ბატონი ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა. როცა დაველაპარაკები ამის თაობაზე ჩვენი კოალიციის ლიდერს, აი შემდეგ ჩავერთვებით. მანამდე ვერაფერს შევძლებ. მე რომ ფეხბურთელს დავპირდები, სახლიც რომ გავყიდო, დანაპირები უნდა შევასრულო. კარგად ვიცი ფეხბურთელის სიტუაცია, როცა მას უგვიანებენ ანაზღაურებას.

■ ■ ■

*ჩვენი ინფორმაციით, ლანჩხუთის მიმდინარე წლის ბიუჯეტი დეფიციტურია და დღეის მდგომარეობით ვერანაირად ვერ მოახერხებს არათუ კლუბის, არამედ სრულად მიმდინარე ხარჯების დაფარვას. რა გამოსავალს იპოვიან კლუბისა და რაიონის ხელმძღვანელები, წინასწარ ამის თქმა ძნელია. მანამდე კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გამოსავალი აუცილებლად და უმოკლეს დროშია მოსანახი, რათა წარმატებულად მოასპარეზე კლუბს პრობლემები არ შეექმნას.*

**მამუკა ქანთარია,**
ლანჩხუთიდან

## პრეზენტაცია



ფოტო: fcdila.ge

# დილა და ლეონარდო

გორის “დილამ“ კიდევ ერთ ბრაზილიელ ფეხბურთელთან გააფორმა კონტრაქტი. 20 წლის ნახევარმცველი **რამოს დოს სანტოს ლეონარდო** შიდა ქართლის კლუბში მიმდინარე სეზონის ბოლომდე ითამაშებს, შემდეგ კი, მხარეების სურვილის შემთხვევაში, “დილას” კონტრაქტის გახანგრძლივების უფლება გააჩნია.

დოს სანტოსი კლუბმა მედიას გუშინ საგურამოში, “ლოკომოტივის” საწვრთნელ ბაზაზე წარუდგინა. დოს სანტოსის “დილაში” 80–ნომრიანი მაისურა გადასცეს.

*“ბელარუსში მეორე თავდამსხმელი ვიყავი და იმედია, გორის “დილასაც” ამ პოზიციაზე გამოვადგები. აქაური პირობები, გარემო და გუნდელები მომეწონა. ჩემს მეგობარ ჟუნიორს კარგი დებიუტი ჰქონდა და იმედია, მეც ასე მოვახერხებ თავის გამოჩენას”* – თქვა დოს სანტოსმა.

**ზურაბ დალაქიშვილი**, კლუბის დირექტორი: *“ბრაზილიელი ფეხბურთელი “დილას” მორიგი შენაძენია. დოს სანტოსი თავისუფალი აგენტის სტატუსით სეზონის ბოლომდე შემოგვიერთდა და 30 მაისამდე დაგვეხმარება. ქართულ ფეხბურთს ჰაერივით სჭირდება ხარისხიანი ლეგიონერები, რადგან ძლიერი გუნდები ეროვნული ჩემპიონატისა და ჩვენი ფეხბურთის განვითარების საფუძველი უნდა გახდეს”.*

ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველი საქართველოში ოქტომბრის დასაწყისში ჩამოვიდა, მაგრამ “დილაში“ მის ჩარიცხვას ფორმალური მხარის მოგვარება აბრკოლებდა –საჩემპიონატო განაცხადში შესაყვანად, დოს სანტოსი ფიფადან ნებართვას ელოდა.

მან კარგად იცის რუსული, რადგან ბოლოს მინსკის “დინამოში” თამაშობდა და ინტერვიუებსაც უპრობლემოდ იძლეოდა. ის ორინსიუს “ატლეტიკოს” საფეხბურთო სკოლის გაზრდილია, “მარილიას” ახალგაზრდულ კლუბში სან პაულუს შტატის ჩემპიონატში თამაშობდა.

პროფესიონალური კარიერა ორინსიუს “ატლეტიკოში” დაიწყო, საიდანაც 2010 წელს მინსკის “დინამოში” ბრაზილიაში მოღვაწე ქართველი სპეციალისტის, **გოჩა ალადაშვილის** რეკომენდაციით მოხვდა. მაშინ ალადაშვილმა რუსთავის “ოლიმპში” ჩაშლილი ბრაზილიური პროექტი მინსკის „დინამოში“ განახორციელა.

დოს სანტოსი ბელარუსის ყველაზე ტრადიციული კლუბში 2 წელი თამაშობდა, 30 შეხვედრაში მეტოქეთა კარი 6-ჯერ აილო და 2 საგოლე გადაცემა გააკეთა. წლეულს მინსკის “დინამოს” ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ პროტასოვმა** აივალწუნა და იძულებული გახდა, კლუბი დაეტოვებინა. 4 ივლისს კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტა და თავისუფალი აგენტი გახდა.

**გიორგი დარასელიას** განვრთნილები ეროვნული ჩემპიონატის მორიგ მატჩს დღეს, მცხეთაში, თბილისის “ვიტ ჯორჯიასთან” გამართავენ. სავარაუდოდ, ლეონარდოს დებიუტი სწორედ ვეტერინარებთან შედგება.

**მერაბ მამულაშვილი**

## ლეგიონერები


ჯანო ანანიძე

# იაშვილისა და ცხადაძის გოლები

გერმანიის თასის მეთექვსმეტედფინალში “ბოხუმმა” სტუმრად “ჰაველსე” 3:1 დაამარცხა. ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი გოლით შეიტანა **ალექსანდრე იაშვილმა**, რომელმაც მატჩის 30-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. ვეტერანმა ქართველმა ფორვარდმა 85-ე წუთზე გაფრთხილება მიიღო, შეხვედრის მინურულს კი შეცვალეს. მეორე ბოხუმელი, **ნიკოლოზ გელაშვილი** სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

რუსეთში თასის მერვედფინალური მატჩები გაიმართა. ორი შეხვედრა, სადაც ქართველების გუნდები მონაწილეობდნენ, მათთვის წარუმატებლად დასრულდა. მოსკოვის “სპარტაკი” “როსტოვს” ესტუმრა. შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ, 0:0 დასრულდა, მატჩისშემდგომ პენალტებში კი “როსტოვმა” 3:2 მოიგო. “სპარტაკის” მიერ გამოყენებული ორი თერთმეტმეტრიანიდან ერთი **ჯანო ანანიძის** ანგარიშზეა, რომელმაც მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

კრასნოდარულ დერბიში “კრასნოდარი” “ყუბანთან” 0:1 დამარცხდა, თუმცა “კრასნოდარის” განაცხადში არც **ალექსანდრე ამისულაშვილი** ყოფილა და არც – **ნუკრი რევიშვილი**.

აზერბაიჯანულ პრემიერლიგაში მორიგი გოლი გაიტანა **ბაჩანა ცხადაძემ**. მისმა “ინტერმა” შინ “ქიაფაზს” 3:1 სძლია, ქართველმა თავდამსხმელმა კი 58-ე წუთზე მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ცხადაძის მსგავსად, “ინტერის” ძირითადში იყვნენ **გიორგი ლომაია** და **ილია კანდელაკი**, ხოლო **რევაზ თევდორაძე** და **ვალერი აბრამიძე** ბაქოელთა სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. კიდევ ერთი ინტერელი **გიორგი ადამია** კვლავ ტრავმირებულია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ალექსანდრე იაშვილმა ანგარიში გაათანაბრა

## ძველი ახალი იდეა

# რა სარგებლობა მოაქვს მეორე ნაკრებს?

**მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის იმედიანი დასაწყისისა და ცუდი გაგრძელების შემდეგ, საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ახალგაზრდა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ მეორე ნაკრების ჩამოყალიბების იდეა კვლავ წამოაყენა.**

*“ჩემი აზრით, მეორე ნაკრების ჩამოყალიბება აუცილებელია. ამაში ვხედავ ეროვნული გუნდის გაძლიერების რესურსს და დროა, ამ თემაზე სერიოზულად დავფიქრდეთ. ამის შესახებ ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვლაპარაკობდით მე, ზაზა ზამთარაძე და დათო მუჯირი, რომ მეორე ნაკრებში უნდა მიიწვიონ ყველა ის მოთამაშე, რომლებიც ეროვნული ნაკრებისთვის ხვალ-ზეგ საინტერესოები გახდებიან“.*

### რისთვის არის სასურველი მეორე ნაკრები?

*„ფეხბურთელები კონკურენციას იგრძნობენ, ეროვნულის ხელმძღვანელობა კი საინტერესო მოთამაშეებს დააკვირდება და დიდი ალბათობით, სასურველ მოთამაშეს შეარჩევს. ჩვენი მოგონილი ხომ არ არის, ასეთი რამ გააკეთეს გერმანიაში, თურქეთში, დანიაში, შვედეთში და შედეგიც აქვთ. იქნებ, კონკურენციაც გაიზარდოს? ჩვენ თუ ვიძახეთ, მეტი ფეხბურთელი არ გვყავსო, არაფერი გამოვა. ერთწლიანი პროექტი გააკეთონ და ვნახოთ, იქნებ, ძალიანაც სასარგებლო პროექტი აღმოჩნდეს? საქართველოს ჩემპიონატში კი საინტერესო ფეხბურთელები ნამდვილად არიან - ჯაბა დვალი, რეზო გეწაძე და ერთხელ რატომ არ უნდა მივცეთ შანსი? შეკრიბონ ეს მეორე ნაკრები და ერთხელ “ბასაზე” ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგურად ათამაშონ. იქ თვალნათლივ გამოჩნდება, ვის რა შეუძლია. და თუ იმ მეორე ნაკრებიდან ვინმე ეროვნულში გამოძახებულს აჯობებს, რატომ არ უნდა ათამაშონ?”* – ამბობს კიკნაძე

ცხადია, საინტერესოა, რას წარმოადგენს მეორე ნაკრები, რომლის ჩამოყალიბების აუცილებლობაზეც წლების წინ **რევაზ ძოძუაშვილი** ლაპარაკობდა. შემდეგ ეს პროექტი ჯერ **იოჰან ბოსკამპმა** განახორციელა, რომელმაც ეროვნულ სტადიონზე კანდიდატების ორი გუნდი შეახვედრა და იქიდან რამდენიმე მოთამაშე ეროვნულში დააწინაურა.

მერე იგივე განახორციელა **ალენ ჟირესმა**, რომელმაც კანდიდატების საჩვენებელი თამაში ავლაბარში, “ოლიმპის” აწ უკვე დანგრეულ სტადიონზე მოაწყო და საინტერესო მოთამაშეები მაშინაც გამოჩნდნენ.

ბოლო მცდელობა **ვაჟა ჟვანიას** ეკუთვნის, რომელმაც “მიხეილ მესხის” სტადიონზე საქართველო - B ლეგიონერებს დააპირისპირა. მაგრამ ფინანსებისა და ფედერაციის მხრიდან სერიოზული სურვილის არქონის გამო, იდეა ველარ განვითარდა.

### გერმანული პრეცედენტი

მსგავსი პრეცედენტები მართლაც არსებობს და საკმაოდ ქმედუნარიანი გამოდგა. მაგალითად, გერმანიის მეორე ნაკრები (სხვაგვარად, B-ნაკრები, A2-ნაკრები) 1951 წელს ჩამოყალიბდა და მიზანს (ახალგაზრდა, საინტერესო მოთამაშეების დაწინაურება) მიაღწია. გუნდმა სულ 69 შეხვედრა ჩაატარა და ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს 5 მოთამაშე, რომლებიც 1954 წელს მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. ეს პროექტი 1980 წლამდე გაგრძელდა.

მეორედ B-ნაკრები 1999-2001 წლებში არსებობდა, რადგან გერმანელებმა მტკივნეულად აღიქვეს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის 1/4-ფინალში ხორვატიასთან გამოვარდნა და სელექცია გააძლიერეს. მერე იყო 2002-2006 წლის პროექტი. თოთოეულ ამ ნაკრებში თამაშობდნენ შემდგომში ეროვნულ ნაკრებში მიწვეული ფეხბურთელები.

### ბრიტანული ვარიანტი

ინგლისში მეორე ნაკრების ჩამოყალიბების იდეა თავად ნაკრების მთავარ მწვრთნელს, სახელგანთქმულ **უოლტერ უინტერბროტს** ეკუთვნის. გუნდმა პირველი შეხვედრა 1947 წლის 21 თებერვალს შვეიცარიის ნაკრებთან ჩაატარა. მას შემდეგ მეორე ეროვნული შეკრება მთლიანად ინგლისელთა მთავარი მწვრთნელების სურვილზე იყო დამოკიდებული. **ალფ რამსეი** და **დონ რივი** იდეით არ დაინტერესდნენ, **რონ გრინვუდი** და **ბობი რობსონი** კი კანდიდატებს რეგულარულად ათამაშებდნენ. რობსონის ამ კრებულიდან რამდენიმემ ეროვნულში ითამაშა, მათ შორის, გიუმაჟმა ვარსკვლავმა **პოლ გასკოინმაც**.

რობსონის შემდეგ ინგლისელები გუნდს თითქმის აღარ იწვევდნენ, **სვენ-გორან ერიქსონმა და სტივ მაკლარენმა** მხოლოდ თითო-თითო შეხვედრა გამართეს, **ფაბიო კაპელომ** კი პროექტზე უარი განაცხადა.

ანალოგიური გუნდი შოტლანდიელებს 1952-2009 წლებში ჰყავდათ და მას მომავლის ნაკრებს უწოდებდნენ, 2002/03 და 2005/06 წლებში მეორე ნაკრებების ტურნირშიც მონაწილეობდნენ და ბევრი ცნობილი მოთამაშე დააწინაურეს.

### სხვები...

არსებობს თურქეთის, შვედეთის, დანიის მეორე ნაკრებები. ეს არ არის მუდმივმოქმედი გუნდი, მაგრამ მაშინ ყალიბდება, თუ ეროვნულ ნაკრებს საკადრო პრობლემები ექმნება. ცნობილია, რომ დანიური “დინამიტი” სწორედ მეორე გუნდის ბაზაზე ჩამოყალიბდა.

რუსეთში მეორე ნაკრები პირველად 1994-2003 წლებში არსებობდა. გუნდი 2011 წლის 1-ელ ივლისს აღადგინეს და სწორედ ეს ვარიანტია ჩვენთვის საინტერესო: მისი მიზანი ნაკრებში იმ პერსპექტიული მოთამაშეების გასინჯვაა, რომლებიც 2018 წელს რუსეთში ჩასატარებელი მსოფლიო ჩემპიონატზე ეროვნულის კანდიდატებად განიხილებიან.


გიორგი კიკნაძე

თითოეული ამ პროექტის ამოცანა ამა თუ იმ კონკრეტულ პერიოდში სელექციაში ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის ხელშეწყობა იყო და მიზანმა თითქმის ყველგან გაამართლა. ბოლოს და ბოლოს, ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებას კიდევ უფრო აცოცხლებდა.

ცხადია, ჩვენთან მეორე ნაკრების ჩამოყალიბება გაცილებით ძნელია, ვიდრე ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში, რადგან ჩვენი ჩემპიონატი ისეთი საინტერესო და ძლიერი არ არის, როგორიც ბუნდესლიგა, ინგლისური, შოტლანდიური და რუსული პრემიერლიგები, თურქული და დანიური სუპერლიგები და მოთამაშეთა არჩევანიც გაცილებით მწირია. უცხოეთში მოთამაშე ქართველების ჩამოყვანაც ძალიან რთული იქნება, რადგან ეროვნულ ნაკრებში გამოძახების გარეშე, კლუბები მათ არ გამოუშვებენ.

თუმცა, წელიწადში ორჯერ ამ გუნდის შეკრება და საჩვენებელი შეხვედრის ჩატარება ურიგო და შეუძლებელი არ ჩანს. მით უფრო, რომ **თემურ ქეცბაია** აცხადებს, მიმდინარე შესარჩევი ეტაპი შემდეგი ციკლისთვის გუნდის ჩამოსაყალიბებლად უნდა გამოვიყენოთო.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. IX ტურის წინ

# იუვემ კვლავ პირი ამოიფარა

## ნაპოლი კავანის გარეშე

**პალერმო-მილანი 2:2**

**პალერმო (3-4-2-1):** უიკანი – მუნიოსი, დონატი (6. ფონ ბერგენი), მანტოვანი - მორგანელა, რიოსი, ბარეტო, გარსია (68. სეტო) – ილიჩიჩი ბრიენცა (57. ჯორჯი) – მიკოლი.

**მილანი (3-5-2):** ამელია – მექსე, ბონერა, იეპესი (54. პაცინი) – აბატე, მონტოლივო, ფლამინი (46. ემანუელსონი), ნოჩერინო, კონსტანტი - ელ შაარავი, პატო (53. ბოიანი).

**გოლები:** 1:0 მიკოლი (45-პენ.), 2:0 ბრიენცა (47), 2:1 მონტოლივო (69), 2:2 ელ შაარავი (80).

**გაფრთხილება:** გარსია, სეტო – მექსე, ბონერა, ფლამინი, კონსტანტი.

**კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 11-11(4-8); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 28 000

### დღეს

**ატალანტა-ნაპოლი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ჩიგარინი, პელუზო (ატალანტა).

**ტრავმა:** ფერი, რადოვანოვიჩი, ფერეირა პინტუ, კაპელი - ცუნიგა.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 24 თამაში: +7=10-7, (25-22)

**კალიარი-სიენა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლარონდო, ვიტიელო, ტერცი, ბელმონტე (სიენა).

**ტრავმა:** პინილია - მარტინესი, როდრიგესი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 22 თამაში: +5=8-9, (19-26)

**კიევო-პესკარა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ვაჩეკი (კიევო).

**ტრავმა:** სკუიცი, პალოსკი, სარდო, ცეზარი - კრეშენცი, საველონი, ტერლიცი, ჯონატასი, ბრუგმანი.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 8 თამაში: +1=3-4, (8-13)

**ინტერი-სამპდორია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ჟუან ჟესუსი (ინტერი).

**ტრავმა:** კოუტინიო, ობი, მარიგა, სნეიდერი, კივუ, სტანკოვიჩი - პოცი, კრსტიჩიჩი, მასკარა, მაქსი ლოპესი.

**ბოლო 6 მატჩი**

+5=0-1 +0=2-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 32 თამაში: +14=12-6, (45-31)

**იუვენტუსი-ბოლონია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ვიდალი - პორტანოვა, დიამანტი.

**ტრავმა:** პერესი, კურჩი, სტოიანოვიჩი, ნატალი, აკვაფრესკა, ხიმენესი (ბოლონია).

**ბოლო 6 მატჩი**

+5=1-0 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 29 თამაში: +19=8-2, (47-25)

**ლაციო-ტორინო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** სკული, ლედესმა, ერნანესი - სანსონე.

**ტრავმა:** სტანკევიჩუსი, რადუ, ედერსონი, მარკეტი - სუჩი, სანტანა.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 20 თამაში: +9=7-4, (32-18)

**პარმა-რომა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ტაჩტიდისი, გუბერტი (რომა).

**ტრავმა:** სანტაკროჩე, გალოპა - ბალცარეტი, ლობონტი, ტადეი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 38 თამაში: +5=9-24, (28-70)

**უდინეზე-კატანია 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ლეგროტალიე, მარკეზე (კატანია).

**ტრავმა:** მურიელი, ბასტა, ბენეტია, ბადუ, პასკუალე, პინცი - კეკო, ტერაჩანო, აუგუსტინი, შაკა.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 14 თამაში: +7=2-5, (20-15)

### ხვალ

**ჯენოა-ფიორენტინა 23.45**

**ტრავმა:** როსი, ანსელიმო, ფერონეტი, ვარგასი, ბორიელო - კამპორეზე.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +2=3-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 15 თამაში: +3=6-6, (16-23)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 9 | 8 | 1 | 0 | 20-4 | 25 |
| 2. ნაპოლი | 9 | 7 | 1 | 1 | 15-5 | 22 |
| 3. ინტერი | 9 | 7 | 0 | 2 | 16-7 | 21 |
| 4. ლაციო | 9 | 6 | 0 | 3 | 15-10 | 18 |
| 5. ფიორენტინა | 9 | 4 | 3 | 2 | 11-7 | 15 |
| 6. რომა | 9 | 4 | 2 | 3 | 20-16 | 14 |
| 7. პარმა | 9 | 3 | 3 | 3 | 11-12 | 12 |
| 8. უდინეზე | 9 | 3 | 3 | 3 | 11-13 | 12 |
| 9. მილანი | 10 | 3 | 2 | 5 | 12-12 | 11 |
| 10. კალიარი | 9 | 3 | 2 | 4 | 6-11 | 11 |
| 11. კატანია | 9 | 3 | 2 | 4 | 9-14 | 11 |
| 12. სამპდორია | 9 | 3 | 2 | 4 | 10-11 | 10 |
| 13. ტორინო | 9 | 2 | 4 | 3 | 10-8 | 9 |
| 14. ჯენოა | 9 | 2 | 3 | 4 | 10-13 | 9 |
| 15. ატალანტა | 9 | 3 | 2 | 4 | 7-12 | 9 |
| 16. პალერმო | 10 | 1 | 5 | 4 | 8-13 | 8 |
| 17. პესკარა | 9 | 2 | 2 | 5 | 6-15 | 8 |
| 18. ბოლონია | 9 | 2 | 1 | 6 | 10-14 | 7 |
| 19. კიევო | 9 | 2 | 1 | 6 | 7-16 | 7 |
| 20. სიენა | 9 | 2 | 3 | 4 | 9-10 | 3 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*




“იუვენტუსი” მორიგი ტრიუმფის მოლოდინში



ედინსონ კავანი ტრავმირებულია

ბომბარდირები: 7 – ელ შაარავი (მილანი); 6 – კავანი (ნაპოლი), კლოზე (ლაციო); 5 – ჯილარდინო (ბოლონია), იოვეტიჩი (ფიორენტინა), ერნანესი (ლაციო), კასანო (ინტერი), ოსვალდო (რომა).

### ბოიკოტი მედიას

“იუვენტუსის” სიცილიაზე სტუმრობა სკანდალური გამოდგა - ტურინულმა გრანდმა მოიგო, მაგრამ ვაი ასეთ მოგებას... მატჩის არბიტრებმა სიცილიელებს წესების დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალეს, ტურინელებს კი პირიქით, წესების დარღვევით გატანილი ჩაუთვალეს. მოკლედ, “კატანია“ აშკარად დაიჩაგრა, თუმცა კუნძულელთა ჩაგვრაზე მეტად აქ “იუვეს” დახმარების თემაა აქტუალური. პრესაში უკვე ისიც დაიწერა, რომ არსებული ვითარება “კალჩოპოლამდე” პერიოდს ჰგავს, როდესაც არბიტრები გამუდმებით “ვეკია სენიორას” სასარგებლოდ ცდებოდნენ. ყოველივე ამან ტურინელთა აღშფოთება გამოიწვია და შედეგად, მათ ბოიკოტი გამოუცხადეს მასმედიას. თუმცა, ბოიკოტამდე ბოლო კომენტარი კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** გააკეთა:

*“მსაჯები ხშირად ცდებიან და ამ შეცდომებს ხან ერთი გუნდის ინტერესები ეწირება, ხან მეორის. ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით, რომ არბიტრები “იუვეს” ეხმარებიან და ამის ხარჯზე ვაღწევთ წარმატებას. კი ბატონო, გასულ სეზონში ყველაზე ხმაურიანი ეპიზოდი სალი მუნტარის ჩაუთვლელი გოლი იყო და მაშინაც ჩვენი მეტოქე დაზარალდა, მაგრამ მთლიანი ჩემპიონატის ბედს ერთი და ორი მომენტი ნამდვილად ვერ გადაწყვეტს. ვიყოთ ობიექტურები, “იუვენტუსი” დღეს საუკეთესოა და იმიტომ უდგას სატურნირო ცხრილს სათავეში. გარკვეული დროით, ჩვენ ვწყვეტთ თანამშრომლობას მედიასთან, რათა გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს აბსურდულ კითხვებზე არ მოუწიოთ პასუხის გაცემამ. არ გვსურს, თავი ვიმართლოთ იმაზე, რაც ჩვენი ბრალი არ არის”.*

“იუვენტუსის” მესვეურებმა პრესას ბოიკოტი გამოუცხადეს და შესაბამისად, ტურინელთა მხრიდან არც წინასამატჩო კომენტარები გაკეთებულა. ‘იუვენტუსი” “ბოლონიას” უმასპინძლებს და შეეცდება მორიგი სამი ქულა ჩაიწეროს აქტივში. ამჯერად, ტურინელები **სებასტიან ჯოვინკოსა** და **ალესანდრო მატრის** ტანდემით შეუტევენ, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება.

### კავანის გარეშე

“კიევოსთან” “ნაპოლიმ” **ედინსონ კავანის** გარეშე ითამაშა, რაც ნეაპოლურ გუნდს ძალიან დაეტყო. სამხრეთელები მთელი 90 წუთის განმავლობაში დასტრიალებდნენ ვერონელთა საჯარიმოს, მაგრამ შეტევების დამგვირგვინებელი არსად ჩანდა. საბოლოოდ, **მარეკ ჰამშიკმა** ითავა ლიდერობა და ის კინკილა გოლი შეაგდო, რომელმაც **ვალტერ მაცარის** გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოუტანა. დღეს “ნაპოლი” “ატალანტას” ესტუმრება და ედინსონ კავანი ალბათ ისევ ვერ ითამაშებს... ურუგვაელმა ტრავმა მოიშუშა და მწვრთნელის განკარგულებაში დაბრუნდა, თუმცა სულ ბოლო ინფორმაციით, ფეხში ტკივილები ისევ იგრძნო. არადა, ედინსონთან ერთად, მიზნის მიღწევა ბევრად უფრო ადვილია და სწორედ ამაზე ისაუბრა წინასამატჩოდ სენიორ ვალტერმა:

*“კავანის ისევ აწუხებს ფეხი და “ატალანტას” წინააღმდეგ ალბათ ვერ ითამაშებს. “კიევოსთან” კარგად ვუტევდით, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში რაღაც გვაკლდებოდა... ეს რაღაც სწორედ კავანის საგოლე ალღო და უზუსტესი დარტყმები გახლდათ. “ატალანტა” აუცილებლად შეუტევს და დაცვაში ყურადღებით გვმართებს თამაში. ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი გვიდგას, ან გავაგრძელებთ ბრძოლას სკუდეტოსთვის და არ მივცემთ “იუვეს” წინა გაქრის საშუალებას, ან ევროსაგზურისთვის მებრძოლ გუნდებში გავერევით. ყველანი მოტივირებულნი ვართ და მჯერა, რომ ჩვენი მიზანი ჩემპიონატის ბოლომდე სკუდეტოს მოპოვება იქნება”.*

კავანი, სავარაუდოდ, ვერ ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეტევის წინა ხაზზე **გორან პანდევს** ისევ **ლორენცო ინსინიე** შეუწყვილდება. ფორვარდთა უკან მარეკ ჰამშიკი იასპარეზებს, რომელმაც წინა ტურში სამი ქულის მომტანი გოლი გაიტანა. ბერგამოელებმა წინა ტურში პირველი გასვლითი ქულა აიღეს და გუნებას არ უჩივიან, ვნახოთ...

### სტრამაჩონის როტაცია

“ინტერმა” მიჯრით მოიგო შეხვედრები, **ანდრეა სტრამაჩონიმ** კი იმდენად გაიმყარა პოზიციები, რომ თამამ ნაბიჯებს უმატა... მაგალითად, როტაციას მიჰყო ხელი და წინა ტურში, სათადარიგო სკამზე თვით **ანტონიო კასანო** დასვა, რომელიც მიმდინარე სეზონში ბრწყინვალედ ასპარეზობს. “ბოლონიასთან” **დიეგო მილიტოსა** და **როდრიგო პალასიოს** ტანდემმა აშკარად გაამართლა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანდრეა გამარჯვებულ შემადგენლობას არ შეცვლის... “გაძეტა დელო სპორტის” ვერსიით, “სამპდორიასთან” მატჩისთვის ძირითადში ანტონიო კასანო დაბრუნდება და თადარიგში უკვე პალასიო გადაინაცვლებს. აი ასეა, სტრამაჩონი ფრთებს შლის, როტაციას თამამად მიმართავს და არც ექსპერიმენტებს ერიდება. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტის შედეგი გახლავთ ის, რომ დღეს, მილანური გრანდი 3-5-2 ტაქტიკით ასპარეზობს. საინტერესოა, გაგრძელდება თუ არა “ინტერის” წარმატებული სერია.

● ინტერი

## სნეიდერი იტალიურ დერბის გამოტოვებს

დაახლოებით სამი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც **ვესლი სნეიდერმა** ტრავმა მიიღო და ლაზარეთში გადაინაცვლა. ექიმებმა მაშინვე თქვეს, რომ 28 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი ერთ თვეში დაუბრუნდებოდა მოედანს. შესაბამისად, "ინტერის" გულშემატკივრებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ვესლი მომდევნო უქმეებზე დაგეგმილ დიდ იტალიურ დერბიში მიიღებდა მონაწილეობას. დიახ, მიიღებდა, რადგან უკვე გადაწყვეტილია, რომ სნეიდერი "იუვენტუსის" წინააღმდეგ ვერ იასპარეზებს.

*"რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი ერთი თვე ზუსტად მომდევნო უქმეებზე გადის და ვესლიც ნორმალურად გრძნობს თავს, მაგრამ ჩემი პირადი გადაწყვეტილებით, მას კიდევ ერთი კვირა მიეცემა დასვენების საშუალება. ჯობია, რომ ბოლომდე გამოჯანმრთელდეს და მხოლოდ შემდეგ დაუბრუნდეს მოედანს. დიდი იტალიური დერბი ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ სნეიდერის ჯანმრთელობა კიდევ უფრო ფასეულია. ასე რომ, ვესლი "იუვენტუსის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს"*, - ამბობს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი **ანდრეა სტრამაჩონი**.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ვესლი სნეიდერი

● აშშ. MLS. პლეი-ოფის წინ

# ნოემბრის ციებ-ცხელება



აშშ-ში რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და პლეი-ოფის ყველა მონაწილე გამოვლინდა. მოგეხსენებათ, ამერიკელებს ყველა წამყვანი სპორტის სახეობის ლიგა კონფერენციებად აქვთ დაყოფილი და რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ, მათთვის ასე საყვარელ პლეი-ოფს მოუთმენლად ელიან. საფეხბურთო ლიგა გამონაკლისი არ არის და აქაც გუნდები ორ, აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციებად არის დაყოფილი.

კონფერენციებში პირველ სამ ადგილზე გასული გუნდი ავტომატურად იღებს პლეი-ოფის საგზურს, ხოლო მე-4-5 პოზიციაზე გასულნი ერთმანეთში არკვევენ უძლიერესის ვინაობას. ამის შემდეგ ყველაფერი მარტივადაა: კონფერენციის გამარჯვებული, მე-4-5 ადგილოსანს შორის მოგებულს ხვდება, მეორე ადგილზე გასული კი მესამე ადგილის მფლობელს ეთამაშება.

მოდი, რეგულარული სეზონის შედეგებს გადავხედოთ და შემდეგ შესაძლო ფავორიტებზეც ვისაუბროთ.

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი კს | 34 | 18 | 9 | 7 | 42-27 | 63 |
| 2. DS იუნაიტედი | 34 | 17 | 7 | 10 | 53-43 | 58 |
| 3. ნიუ იორკ რედ ბ. | 34 | 16 | 9 | 9 | 57-46 | 57 |
| 4. ჩიკაგო ფაიერი | 34 | 17 | 6 | 11 | 46-41 | 57 |
| 5. დინამო (ჰ) | 34 | 14 | 11 | 9 | 48-41 | 53 |
| 6. კოლამბუს კრიუ | 34 | 15 | 7 | 12 | 44-44 | 52 |
| 7. მონრეალ იმ. | 34 | 12 | 6 | 16 | 45-51 | 42 |
| 8. ფილად. უნ. | 34 | 10 | 6 | 18 | 37-45 | 36 |
| 9. ნიუ ინგლენდი | 34 | 9 | 8 | 17 | 39-44 | 35 |
| 10. ტორონტო | 34 | 5 | 8 | 21 | 36-62 | 23 |

აღმოსავლეთ კონფერენციის გამარჯვებული, ზედიზედ მეორედ კანზას სიტის "სპორტინგი" გახდა, რომელიც ადრე "კანზას სიტი უიზარდსის" სახელით გამოდიოდა და 2000 წელს ჩემპიონიც გახდა. გუნდს 12-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს და მიუხედავად იმისა, რომ მის რიგებში გამორჩეული ვარსკვლავი არ თამაშობს, კანზასელები ერთ-ერთი ფავორიტები არიან.

მე-2-3 ადგილზე გასული გუნდების ვინაობა ბოლო ტურში გაირკვა. "ჩიკაგო ფაიერი" "დი-სი იუნაიტედს" მასპინძლობდა და მხოლოდ ფრეს გამორჩა, იმის გამო, რომ "ნიუ იორკ რედ ბულსმა", თავისი მატჩი **კენი კუპერის** და **ტიერი ანრის** გოლებით 3:0 მოიგო, ჩიკაგოელები მეოთხე ადგილამდე დაეშვნენ და ახლა ჰიუსტონის "დინამოსთან" მოუწევთ ბრძოლა.

აშშ-ის 4-გზის ჩემპიონი "დი-სი იუნაიტედი", რომელიც MLS-ის პირველ წლებში გრანდი იყო, პლეი-ოფში მონაწილეობას 5-წლიანი პაუზის შემდეგ მიიღებს. ვაშინგტონელებს ბოლო წლებში კრიზისი ჰქონდათ, წელს კი შესანიშნავად ითამაშეს და ახლა "ნიუ იორკ რედ ბულსთან" სათამაშოდ ემზადებიან, რომელიც "იუნაიტედისგან" განსხვავებით, ჩემპიონი არასდროს ყოფილა, არადა ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავდა. წელს ნიუიორკელების რიგებში ტიერი ანრი, **რაფაელ მარკესი, ტეემუ ტაინიო, ტიმ კეჰილი** და აშშ-ის ნაკრების ნევრი, კენი კუპერი თამაშობენ. ასეთი შემადგენლობით, ნიუ იორკს პირველი საჩემპიონო ტიტულის მოპოვება ნამდვილად შეუძლია.

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე ერთქ. | 34 | 19 | 9 | 6 | 72-43 | 66 |
| 2. სოლტ ლეიკი | 34 | 17 | 6 | 11 | 46-35 | 57 |
| 3. სიეტლ საუნდ. | 34 | 15 | 11 | 8 | 51-33 | 56 |
| 4. ლა გელექსი | 34 | 16 | 6 | 12 | 59-47 | 54 |
| 5. ვანკუვერ უაით. | 34 | 11 | 10 | 13 | 35-41 | 43 |
| 6. დალასი | 34 | 9 | 12 | 13 | 42-47 | 39 |
| 7. კოლორადო რეპ. | 34 | 11 | 4 | 19 | 44-50 | 37 |
| 8. პორტლენდ ტიმ. | 34 | 8 | 10 | 16 | 34-56 | 34 |
| 9. ჩივასი | 34 | 7 | 9 | 18 | 24-58 | 30 |

დასავლეთ კონფერენციის და მთლიანად რეგულარული სეზონის გამარჯვებული, 2-გზის ჩემპიონი "სან ხოსე ერთქვეიქსი" გახდა. ამ გუნდს ერთი გამორჩეული ფიგურა ჰყავს - **კრის ვონდოლოვსკი**, რომელიც MLS-ის საუკეთესო ბომბარდირი ზედიზედ მესამედ გახდა. ვონდოლოვსკი ძალიან საინტერესო ფეხბურთელია – 2009 წლამდე ის ჰიუსტონის "დინამოში" თამაშობდა, სადაც 37 შეხვედრაში მხოლოდ 4 გოლი გაიტანა, 2009-ში კი სან ხოსეში გადავიდა და მას შემდეგ 141 თამაშში თავი 66-ჯერ გამოიჩინა და ამ გუნდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

კონფერენციაში მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა მოქმედმა ჩემპიონმა, "ლოს ანჯელეს გელექსიმ", რომლის რიგებშიც **დევიდ ბექჰემი, რობი კინი, ლენდონ დონოვანი, კრისტიან ვილჰელმსონი** და **ედსონ ბადლი** თამაშობენ. "ანგელოზთა ქალაქის" ფეხბურთელებს ახლა "ვანკუვერ უაითქეფსთან" მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

## რაც შეეხება ინდივიდუალურ მიღწევებს:

**ბომბარდირები:** 27 – კრის ვონდოლოვსკი (სან ხოსე ერთქვეიქსი); 18 – კენი კუპერი (ნიუ იორკ რედ ბულსი); 17 – ალვარო საბორიო (რეალ სოლტ ლეიკი); 16 – რობი კინი (ლოს ანჯელეს გელექსი); 15 – ტიერი ანრი (ნიუ იორკ რედ ბულსი).



**ასისტენტები:** 15 – გრემ ზუსი (სპორტინგ კანზას სიტი); 14 – ლენდონ დონოვანი (ლოს ანჯელეს გელექსი).

## პლეი-ოფი

პლეი-ოფის წინასწარ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან: "ჩიკაგო ფაიერი"-"ჰიუსტონ დინამო" და "ლოს ანჯელეს გელექსი"- ვანკუვერ უაითქეფსი". მატჩები 1 და 2 ნოემბერს, პირველად დასახელებული გუნდების სტადიონზე გაიმართება, ამას კი უკვე კონფერენციების 1/2 ფინალი მოჰყვება, სადაც გუნდები ასე დაწყვილდნენ:

აღმოსავლეთი კონფერენცია: "ჩიკაგო"-"ჰოუსტონის" გამარჯვებული – "სპორტინგ კანზას სიტი"; "ნიუ იორკ რედ ბულსი"-"დი-სი იუნაიტედი".

დასავლეთი კონფერენცია: "ლოს ანჯელესი"-"ვანკუვერის" გამარჯვებული – "სან ხოსე ერთქვეიქსი"; "სიეტლ საუნდერსი"-"რეალ სოლტ ლეიკი".

ამ ეტაპზე გუნდები ერთმანეთს ორმატჩიან დუელში დაუპირისპირდებიან, ხოლო კონფერენციის, ისევე როგორც მთავარი ფინალი, კვლავ ერთმატჩიანი იქნება.

## შეჯამება

პლეი-ოფში ფავორიტებზე საუბარი ძალიან ძნელია. შარშან, "ლოს ანჯელეს გელექსიმ" რეგულარული სეზონი მოიგო და შემდეგ პლეი-ოფშიც იმარჯვა, თუმცა ასეთი შემთხვევა ბევრი არ იყო. ეს MLS-ის მე-17 სეზონია და წინა 16 გათამაშებიდან, მხოლოდ 6-ჯერ მოხდა ისე, რომ გუნდმა რეგულარულიც მოიგო და შემდეგ ჩემპიონიც გახდა. 2010 წელს ჩემპიონობა "კოლორადო რეპიდსმა" მოიპოვა, არადა ამ გუნდმა, პლეი-ოფში დასავლეთ კონფერენციაში დაკავებული მეხუთე ადგილით გაალწია. აქედან გამომდინარე, რეგულარული სეზონი ზოგად წარმოდგენას კი გვიქმნის, მაგრამ ფავორიტებზე საუბარი მაინც რთულია, თუნდაც წარსულის მაგალითების გამო.

აქვე გეტყვით, რომ პლეი-ოფში გასული 10 გუნდიდან, MLS-ის თასი არასდროს მოუგიათ: "ნიუ იორკ რედ ბულსს", "სიეტლ საუნდერსს" და "ვანკუვერ უაითქეფსს". "სიეტლისგან" და "ვანკუვერისგან" ეს გასაკვირი არ არის, რადგან პირველი მეოთხე სეზონს ატარებს, კანადური გუნდი კი მხოლოდ მეორეს, მაგრამ "ნიუ იორკის" უტიტულობა, რომელმაც ყველა, 17-ვე სეზონში მიიღო მონაწილეობა, მართლაც გასაკვირია. ვნახოთ, იქნება ანრის, მარკესის, ტაინიოს და კეჰილის ფაქტორმა იმოქმედოს და გუნდმა ასე ნანატრი საჩემპიონო ტიტული მოიპოვოს. ყველაზე ახლოს "ნიუ იორკი" ჩემპიონობასთან 2008 წელს იყო, როდესაც ისტორიაში ერთადერთხელ გავიდა ფინალში და იქ "კოლამბუს ქრიუსთან" 1:3 წააგო.

სულ ბოლოს, შეგახსენებთ, ვის რამდენი ტიტული აქვს მოგებული:

4 – "დი-სი იუნაიტედი"; 3 – "ლოს ანჯელეს გელექსი"; 2 – "ჰიუსტონ დინამო", "სან ხოსე ერთქვეიქსი"; 1 – "ჩიკაგო ფაიერი", "კოლორადო რეპიდსი", "სპორტინგ კანზას სიტი", "რეალ სოლტ ლეიკი", "კოლამბუს ქრიუ".

**ტატო ბაციკაძე**

● ფრანგული ამბები


ეროვნული ბიბლიოთეკა

## სირიგუს და ვერატის გარეშე

დღეს საფრანგეთში მორიგი კლასიკოა - პსჟ, ლიგის თასის 1/8 ფინალის ეგიდით, "მარსელს" უმასპინძლებს. ამ შეხვედრას, რა თქმა უნდა, ისეთივე მნიშვნელობა არ აქვს, როგორიც საჩემპიონატო მატჩს ჰქონდა, სწორედ ამიტომ, **კარლო ანჩელოტიმ** გადაწყვიტა, რომ **სალვატორე სირიგუ** და **მარკო ვერატი** დაესვენებინა.

პარიზელებს ტრავმების გამო **სილვენ არმანი, ალექსი, ესეკილ ლავეცი, ტიაგო მოტა, დიეგო ლუგანო** და **ნენე** აკლიათ. ამდენი მოთამაშის დაშავება ყველა გუნდზე აისახებოდა, მაგრამ ეს არ ეხება "პარი სენ ჟერმენს".

## ჟელსონ ფერნანდესი სიონში

26 წლის **ჟელსონ ფერნანდესი**, რომელიც ამჟამად ლისაბონის "სპორტინგის" ღირსებას იცავს, ზამთარში სავარაუდოდ სამშობლოში დაბრუნდება და "სიონში" ჩაირიცხება. "სიონი" სუპერლიგაში, 14 ტურის შემდეგ, მესამე ადგილს იკავებს და "გრასჰოპერს" 7 ქულით ჩამორჩება.

მოგეხსენებათ, სწორედ ამ გუნდში გადავიდა **ჯენარო გატუზო**, რომელმაც კაპიტნის სამკლავურიც მოირგო და "სიონის" ერთ-ერთი ლიდერია. რინოს გარდა, აქვე ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ფორვარდი და გლაზგოს "რეინჯერსის" ყოფილი ფეხბურთელი **კაილ ლაფერტი** ირიცხება.

**ტატო ბაციკაძე**

● ამბები

## გლადბახი იანჩკეს და დე იონგის გარეშე

გერმანიის თასის მეორე ეტაპის მატჩში, რომელშიც „გლადბახი" დღეს დიუსელდორფის „ფორტუნას" სტუმრობს, მიონხენგლადბახელებს ძირითადი შემადგენლობის მცველი **ტონი იანჩკე** დააკლდებათ. 22 წლის მცველმა ევროპალიგის შეხვედრაში (2:0 „მარსელთან") ტვინის შერყევა მიიღო და ლაზარეთშია. იანჩკეს დაცვის მარჯვენა ფლანგზე, სავარაუდოდ, **მარტინ შტრანცლი** შეცვლის. „გლადბახი" ამ შეხვედრაში ვერც ჰოლანდიელ თავდამსხმელ **ლუუკ დე იონგს** გამოიყენებს, რომელსაც მძიმე ტრავმა აქვს და „ბორუსიას" კიდევ თვე-ნახევარი დააკლდება.

## აინტრახტმა ტალანტები შეინარჩუნა

ფრანკფურტის „აინტრახტმა" მეორე გუნდის ნიჭიერ ფეხბურთელებს ახალი ხელშეკრულებები გაუფორმა: ესენი არიან კლუბის აღზრდილი მოთამაშეები, 17 წლის **მარკ-ოლივერ კემპფი** და 16 წლის **მარკ შტენდერა**. ფრანკფურტულ კლუბთან მათ კონტრაქტები 2015 წლის 30 ივნისამდე გააფორმეს. როგორც კი კემპფი და შტენდერა 18 წლამდე ასაკს მიაღწევენ, ავტომატურად მიიღებენ პროფესიულ კონტრაქტებს და „აინტრახტის" ძირითად გუნდში ჩაირიცხებიან.

## ლენოს ოპერაცია გაუკეთეს

მიუნხენის „ბაიერნთან" მატჩის შემდეგ „ლევერკუზენის" 20 წლის მეკარე **ბერნდ ლენომ** იდაყვის ოპერაცია გაიკეთა და „ბაიერს" რამდენიმე მატჩში ველარ დაეხმარება. ჯერჯერობით უცნობია, ზუსტად რამდენ ხანს დაჰყოფს ახალგაზრდა კიპერი ლაზარეთში, ფაქტი კი ის არის, რომ „ლევერკუზენის" მწვრთნელები **საშა ლევანდოვსკი** და **სამი ჰიიპია** მის დაბრუნებას უკვე მოითმენლად ელოდებიან.

დღეს „ლევერკუზენი" გერმანიის თასის მეორე ეტაპზე ბილეფელდის „არმინიას" სტუმრობს და ამ შეხვედრაში „ბაიერს" ტრავმის გამო ვერც 22 წლის ნახევარმცველი **ქარიმ ბელარაბი** დაეხმარება.

## ბადშტუბერი დაშავდა

მიუნხენის „ბაიერნს" რამდენიმე უახლოეს შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის მცველი **ჰოლგერ ბადშტუბერი** დააკლდება. 23 წლის უკანახაზელი „ლევერკუზენთან" შეხვედრაში დაშავდა და რეკორდმაისტერს სავარაუდოდ 3-4 კვირა ველარ დაეხმარება. დიდი შანსია, რომ დღეს, გერმანიის თასის მატჩში (კაიზერსლაუტერნთან) „ბაიერნს" **ფრანკ რიბერიც** გამოაკლდეს, რომელსაც კუნთი აწუხებს. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა და თამაში შეუძლია **ხავი მარტინესს**, რომელმაც „ლევერკუზენთან" ვერ იასპარეზა.

## ბაიერნთან ბუნიაკუს გარეშე

სერიოზული დანაკლისი აქვს „ბაიერნის" დღევანდელ მეტოქე „კაიზერსლაუტერნსაც": პფალცელები კაპიტან **ალბერტ ბუნიაკუს** ვერ გამოიყენებენ. 28 წლის თავდამსხმელს მუხლის ტრავმა აქვს და ვერც მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში (კიოლნთან 3:3) იასპარეზა.

*„მიუნხენში აუტსაიდერის სტატუსით მივდივართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ბაიერნს" უბრძოლველად დავნებდებით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შეგირდების უმეტესობა ბაიერნელებს მხოლოდ ტელევიზორიდან იცნობს, უშანსოდ მაინც არ ვართ,"* - თქვა გუშინ „კაიზერსლაუტერნის" თავკაცმა ფრანკო ფოდამ.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალი

# ჩელსი–მანჩესტერის მსაჯს ემუქრებიან

## იუმორით დანახული ღამე სტემფორდ ბრიჯზე

**ბოლო** დღეებში მარკ კლეტენბერგი ინგლისში საეჭვო პოპულარობით სარგებლობს. მის სახელსა და გვარს კუნძულზე ყველა ბრუნვაში ახსენებენ, რასაც, ცხადია, არავინ მიელტვის. პოლიციამ მოედანზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა, yahoo-sports-მა კი "ჩელსი"-"იუნაიტედის" მოდელირებული თამაში წარმოგვიდგინა და წუთების მიხედვით ჩამოწერა, როგორ განვითარდებოდა შეხვედრა არბიტრს რომ მოენდომებინა.

ვეტერანმა ინგლისელმა მსაჯმა **ჯეფ უინტერმა** განაცხადა, რომ თუკი საფეხბურთო ასოციაციის გამოძიება **მარკ კლეტენბერგის** მიერ **ჯონ ობი მიკელის** რასისტულ შეურაცხყოფას დაადასტურებს, 37 წლის ინგლისელი სამუდამო დისკვალიფიკაციით უნდა დაისაჯოს. შეგახსენებთ, რომ არანორმატიული ლექსიკის გამოყენების გამო "ჩელსის" 25 წლის ნახევარმცველმა მსაჯისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. იწერება, რომ ნიგერიელის გარდა მარკმა **ხუან მატაც** შეურაცხყო და მას "ესპანელი იდიოტი" უწოდა. მატას თქმით, მას არც ეს ფრაზა და არც რაიმე მისი მსგავსი არ გაუგონია. მან უარი თქვა, დანარჩენ მოვლენებზე კომენტარი გაეკეთებინა. თუმცა "ჩელსის" მაინც ჰყავს წყარო, რომელსაც ის ასოციაციაში სარჩელის წარდგენისას ეყრდნობოდა. ლაპარაკია **დავიდ ლუიზსა** და **რამირესზე**. ბრაზილიელები მზად არიან, საგამოძიებო კომისიის წინაშეც გაიმეორონ თავიანთი ჩვენება. პოლიციამ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. მიკელის ინტერესების დაცვისთვის მზადყოფნა გამოთქვა "შავკანიან იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა **პიტერ ჰერბერტმა**.



მარკ კლეტენბერგის მსაჯობამ ვილაც ძალიან გაალიზიანა, ვილაც კი ხუმრობის ხასიათზე დააყენა

კლეტენბერგი ამ დრომდე კომენტარს არ აკეთებს. ის ასოციაციისა თუ პოლიციის მხრიდან სამართლებრივ დევნას არ უფრთხის. მეტიც არბიტრი აცხადებს, რომ მას "ჩელსის" წარმომადგენლები აქეთ ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით. ამას კლეტენბერგი მატჩის შემდგომ ოქმში წერს. მას გვერდითა და მეოთხე არბიტრები ჰყავს მოწმეებად. "მირორის" ცნობით, "ჩელსის" წარმომადგენლები მსაჯების ოთახში ძალით შეიჭრნენ, სადაც დიდი გაწევა-გამოწევა ატყდა. მიკელი ოთახში მყოფებს შეუფერებლად ხმამაღლა ელაპარაკებოდა და შეურაცხყოფდა. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ არბიტრებმა უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს უხმეს. ნიგერიელი სწორედ კარის გაჯახუნების წინ დაჰპირდა კლეტენბერგს, რომ ფეხებს დაუმტვრევდა.

■ ■ ■

ლანძღვა-გინების შემდეგ ამერიკელი ჟურნალისტების საფეხბურთო თუ ნახევრად საფეხბურთო ხალისიან ფანტაზიებს გავეცნოთ:

**97** წუთი – **დავიდ დე ხეას** კრიტიკოსები იმედოვნებენ, რომ ესპანელი შეწყვეტს მშვენივრად თამაშს და მათ საშუალებას მისცემს, ძველებურად ლანძღონ ის.

**102** – **ფერნანდო ტორესის** სტატისტიკა თანდათან უმჯობესდება მინდვრიდან მისი გაძევების შემდეგ.

**110** - მარკ კლეტენბერგი რამირესს აძევებს მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეუძლია ამის გაკეთება.

**113** - მარკ კლეტენბერგი **პეტრ ჩეხსაც** წითელს უჩვენებს, რადგან მან ყველას თავი მოაბეზრდა თავისი ნილბით.

**115** - მარკ კლეტენბერგი **გარი კეჰილს** აგდებს, რადგან სურს საკუთარი თვალებით იხილოს, როგორ დაიფერფლება დედამიწა.

**122** – **ანდრე ვილაშ ბოაში** ტკბება სანახაობით და ცდილობს მის ჩაწერას. შემდეგ პორტუგალიელი აცნობიერებს, რომ დაავიწყდა, ვიდეოკასეტაზე ჩაწერა როგორ ხდება და იდეაზე უარს ამბობს. ამის მაგივრად ტელეფონით ხულიგნობს და **რომან აბრამოვიჩს** ურეკავს.

**126** – მეოთხე მსაჯი უკვე ნანობს, რომ ეს პროფესია აირჩია.

**134** – **უეინ რუნი** მაისურს პატარა ასაფეთქებლებს აწებებს და პარკურის წესებით სირბილს იწყებს, რათა შეხვედრას შემატოს ის ერთადერთი, რაც მატჩში არ მომხდარა.

**139** – სადღაც დედამიწაზე პატარა ბიჭუნა ძირს ეცემა, მართალია, ის სიარულს სწავლობს, მაგრამ მას უმალ სიმულაციაში სდებენ ბრალს და საზოგადოებისგან რიყავენ.

**141** – **ჩიჩარიტო** "ჩელსის" კარებში წყლის საწოლსა და ბუხარს აშენებს. იქიდან კი მხოლოდ იმ მიზნით გამოსვლას აპირებს, რომ "ჩელსის" გაუტანოს ან კოკა-კოლა და შოკოლადი იყიდოს.

**145** – **ჯონ ტერი** ტრიბუნებზე საკუთარ თავს ულმავდება. მას უცბად გონება უნათდება. ის სრულიად მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ ფილმები **ჯეიმს ბონდზე** უბრალოდ ძალიან მაგარია.

**150** – მატჩი გადაიდო, რადგან ტრიბუნებზე მაყურებელთა რასისტული შეძახილები იმდენად ხმამაღალი იყო, რომ **დიდიე დროგბამ** ჩინეთში გაიგო. ის ამას სამარცხვინო საქციელს უწოდებს. დიდიეს კატა სახელად კიტი კატბა კი იღებს გადაწყვეტილებას, გაანადგუროს მთელი დედამიწა მას მერე, რაც წონაში დაიკლებს და საკუთარი ბუნაგიდან გარეთ გამოსვლას მოახერხებს.

ამბები



### არსენალის პლუს-მინუსი

"არსენალის" 25 წლის თავდამსხმელი **ჟერვინიო** "ქუინზ პარკთან" შეხვედრაში შეცვლაზე შევიდა, მაგრამ ზუსტად 10 წუთში კოტდივუარელი ტერფის ტრავმის გამო შესაცვლელი გახდა. მოედანზე მის ნაცვლად **ანდრეი არშავინი** გამოჩნდა, ვისი დიდი მეცადინეობითაც მოახერხეს მასპინძლებმა ერთადერთი გოლის გატანა. ორშაბათს ჟერვინიოს სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა. წინასწარი ინფორმაციით, ფეხბურთელს მინიმუმ ერთი კვირით მოუწევს დასვენება. ანუ მას "რედინგთან" წუხანდელი დაპირისპირების გარდა (ლიგის თასზე), შაბათს, "ოლდ ტრეფორდზე" "მანჩესტერ იუნაიტედთან" თამაშიც გაუცდება. საბოლოო პასუხი ამ დროისთვის უცნობია. არ არის გამორიცხული, დაზიანება ბევრად უფრო სერიოზული აღმოჩნდეს.

მართალია, "მეთოფეებს" ჟერვინიო არ ეყოლებათ, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ "ეშმაკებთან" მატჩში ძირითადში იქნება 22 წლის პოლონელი გოლკიპერი **ვოიცეხ შჩესნი**. ტრავმის გამო მას თითქმის ორი თვე გაუცდა. იტალიელი **ვიტო მანონე** სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს.

### ბერი იმედგაცრუებულია

**გარეთ ბერი** ჟურნალისტებთან იმ მიზეზებზე ალაპარაკდა, რაც მისი აზრით, პრემიერლიგის მოქმედ გამარჯვებულს შარშანდელ დონეზე თამაშში უშლის ხელს. აი, რას ამბობს 31 წლის ნახევარმცველი: *"სეზონის ასეთ დასაწყისზე ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით. ვაღიარებ, შარშან ამ დროს ბევრად უფრო კარგად ვირჯებოდით. წელს კი ძველებურად ლაღად რატომღაც არ გამოგვდის. მიმაჩნია, რომ მიმდინარე სეზონი ზუსტად იმას გვიმტკიცებს, თუ რა ძნელია ჩემპიონის რანგში თამაში. ჩვენთვის ყოველი ქულა უფრო ძნელი მოსაპოვებელი გახდა ვიდრე ადრე იყო. ნებისმიერ მეტოქეს სწორედ ჩემპიონთან სურს თავის გამოჩენა. ეს ფაქტია და მას ვერსად გავექცევით"*.

რაკი "სიტიზე" ვწერთ, აქვე დავაზუსტებთ, რომ "ქალაქელების" 24 წლის მცველი **მიკა რიჩარდსი** გუნდს არა ორი თვით დააკლდება, როგორც ეს გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, არამედ - სამით. ეს ნიშნავს, რომ მიკა "ეტიჰადს" მხოლოდ იანვრის ბოლოს თუ დაუბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე მიღებული ტრავმის მოშუშების შემდეგ ფეხბურთელი ახალი გამოწერილი იყო ლაზარეთიდან.

### ლივერპულის კიდევ ერთი გერმანელი

"ლივერპულს" განაცხადში გერმანული პასპორტის მქონე ორი ფეხბურთელი ჰყავს. **სამედ იესილი** 18 წლისაა და ამ ქვეყნის ნაკრებში თამაშზე ოცნებობს, **ნური შაჰინმა** კი ისტორიული სამშობლო აირჩია - ის თურქეთის ღირსებას იცავს. **ბრენდან როჯერსს**, თუ შეიძლება ითქვას, კიდევ ერთი ნახევრად-გერმანელი ფეხბურთელი აინტერესებს. ლაპარაკია "შალკეს" 22 წლის გამთამაშებელ **ლუის ჰოლტბიზე**. ლუისს მამა ინგლისელი ჰყავს, მაგრამ გერმანიაშია დაბადებულ-გაზრდილი. ლუისი და მამამისი **კრის ჰოლტბი** (ბრიტანული არმიის გადამდგარი ოფიცერი) დიდი ხანია "ევერტონის" გულშემატკივრები არიან. ფეხბურთელის თქმით, ინგლისში ორადორი კლუბია, სადაც ის სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას. "ევერტონის" გარდა ის "არსენალს" გულისხმობს. ასე რომ, "ლივერპულმა" ძალიან უნდა მოინდომოს, რომ ის როგორმე მოხიბლოს. ჰოლტბის კონტრაქტს "შალკესთან" ვადა სეზონის დასრულებისთანავე გასდის. ფეხბურთელსა და მის აგენტ **მარკუს ნოაკს** ჯერ არ გადაუწყვეტიათ, თუ რა გზას დაადგებიან.



### ედკინსი მშვიდად არის

"საუთჰემპტონის" მთავარი მწვრთნელის **ნაიჯელ ედკინსის** თქმით, მის გუნდს შეუძლია უფრო მეტად კონცენტრირებული იყოს თამაშებზე და მეტოქეებს საქმე გაურთულოს. 47 წლის სპეციალისტის მტკიცებით, პანიკის საფუძველი არ არსებობს და არც იმას უფრთხის, რომ თანამდებობას ვადამდე ადრე დაკარგავს: *"დარწმუნებული ვარ, რომ კლუბის დირექტორთა საბჭო სიტუაციის გამოსასწორებლად დროს აუცილებლად მომცემს. მათ იციან, რომ ჩვენ ყოველ წელს ვახერხებდით საკუთარი სტატუსის ამაღლებას. მართალია, მიმდინარე სეზონი მთლად წარმატებული არ გამოგვდის, მაგრამ მაინც აუცილებელია რწმენისა და პოზიტიური განწყობის შენარჩუნება, რათა როგორმე გადავიტანოთ თავს დატეხილ უსიამოვნებათა მთელი წყება. თუკი ეს მოვახერხეთ, მაშინ ვიტყვი, რომ შესანიშნავი სამუშაო ჩაგვიტარებია. პრემიერლიგა ზუსტად ის გამოწვევაა, რომელიც ყველას ძალიან მოგვწონს. ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე რთული ჩემპიონატია და ჩვენ მასში წარმატებით გამოსვლის ამბიცია გვაქვს"*.

### ლამბერტს არაფრის ეშინია

"ასტონ ვილას" მთავარმა მწვრთნელმა **პოლ ლამბერტმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მიმდინარე სეზონში მისი გუნდი აუცილებლად მოახერხებს ელიტაში ადგილის შენარჩუნებას. სტატისტიკოსებმა დაითვალეს და აღმოაჩინეს, რომ ბირმინგემელებისთვის ეს არის ყველაზე ცუდი სტარტი უკანასკნელი 43 წლის განმავლობაში. 9 ტურის შემდეგ გუნდს 6 ქულა აქვს და გასავარდნ ზონას ერთი საფეხურითა და ორი ქულით უსწრებს. *"კლუბის პრეზიდენტს პირადად ველაპარაკე. ენდი ლერნერმა დამარწმუნა, რომ ჩემდამი მისი ნდობა ჯერ კიდევ მაღალია. ის მხარს უჭერს იმ გეგმას, რომლის განხორციელებაც "ვილა პარკზე" ერთად ჩავიფიქრეთ,"* – აცხადებს შოტლანდიელი მწვრთნელი.

### იუნაიტედი ნორვეგიელს უმიზნებს

**ბრიტანული** პრესის ცნობით, იანვარში "მანჩესტერ იუნაიტედმა" ნორვეგიის ჩემპიონ "მიოლდედან" შესაძლოა ცენტრალური მცველი **ვეგარდ ფორენი** გადაიბიროს. შეგირდს რეკომენდაციას "იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი **ოლე გუნარ სულშერი** უწევს. *"აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ვეგარდი შეძლებს "ოლდ ტრეფორდზე" თავის დამკვიდრებას,"* – აცხადებს 39 წლის მწვრთნელი. "იუნაიტედი" პირველი პრემიერლიგელი არ არის, ვინც ფორენით ინტერესდება. აქამდე ფეხბურთელის ტრანსფერს კბილი სხვებმაც მოუსინჯეს, მაგალითად "ნიუკასლმა" და "ლივერპულმა".




### ბა ლივერპულთან ვერ ითამაშებს

**კვირას** 4 ნოემბერს ნიუკასლის "სენტ ჯეიმს პარკზე" ნიუკასლი "ლივერპულს" პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირის **დემბა ბას** გარეშე დაუხვდება. 27 წლის სენეგალელმა ფეხის მსუბუქი ტრავმა "ვესტ ბრომვიჩთან" შეხვედრის მიწურულს მიიღო და იძულებული გახდა მოედანზე ბოლომდე დარჩენილიყო, რადგან კაჭკაჭებს უკვე ყველა შეცვლა გამოყენებული ჰქონდათ. *"პასუხს შეკითხვაზე, თუ როდის დაგვიბრუნდება ჩვენი ბომბარდირი, შუა კვირაში მივიღებთ. ამისთვის დეტალური ანალიზია საჭირო,"* – აცხადებს **ალან პარდიუ**.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ესპანეთი. ლა ლიგა. IX ტურის შეჯამება

# ორი პელემდე, 12 გერდ მიულერამდე

**შაბათს 25 წლის ლეო მესიმ კარიერაში მე-300 გოლი გაიტანა (შემდეგ 301-ეც). ახლა არგენტინელის ანგარიშზე 270 გოლია „ბარსელონას" მაისურით და 31 - არგენტინის ნაკრების. ამასთან, ლეომ 2012-ში უკვე 73 გოლი გაიტანა და ორიღა აკლია პელეს რეკორდამდე (1959 წელს „სანტოსში" და ბრაზილიის ნაკრებში). მესი ერთპიროვნული ლიდერია ლა ლიგის ბომბარდირებში 13 გოლით. კვირას მან შარშანდელ სეზონში მოგებული „ოქროს ბუცი" ჩაიბარა და ახლა „ოქროს ბურთს" ელის. მოკლედ, მესი მართლაც სხვა განზომილებაა.**

**ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ მასთან ტოლ-სწორად ჭიდილი ერთ ფეხბურთელს გამოსდის - კრიშტიანო რონალდოს, რომელმაც კარიერაში 287 გოლი გაიტანა, „ოქროს ბუცისთვის" ბრძოლა მცირედით წააგო მესისთან და ახლა „ოქროს ბურთს" ელის, რომელმაც ამ ტურში პირადი რეკორდი დაამყარა - ზედიზედ მე-8 მატჩში გაიტანა...**

## ბარსა-რეალობა

„ბარსელონამ" და „რეალმა" სინქრონულად იმარჯვეს. ორივე გრანდმა სტუმრად 5:0 მოიგო. მეტიც, მათმა ლიდერებმა **ლიონელ მესიმ** და **კრიშტიანო რონალდომ** 2-2 გოლი გაიტანეს. მათ შორის სხვაობა ისევ 8 ქულაა, მაგრამ „სამეფო კლუბი" უკვე მე-4 ადგილზეა. როგორც ჩანს, მისი ჩამოწერა ნაადრევი იყო.

## მესი VS რონი

ლიონელ მესიმ 90 წუთი ითამაშა „რაიო ვალეკანოსთან" 5:0 მოგებულ მატჩში. მან კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, 3-ჯერ ზუსტად, გაიტანა 2 გოლი და მის წინააღმდეგ 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

კრიშტიანო რონალდომ 90 წუთი ითამაშა „მალიორკასთან" 5:0 მოგებულ მატჩში. მან კარისკენ 7-ჯერ დაარტყა, 4-ჯერ ზუსტად, გაიტანა 2 გოლი, გააკეთა საგოლე პასი. მის წინააღმდეგ 3-ჯერ დაჯარიმდნენ, თავად კი 2-ჯერ მოხვდა თამაშგარე მდგომარეობაში.

პორტუგალიელს ოდნავი, მაგრამ არა გადამწყვეტი უპირატესობა აქვს. ამიტომ ამ დუელში 1:1-ია, ხოლო ანგარიში 6:5 გახდა მესის სასარგებლოდ.

## იცით, თუ არა რომ...

* **გონსალო იგუაინმა** „რეალის" მაისურით ორი ან მეტი გოლი უკვე 17 თამაშში გაიტანა. ამ სეზონში არგენტინელმა ეს პირველად მოახერხა.

* ზუსტად 10 წელი შესრულდა **ანდრეს ინიესტას** დებიუტიდან „ბარსელონაში".

* „ოქროს ბურთის" 23 ნომინანტს შორის 11 „რეალისა" და „ბარსელონას" ფეხბურთელია.

* „ესპანიოლიდან" „ხეტაფეში" გადასულ ფორვარდ **ალვარო ვასკესს** პირველი გოლის გასატანად 990 წუთი დასჭირდა.

* **სერხიო გარსიამ** (ესპანიოლი) ლა ლიგაში მე-200 მატჩი ჩაატარა.

* როგორც კი მესი **პელეს** შედეგს მოხსნის, მისი ამოცანა **გერდ მიულერის** მიღწევის დაძლევა იქნება: 1972 წელს გერმანელმა ფორვარდმა 85 გოლი გაიტანა (72 „ბაიერნში" და 13 გფრ-ის ნაკრებში).

* ზედიზედ ორი ტურია, რაც „ბარსელონა" ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით ვერ პირველობს.

## ტურის ფრაზები

**ტიტო ვილანოვა:** *„რა თქმა უნდა, მესის გოლები მომეწონა, მაგრამ ყველაზე მეტად მომხიბლა ერთმა ეპიზოდმა, როცა მან 89-ე წუთზე, 5:0-ზე სპრინტი მოაწყო, მცველებს დაეხმარა და ბურთი კუთხურზე მოიგერია"*, - თავკაცი შეგირდის შესახებ.

**ლიონელ მესი:** *„პელეს რეკორდამდე 2 გოლი რჩება. ჩემთვის დიდი პატივია ასე ახლოს ყოფნა ისეთი დიდი ფეხბურთელის მიღწევასთან, როგორიც პელე იყო, მაგრამ მისი რეკორდის დამხობაზე ყველაზე ნაკლებად ვფიქრობ"*, - „ლა პულგა" კიდევ ერთხელ ამბობს, რომ მისთვის ინდივიდუალური ჯილდო ცოტას ნიშნავს.

**ტიტო ვილანოვა:** *„ჩემი მსოფლმხედველობა, კონცეფცია და მუშაობის პრინციპები არ შეიცვლება. ძალიან კარგად მესმის ისიც, რომ ყველა ეს შექება, რაც ახლა მესმის, შეიძლება წარსულში დარჩეს"*, - „ბარსელონას" თავკაცი კლუბის ისტორიაში საუკეთესო სტარტზე.

**რადამელ ფალკაო:** *„თავში არასოდეს მომსვლია „ატლეტიკოს" დატოვების იდეა"*, - კოლუმბიელი ფორვარდი გავრცელებულ ჭორებზე, თითქოს, იანვარში სხვაგან გადავა.

**ჟერარდ პიკე:** *„ჩემს შვილიშვილებს სიამაყით მოვუყვები, რომ მესის გვერდით ვთამაშობდი, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის"*, - პიკე მხარს უჭერს მესის კანდიდატურას „ოქროს ბუცზე", თუმცა თავადაც ნომინანტებშია.

**მიროსლავ ჯუკიჩი:** *„ვალიადოლიდმა" საშინელი ფეხბურთი აჩვენა. ჩემი ფეხბურთელები საკუთარ ძალებში არ იყვნენ დარწმუნებულნი, ძალიან ბევრს სცოდავდნენ და გაუაზრებლად მოქმედებდნენ"*, - სერბმა კრიტიკის ქარიშხალი დაატეხა თავის შეგირდებს.

**ჟოზე მოურინიო:** *„ესიენი იქ ითამაშებს, სადაც მე ვეტყვი"*, - „რეალის" თავკაცი ესიენის შეცვლილ პოზიციაზე.

**მიჩელი:** *„ფეხბურთი ძალიან უსამართლოა „სევილიისადმი"*, - მორიგი მარცხის მერე

**ხოაკინ კაპაროსი:** *„რეალთან" ბრძოლა პირველივე გოლის გაშვებისას დავასრულეთ"*, - „მალიორკას" თავკაცი.

**მარსელო ბიელსა:** *„ცხრილში ჩვენი მდგომარეობა ყველაფერზე მეტყველებს"*, - „ბილბაოს" დაღონებული თავკაცი.

**მაურისიო პელეგრინო:** *„პირველად მოხდა, რომ ჩემმა გუნდმა საშინლად ითამაშა"*, - „ვალენსიას" არგენტინელი თავკაცი.

### ტურის მსხვერპლი

**კარლოს გურპეგი (ბილბაო)**

*„ბილბაოს" კაპიტანი* **პედრო ლეონთან** *ბრძოლისას დაშავდა. გურპეგიმ მარცხენა კოჭი დაიშავა.*

### ტურის საუკეთესო გოლი

**პატრიკ ებერტი** (ვალიადოლიდი) „რეალ სოსიედადის" კარში

### ტურის საუკეთესო პასი

**ხუან კარლოს ვალერონი** (დეპორტივო) საგოლე პასი **ხუან დომინგესს.**

### ტურის სტატისტიკა

**31 გოლი ტურში (3,1 მატჩში). 4 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, 3 ფრედ დასრულდა და 3 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 59 ყვითელი ბარათი 1 წითელი დაარიგეს.**

ჰეთ თრიკი: **არავინ**

დუბლი: **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), **ობაფემი მარტინსი** (ლევანტე), **გონსალო იგუაინი** (რეალი), **ანტუან გრიზმანი** (რეალ სოსიედადი).

ტურის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი: **რუბენ გარსია** (ლევანტე, 19 წლის).

ყველაზე მეტი მაყურებელი: **43 000 - „ვისენტე კალდერონი"**

ყველაზე ნაკლები მაყურებელი: **13 200 - „სიუტატ დე ვალენსია"**

ყველაზე მეტი დარტყმა კარისკენ: **21 - ბილბაო**

ყველაზე მეტი დარტყმა კარში: **11 - ბილბაო**

ყველაზე მეტი ჯარიმა: **21 - მალაგა**

ყველაზე მეტი კუთხური: **10 - დეპორტივო**

**ყველაზე მეტი თამაშგარე: 8 - ბარსელონა**

ყველაზე მეტი ბურთის ფლობა: **65% - რეალი**

### მომდევნო ტური

3 ნოემბერი: **მალაგა-რაიო ვალეკანო, ბარსელონა-სელტა, რეალი-სარაგოსა, ვალენსია-ატლეტიკო.**

4 ნოემბერი: **რეალ სოსიედადი-ესპანიოლი, დეპორტივო-მალიორკა, ოსასუნა-ვალიადოლიდი, გრანადა-ბილბაო, სევილია-ლევანტე.**

5 ნოემბერი: **ხეტაფე-ბეტისი.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



იკერ კასილიასი და ჩავი ერნანდესი ტურის წინ ასტურიის პრინცის ორდენებით დააჯილდო-



ოქროს ბურთის მაძიებელი ხუთი ბარსელონელი, მაგრამ ეს რეკორდი არ არის - რეალს 6 ნომინანტი ჰყავს

### ტურის გმირი



**გონსალო იგუაინი (რეალი)**

**არგენტინელმა ერთის გარდა ყველა გოლში მიიღო მონაწილეობა, 2 გაიტანა და 2 საგოლე პასი გააკეთა. სწორედ მან გახსნა ანგარიში, რის მერეც ყველაფერი ძალიან იოლად წარიმართა „სამეფო კლუბისთვის".**

### ბომბარდირები

**13** ლიონელ მესი (ბარსელონა),
**11** კრიშტიანო რონალდო (რეალი)
**10** - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო),

### ასისტენტები

**7** - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)
**4** - ლიონელ მესი (ბარსელონა), ბენიატ ეჩებერია (ბეტისი)

### გოლი+პასი

**17** - ლიონელ მესი (ბარსელონა)
**12** - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
**11** - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### მე-12 ფეხბურთელი

**ელდერ პოსტიგა (სარაგოსა)**

**სიმბოლურში ხუთი დებიუტანტია, მათ შორის მართლაც ძალიან პერსპექტიული ნახევარმცველი მადრიდის „ატლეტიკოდან" - კრისტიან „სებოლა" როდრიგესი. პირველად მოხვდა რჩეულთა შორის „ბარსას" ახალგაზრდა მარჯვენა მცველი მარტინ მონტოია. ეს კიდევ ერთი ნიშანია, რომ „ბარსელონაში" დანი ალვეშის მზე თანდათან ჩაესვენა. ლიონელ მესი მეექვსედ მოხვდა რჩეულთა შორის, რაც რეკორდია.**

## VII ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით






ეს რომელიმე პოპვარსკვლავი არ გეგონოთ, „სარაგოსას" ფეხბურთელი ფრანკო სუკულინია მატჩისწინა პრესკონფერენციაზე

**როგორც ჩანს, „მოჯის სინდრომი“ იტალიელ არბიტრებს დღემდე აწუხებთ და კიდევ დიდხანს შეაწუხებთ; ინგლისში ახლა მსაჯს აბრალებენ რასისტობას, ლუის სუარესი კი მორიგ სკანდალს ამჯერად უვნებლად გადაურჩა; პაკო ხემესს მთელმა ესპანეთმა დასცინა, ობაფემი მარტინსი კი 28 წლის გახდა; გერმანიაში ვერაფრით გაარკვიეს, ვინ დაწყევლა ტიმ ვიზე და სადაურია ვადიმ დემიდოვი...**



# მარტინს, შე ძველო
## ოზას დაბადების დღეს დაგვიანებით ვულოცავთ...

ობაფემი მარტინსი ოფიციალურად 28 წლის გახდა. ამბობენ, ასაკი აქვს მომატებულიო...

გოტფრიდ ლენცის
საავტორო რუბრიკა

იტალია

## მოჯი ჯერ კიდევ მუშაობს...

„დიდი ხანია“ იტალიაში მსაჯები არ გაულანძლავთ და ამის გამო აპენინური სადრიბლინგე ისტორიები ცოტათი მოსაწყენიც კი იყო, მაგრამ ლოდინი დიდხანს როდი დაგვჭირდა. „კატანიამ“ „იუვენტუსს“ გოლი იმ დროს გაუტანა, როცა ანგარიში 0:0 იყო და მსაჯებმა ეს გოლი უსამართლოდ არ ჩათვალეს, რაც, სამწუხაროდ, გვიანლა აღიარეს.

„იუვეს“ სათადარიგო ფეხბურთელებმა ისე სწრაფად მიირბინეს ლაინსმენთან, კარგი იქნებოდა, მოედანზეც ასე რომ დარბოდნენ და გოლის გაუქმებისკენ მოუწოდებდნენ. მსაჯებმა ზუსტად 44 წამი იმსჯელეს, უნდა გაეუქმებინათ თუ არა გოლი და ბოლოს გადაწყვეტილებაც მიიღეს - თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირეს. ფიფა და უეფა ტელეარბიტრზე უარს იმ მოტივით ამბობენ, მომენტის განმეორებით ნახვას დიდი დრო დასჭირდება, რაც ფეხბურთში უსიამოვნო პაუზებს გამოიწვევსო, მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს დრო 44 წამზე მეტი იქნება...

ამით „კატანია“-„იუვენტუსის“ ამბავი არ დასრულებულა: იმავე ლაინსმენმა თავისი ალამი აღარ აღმართა იმ დროს, როცა „იუვეს“ თავდამსხმელი **ნიკლას ბენდტნერი** ნამდვილად თამაშგარეში იყო. სწორედ მის დარტყმულს დაამატა **არტურო ვიდალმა** და ასე გახსნა ანგარიში. შედეგი ლოგიკურია: მეორე დღეს საფეხბურთო იტალიაში ისევ იმაზე ბჭობდნენ, რომ მსაჯები „იუვენტუსის“ მატჩების დროს წნეხის ქვეშ არიან და ქვეცნობიერად ეშინიათ **ლუჩანო მოჯის**, რომელსაც ტურინულ გრანდთან დიდი ხანია, არანაირი შეხება აღარ აქვს.

მატჩის შემდეგ „კატანიას“ პრეზიდენტი **ანტონიო პულვირენტი** ისტერიკულად საუბრობდა „კალჩოს გარდაცვალებაზე“, ქალაქის მერმა კი თქვა, დღეს მსაჯებმა სრულიად კატანია შეურაცხყვესო. პულვირენტის არა უშავს, ამ უკანასკნელს კი, უმჯობესი იქნებოდა, ქალაქის გაუბედურებული ინფრასტრუქტურისთვის მიეხედა...

## სპაგეტი ბოლონეზე

ბოლონიაში ტაბლოს მოსამსახურე ან მთვრალი იყო, ან კაიფში გახლდათ, ანაც უბრალოდ კარგ გუნებაზე მყოფი გართობის ხასიათზე დადგა. როცა „ბოლონიამ“ „ინტერს“ გოლი გაუტანა და ანგარიში 1:2 გახდა, ტაბლოზე 0:3 აენთო! როცა მილანელებმა მესამე გოლი გაიტანეს, ტაბლომ 3:3 აჩვენა! შეხვედრა კი 1:3 დამთავრდა: „ინტერმა“ ზედიზედ მერვე გასვლითი მატჩი მოიგო, რაც ამ გუნდისთვის რეკორდია.

## ოქტობერფესტი ფლორენციაში

„ფიორენტინასა“ და „ლაციოს“ მატჩის წინ ფლორენციულ პრესას საქმე გაუადვილდა: „ოქტობერფესტ-დუელი“ - ასე დაასათაურეს ამ შეხვედრის წინა მიმოხილვა ფლორენციაში და სტატიას თან **ლუკა ტონის** და **მიროსლავ კლოზეს** ერთობლივი ფოტო დაუთმეს, რომელიც იმ დროსაა გადაღებული, როცა ეს თავდამსხმელები მიუნხენის „ბაიერნში“ ერთად თამაშობდნენ. ლუკა და მირო ფოტოზე ერთმანეთს ბავარიული ლუდით სავსე კათხებს უჭახუნებდნენ. მატჩის შემდეგ საქეიფო განწყობა რეალურად ტონის ჰქონდა, რადგან მისმა „ფიორენტინამ“ „ლაციო“ 2:0 დაამარცხა და თანაც, მეორე გოლი სწორედ ლუკას ანგარიშზეა.

ინგლისი

## მსაჯიც რასისტია?

„ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დუელში, რომელიც სტუმრებმა 3:2 მოიგეს, ვნახეთ ყველაფერი, რაც იდეალურ საფეხბურთო მატჩს სჭირდება ხოლმე: ლამაზი გოლები, დაუჯერებელი შეცდომები, დაუნდობელი უხეშობები, მსაჯის შეცდომები, ორი გაძევება და არასაფეხბურთო კურიოზიც.

მატჩის წინ რასიზმში დადანაშაულებულმა და ამის გამო დისკვალიფიცირებულმა **ჯონ ტერიმ** კლუბის ჟურნალში დაწერა, ვამაყობ იმით, რომ „ჩელსი“ ანტი-რასისტულ კამპანია Kick it out-ს მხარს უჭერსო. მატჩის შემდეგ „ჩელსის“ ფეხბურთელები ჩიოდნენ, მსაჯმა **მარკ კლატენბურგმა** ორ მოთამაშეს შეურაცხყოფა მიაყენა - ერთს „დებილი ესპანელი“ უწოდა, **ჯონ ობი მიკელი** კი რასისტულად შეურაცხყოო. სანამ საფეხბურთო ასოციაცია ამ საკითხს კარგად გამოიძიებს, ლონდონელებს ერთი მნიშვნელოვანი ტიპი დაუშავდათ: **ჩიჩარიტოს** გოლის დროს ერთი სამართალდამცავი დღემდე აუხსნელი მიზეზის გამო სარეკლამო ბანერზე გადაყირავდა და ფეხი იღრძო...

## ლუის სუარესის თავგადასავლები

**ლუის სუარესი** თავის სტიქიაშია. „ევერტონთან“ დერბიში გატანილი გოლის შემდეგ ურუგვაელი თავდამსხმელი **დევიდ მოიესის** ცხვირწინ დემონსტრაციულად გაიშხლართა. საქმე იმაშია, რომ თამაშის წინ „ევერტონის“ დამრიგებელმა თქვა, სუარესს სიმულაცია უყვარს და ეხერხებაო.

*„ეს ლივერპულული იუმორია,* - თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე შოტლანდიელმა, ჟურნალისტებს თვალი ჩაუკრა და დასძინა, - *მეც ასე მოვიქცეოდი!“* მოგვიანებით, მისმა ქალიშვილმა სოციალურ ქსელ „თვითერზე“ დაწერა, მიკვირს, მამამ თავში რომ არ ჩაარტყაო.

სხვათა შორის, სუარესმა კიდევ ერთი გოლი გაიტანა, რომელიც უსამართლოდ არ ჩაუთვალეს, ხოლო **სილვაინ დისტინს** კი კოჭში მწარედ უთავაზა. *„მაგ ტიპს ძალიან გაუმართლა, მოედნიდან რომ არ გააძევეს,“* - თქვა მოიესმა, ამჯერად თვალის ჩაკვრის გარეშე...

## რას მოუტანს ჩიკი სიტის?

**რობერტო მანჩინის** რთული დროება ელისო, წერენ ჩვენი ინგლისელი კოლეგები. მიზეზი ისაა, რომ „მანჩესტერ სიტის“ სპორტულ დირექტორად „ბარსელონას“ ყოფილი ფუნქციონერი **ჩიკი ბეგირისტაინი** დაინიშნა - სწორედ ის ბეგირისტაინი, რომელმაც თავის დროზე **პეპ გვარდიოლა** „ბარსას“ მთავარ მწვრთნელად დანიშნა. ცხადია, ინგლისში მაშინვე დაიწყო სპეკულაციები იმის თაობაზე, რომ ჩიკი პეპს მანჩესტერში მუშაობაზეც დაითანხმებს, თუმცა პირველი რეაქციები ასეთ პერსპექტივას არ ადასტურებენ. გაზეთმა „სანმა“ კი ბეგირისტაინის დანიშვნით მანჩინისთვის პოზიტიური ასპექტი დაინახა: ამიერიდან „მანჩოს“ აღარ მოუწევს მუშაობა **ბრაიან მარვუდთან**, რომელსაც ზაფხულში მოსალოდნელი თუ შემდგარი ტრანსფერების გამო რამდენჯერმე ეჩხუბა.

ესპანეთი

## პაკო ბჭობდა, ბარსა იცინოდა

აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ „რაიო ვალეკანოს“ მწვრთნელმა ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო. **პაკო ხემესს** თავდაჯერებული სპეციალისტიც ეთქმის. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „რაიო ვალეკანოს“ დამრიგებელმა და ფეხბურთელებმა თვითშეფასებისას აშკარად გადააჭარბეს.

*„ძალიან შემრცხვება, „ბარსელონასთან“ ისე რომ ვითამაშოთ, როგორც „სელტიკმა“ ითამაშა,“* - თქვა კატალონიურ გრანდთან დუელის წინ ხემესმა და შეგახსენებთ, რომ გლაზგოელები „ბარსასთან“ 1:2 დამარცხდნენ და „ბლაუგრანას“ ბურთის ფლობის 90-პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა. *„ჩვენი მიზანია, რომ ბურთს ვფლობდეთ და გოლები გაიტანოთ,“* - დასძინა თამაშის წინ პაკომ.

„რაიო ვალეკანოს“ არც ერთი გამოუვიდა და არც მეორე: „ბარსელონა“ ბურთს, რა თქმა უნდა, უფრო ხშირად ფლობდა და „რაიოს“ ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა. სხვათა შორის, ამ გამარჯვების შემდეგ ცხადი გახდა, რომ „ბარსამ“ არსებობის ისტორიაში საუკეთესო სტარტი აიღო. მართალია, რვა მოგება და ერთი ფრე კატალონიელებს 1997/98 წლების სეზონის დასაწყისშიც ჰქონდათ, მაგრამ მაშინ ბურთების შეფარდება იყო ოდნავ უარესი...

## ის შავი კაცი...

ჰო, **ლეო მესიმ** და **კრიშტიანო რონალდომ** მორიგი დუბლები შეასრულეს. მესიმ კარიერაში მე-300 და 301-ე გოლები გაიტანა, რონალდომ კი მალიორკელი ფანობის სტვენას საქმით უპასუხა, მაგრამ ამჯერად „უცხოპლანეტელებზე“ ბევრს არ ვილაპარაკებთ...

საქმე იმაშია, რომ დუბლი შეასრულა **ობაფემი მარტინსმაც!** სწორედ იმ მარტინსმა! მან „ლევანტეს“ რიგებში სამ საშინაო შეხვედრაში ითამაშა და მოედანი უგოლოდ ერთხელაც არ დაუტოვებია, „გრანადასთან“ 3:1-ზე მოგებულ მატჩში კი თავის თავს დაბადების დღისთვის მართლაც კარგი საჩუქარი გაუკეთა - კვირას მარტინსი 28 წლის გახდა. 28-ის კი?

გერმანია

## 23 წლის შემდეგ

ლევერკუზენის „ბაიერმა“ მიუნხენში უკანასკნელად რომ მოიგო, მაშინ **სიდნი სემი** ჯერ კიდევ დედის ძუძუთი იკვებებოდა, **ანდრე შიურლე** კი დაბადებულიც არ ყოფილა. 1989 წლის ოქტომბერს „ფარმაცევტებმა“ მიუნხენში 1:0 გაიმარჯვეს. ბერლინის კედელიც იმ წელს დაინგრა...

მას მერე ლევერკუზენელები ბავარიის მთავარ ქალაქში ყოველთვის თეთრი ბაირაღებით ჩადიოდნენ და მხოლოდ 23 წლის შემდეგლა შეძლეს მიუნხენიდან სამი ქულის წაღება. საინტერესოა, რა მოჰყვება ამ ფაქტს პოლიტიკური თვალსაზრისით? იქნებ, **სილვიო ბერლუსკონი** მართლა აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა...

## შავი მაგია

ცრუმორწმუნეობა სისულელეა, საღად მოაზროვნე ადამიანს ცრურწმენის პრობლემა არასდროს შეექმნება, მაგრამ ფაქტია, რომ რიცხვი „27“ მართლა ვერ არის წესრიგში. ყოველ 27 წუთში მსოფლიოში რაღაც ცუდი ხდება. მაგალითად, გერმანიაში ყოველ 27 წუთში ერთხელ ჩხუბი ხდება და სწორედ ყოველ 27 წუთში ერთხელ „ჰოფენჰაიმის“ მეკარე **ტიმ ვიზეს** კარში გოლი გადის. სხვა საქმეა ის, რომ გერმანიაში ეს რეალურად არავის აღელვებს - ღელავს მხოლოდ თავად გერმანიის ნაკრების რიგით მეექვსე თუ მეშვიდე მეკარე.

იმის გამო, რომ ვიზემ მაინცში 3 გოლი გაუშვა, ბუნდესლიგის ყველაზე უბედური კიპერია და შვიდი თვე და 17 დღეა, გერმანიის ჩემპიონატში გამარჯვება არ ღირსებია, მატჩის შემდეგ ჟურნალისტმა აბსოლუტურად ლოგიკური კითხვა დაუსვა - თავდაჯერების საქმე როგორ არისო.

ტიმი ამაზე ისე ავარდა, თითქოს პენისის ზომაზე ჩამოუგდეს სიტყვა: *„შენ ფიქრობ, რომ თავდაჯერება მაკლია, თუ რა? მეცინება ამაზე!“* - თქვა ვიზემ, მაგრამ არც კი გაუღიმია...

## წარმოშობით საიდან ხარ, ვადიმ?

როცა „შტუტგარტისა“ და „აინტრახტის“ მატჩში ფრანკფურტელი **ვადიმ დემიდოვი** მოედანზე შევიდა, გერმანელი კომენტატორი მაგრად აიჭრა. ჯერ იყო და, ვადიმს როგორც ბულგარელს მიესალმა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ბულგარელად მოიხსენიებდა, მერე, სავარაუდოდ თვითონვე შეეპარა ეჭვი და თქვა, ბურთით რუსი ფეხბურთელიაო, მოგვიანებით კი, სავარაუდოდ, მაინც გადამოწმება ამჯობინა და აღმოაჩინა, რომ თურმე ვადიმ დემიდოვი ნორვეგიის ნაკრების ღირსებას იცავს. ჩვენ ერთსღა დავამატებთ: სხვათა შორის, ვადიმ დემიდოვი რიგაში, ანუ, ლატვიაშია დაბადებული...

**გოტფრიდ ლენცი**




ვნებათაღელვა კატანიასა და იუვენტუსის მატჩის დროს

# ქართული სპორტი

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. სალაძის ტურნირი

## დაფასება...

**ამ უქმეებზე გლდანის ოლიმპიური მომზადების ცენტრმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონ მიხეილ სალაძის სახელობის ტურნირს უმასპინძლა 1996-98 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის.**

ტურნირი არ არის საერთაშორისო კალენდარში შეტანილი, საშინაო შეჯიბრებაა, თუმცა მასში სომხეთის 30 და აზერბაიჯანის 15-კაციანი გუნდი მაინც მონაწილეობდა. ჩვენებიც ასეთ შეჯიბრებებზე ხშირად ჩადიან მეზობლებთან და საპასუხო ვიზიტით სტუმრობას არც ისინი გვამადლიან. ეს ორივე მხარისთვის კარგია - ტურნირის დონე იზრდება. ამჯერად 255 მოზარდი მოგროვდა, რაც ამ ასაკისთვის კარგი მაჩვენებელია.

ეს არის ჭაბუკთა უმცროსი ასაკი, რომელსაც გაისად ევროპისა და მსოფლიოს პირველობები უწევს. ამიტომ ასეთ ტურნირებზე მწვრთნელთა მთავარი ამოცანა სათანადო კადრების მოძიებაა. დანიშნულება ამ ტურნირმაც გაამართლა. მართალია, ბევრგან ძველმა, მწვრთნელებისთვის კარგად ნაცნობმა კადრებმა ისახელეს თავი, მაგრამ იყვნენ ახლებიც. თანაც, წარმატება და სტაბილურობა ხომ იმ ძველ ლიდერებსაც სჭირდებათ, მათი ახლანდელი მიღწევა კი სწორედ ამის მაჩვენებელია.

ტურნირმა ჟინიან, დაძაბულ ბრძოლებში ჩაიარა და მედლების უმეტესობა მასპინძლებს ერგოთ, თუმცა არც სომხები უნდა იყვნენ უკმაყოფილონი - 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო მოიპოვეს. თანაც ერთ წონაში - 54-ში სომხური ფინალიც იჭიდავეს. აზერბაიჯანელები 2 ბრინჯაოს დასჯერდნენ.

თავად ზესტაფონელმა სალაძემ თავისივე სახელობის, ანუ ტურნირის მთავარი პრიზი 100 კილოგრამში გამარჯვებულ ქუთაისელ **ზვიად პატარიძეს** გადასცა. სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა 58 კილოგრამში გამარჯვებული სამტრედიელი **სულიკო ვახტანგაძეც** - იგი მსოფლიოს ჩემპიონმა **დავით ბედინაძემ** თავისი სახელობის თასით დააჯილდოვა.

### კვარცხლბეკი

**42 კგ.** 1. ტიგრან მინასიანი (სომხეთი); 2. თემურ ირემაძე (ბათუმი); 3. ლერი აბულაძე, თორნიკე მელაძე (ორივე - ხულო).

**46 კგ.** 1. არარატ მანუჩარიანი (სომხეთი); 2. თემურ შავაძე (ხულო); 3. ელსევარ ალიევი (აზერბაიჯანი), მანუკ შაჰრადიანი (სომხეთი).

**50 კგ.** 1. გიორგი კურტანიძე (სართიჭალა); 2. ირაკლი შავაძე (ბათუმი); 3. იური ლომიძე (ოზურგეთი), გრიგორ სირეხანიანი (სომხეთი).

**54 კგ.** 1. ნორაირ ბაბაიანი; 2. ზავენ მიქაელიანი (ორივე - სომხეთი); 3. დავით ბაკურიძე (ოზურგეთი), ხვიჩა ტკაკაშვილი (გარდაბანი).

**58 კგ.** 1. სულიკო ვახტანგაძე (სამტრედია); 2. ლევან ქავჟარაძე; 3. გოგა ლომჯარია, გიორგი გუჯაბიძე (სამივე - ოზურგეთი).

**63 კგ.** 1. გიორგი მელია (სამტრედია); 2. მინდია ბოლქვაძე (ბათუმი); 3. რაზმიკ ბერახჩიანი, არმან ვარდუმიანი (ორივე - სომხეთი).

**69 კგ.** 1. რამაზ კვეტენაძე (ქუთაისი); 2. გივი ქართველიშვილი (თბილისი); 3. ნიკა იაკობაძე (ბათუმი), სეიმურ აბდულაევი (აზერბაიჯანი).

**76 კგ.** 1. ნუკრი შავაძე (ოზურგეთი); 2. ალექსი ლორია; 3. ვასილ თავბერიძე (ორივე - ოზურგეთი), არსენ სარგსიანი (სომხეთი).

**85 კგ.** 1. გიგა ქოქოლაძე (ბათუმი); 2. გიორგი ბარბაქაძე (სართიჭალა); 3. ზურაბ ჯიშკარიანი (ოზურგეთი), ლევან გადაბაძე (თბილისი).

**100 კგ.** 1. ზვიად პატარიძე (ქუთაისი); 2. გიორგი გოგინაშვილი, 3. თენგიზ ძებნიაური (ორივე - თბილისი), გურამ ტორაძე (ქუთაისი).

**ირაკლი თავაძე**

● ძიუდო. რეგიონი. ანზორ ქიბროწაშვილის მემორიალი



## ჭაბუკთა შერჩევა გორიდან დაიწყო

ძიუდოში პირველი ქართველი ევროპის ჩემპიონ ანზორ ქიბროწაშვილის გარდაცვალების შემდეგ, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური ტურნირი გორში უკვე მესამე წელიწადია იმართება.

წლევანდელ შეჯიბრებასაც გურამ პაპიტაშვილის სახელობის ჭიდაობის დარბაზმა უმასპინძლა. იასპარეზეს 1996-1997 წწ. დაბადებულმა ძიუდოისტებმა. ამ ასაკის სპორტსმენები გაისად საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვან შეჯიბრებებში იასპარეზებენ. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების შესარჩევად ეს იყო პირველი ასპარეზობა. შესაბამისად, ნაკრების მწვრთნელების **გია თენაძისა** და **გიორგი რევაზიშვილის** მითითებით, ტურნირმა თბილისის ხუთი კლუბის, ახმეტის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, ყვარლის, გურჯაანის, მარტყოფის, მარნეულის, მცხეთის, დუშეთის, კასპის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ზესტაფონის, მესტიისა და გორის ძიუდოს სკოლის აღზრდილები მოიზიდა. იასპარეზეს გორში ამჟამად ერთობლივ წვრთნებზე მყოფმა ბაქოს კლუბის სპორტსმენებმაც. ქართველ ლიდერთაგან შეჯიბრებას მხოლოდ ტრავმის და ავადმყოფობის მიზეზით თუ გამოაკლდა რამდენიმე სპორტსმენი. წლევანდელ ევროპის ჩემპიონატთან შედარებით ზოგიერთი ძიუდოისტი სხვა წონაში ასპარეზობდა, თუმცა მათი ნაწილი კონკურენტთა ახალ გარემოში ძველებურად კარგი შედეგით ვერ გამოირჩა. მაგალითად, ამჯერად 60 კგ-ში იჭიდავა ევროპის მესამე პრიზიორმა კასპელმა **გიორგი კაციაშვილმა.** 60 კგ-ში ევროპის ჩემპიონი, საგარეჯოელი **კობა მჭედლიშვილი** ამჯერად 66 კგ-ში ასპარეზობდა და აქაც საუკეთესო იყო. იმავე წონაში დარჩნენ და შიდა კონკურენციაში პირველობა არავის დაუთმეს კონტინენტის მეორე პრიზიორებმა, თბილისელმა **ბექა ნათათრალიშვილმა** (55) და ახმეტელმა **დავით რამაზაშვილმა** (90). შეჯიბრებას ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები სჯიდნენ.

*„წლის ბოლომდე ანალოგიური ორი ტურნირი კახეთისა და დასავლეთ საქართველოს რომელიმე ქალაქში ჩატარდება. იქ ნაჩვენები შედეგებით მოხდება, სავარაუდოდ, თებერვალში გასამართ საქართველოს ჩემპიონატზე ფავორიტთა განთესვა. ბოლოს კი რჩეულ ჭაბუკთა ნაკრები ანთალიის ტურნირზე საბოლოოდ დაკომპლექტება და ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. გაისად გვიწევს აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონატსა და ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალზე ასპარეზობა. ამიტომ ვცდილობთ შევარჩიოთ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი და ამავე დროს ვიყოთ მაქსიმალურად ობიექტურები. არაერთი ძიუდოისტის გამოსვლით დავრჩი კმაყოფილი. თუმცა გამარჯვებულები მხოლოდ ამ წარმატებით გუნდში ადგილს ვერ დაიჯავშნიან. მეორე და მესამე პრიზიორებმა თუ კვარცხლბეკის მიღმა დარჩენილებმაც უნდა იცოდნენ, რომ მათთვისაც ყველაფერი ჯერ კიდევ წინ არის“* - გვითხრა გია თენაძემ.

### კვარცხლბეკი

**50 კგ.** 1. ნიკა ჭიკაიძე (ახმეტა) 2. ირაკლი კუპატაძე (საგარეჯო), 3. გიორგი მირუაშვილი და რობიზონ ბეგლარიშვილი (ორივე — გორი);

**55 კგ.** 1. ბექა ნათათრალიშვილი, 2. ზურაბ ონიანი, 3. ირაკლი ლიპარტელიანი და ალუდა ჩეკურიშვილი (ოთხივე — თბილისი);

**60 კგ.** 1. ზვიად ხუბულური (გორი), 2. გიორგი მეტრეველი (ხაშური), 3. იუსუფ ნაბიევი (ბაქო) და გიორგი კაციაშვილი (კასპი);

**66 კგ.** 1. კობა მჭედლიშვილი (საგარეჯო), 2. გიგა გიგაური (მარტყოფი), 3. დიმიტრი ცაბაძე და ჯემალ ბუჩუნტელი (ორივე — თბილისი);

**73 კგ.** 1. ზურა ლომიძე (ზესტაფონი), 2. გიგა ქევხიშვილი, 3. ლევან ბექაური (ორივე — თბილისი) და დათო იმერლიშვილი (ქარელი);

**81 კგ.** 1. გიორგი ქურდიანი (თბილისი), 2. იესო კვირიკაშვილი (გორი), 3. გიგა ტურაშვილი და ლაშა აბუაშვილი (ორივე — თბილისი);

**90 კგ.** 1. დავით რამაზაშვილი (ახმეტა), 2. გიორგი გველესიანი, 3. დავით ოზბეთელაშვილი (ორივე — თბილისი) და ლევან გლიხაშვილი (გორი);

**+ 91 კგ.** 1. მიხეილ ახალაური (ახმეტა), 2. გიორგი ძებისაშვილი (თბილისი), 3. გიორგი ფარადაშვილი (ქარელი) და თედო წოწიაშვილი (მცხეთა).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● კრივი

## კარელიძის მემორიალი ვარიანში

ამ დღეებში ვარიანის კრივის დარბაზში გაიმართა გიორგი კარელიძის ხსოვნის ტრადიციული მემორიალური ტურნირი კრივში. კარელიძე ამ სახეობაში სპორტული სექციის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი მწვრთნელი იყო გორში, რომელმაც არაერთი ტიტულოვანი მოკრივე გაზარდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ამაგდარი მწვრთნელის სახელობის ტურნირი ათ წელიწადზე მეტია იმართება, ხან გორის და ხან ვარიანის გიორგი კანდელაკის სახელობის კრივის დარბაზში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის გუნდების მონაწილეობით. ამჯერად შეჯიბრებაში საქართველოს ათი ქალაქის კრივის სექციათა წარმომადგენლებმა იასპარეზეს. სპორტსმენთა სიმრავლის გამო, შეჯიბრება ორი დღე გაგრძელდა, ზოგიერთ წონაში პირველობა ორ ჯგუფად წარიმართა და ორ-ორი გამარჯვებული გამოვლინდა.

გაგაცნობთ წონით კატეგორიებში გამარჯვებულებს

**2002-2003 წწ. დაბადებულებს შორის:** გიორგი საჯაია (24 კგ, ფოთი), გიორგი სოლოდოვნიკი (26 კგ, ვარიანი), აკაკი მიმინოშვილი (28 კგ, ფოთი), ლუკა ნიქაბაძე (30 კგ, გორი), ალეკო კაპანაძე (32 კგ, ჭიათურა), მამუკა აბულაძე (34 კგ, ვარიანი), ავთანდილ შოშიაშვილი (36 კგ, გორი), ლუკა გოგიჩაიშვილი (38, ფოთი).

**200-2001 წწ. დაბადებულებს შორის:** გიორგი ხარატიშვილი (24 კგ, ტყიბული), ბექა საჯაია (30 კგ, I ჯგ, ფოთი), დათო ნაცვლიშვილი (30 კგ, II ჯგ, ვარიანი), დათო კაპანაძე (32 კგ), გიორგი კაპანაძე (34 კგ, I ჯგ, ორივე — ჭიათურა), გიორგი ბერელაშვილი (34 კგ, II ჯგ, გორი), ზურაბ კონტრიძე (36 კგ, I ჯგ, ფოთი), ვლადიმერ ბერიკაშვილი (36 კგ, II ჯგ, ვარიანი), ალიკა ყიფიანი (38 კგ, საჩხერე), გიორგი წაწალაშვილი (40 კგ, თელავი), ზურაბ მენაბდიშვილი (42 კგ), ალეკო შატაკიშვილი (46 კგ, I ჯგ, ორივე — გორი), გერისო ადუაშვილი (46 კგ, II ჯგ, ვარიანი), ილია მწარიშვილი (48 კგ, გორი), დავით ნარსია (53 კგ, ფოთი);

საპრიზო ადგილების რაოდენობის მიხედვით გუნდური პირველობა წილად ხვდა გორელებს, რომელთაც მცირედით ჩამორჩნენ ფოთელი მოკრივეები. გამარჯვებულებს გადაეცათ თასები და მედლები.

**ვასილ ბალახაძე**

● ჩოგბურთი

## შაფათავამ ფავორიტს აჯობა


სოფიო შაფათავა

სტამბოლში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) პირველ ნომრად განთესეს 29 წლის უკრაინელი იულია ბეიგელციმერი. იგი WTA-ს რეიტინგით ამჟამად 170-ეა (2006 წლის 25 სექტემბრისთვის კი საუკეთესო ასეულში იყო და კლასიფიკაციაში 83-ე ადგილი ეკავა). ასპარეზობის სტარტზე მას 23 წლის **სოფიო შაფათავა** დაუპირისპირდა, რომელიც რეიტინგით 286-ე საფეხურზე იმყოფება. ცხადია ამ წყვილშიც ფავორიტად უკრაინელს მიიჩნევდნენ. ბეიგელციმერმაც პირველი ხელი 6:4 მოიგო, მაგრამ მერე შაფათავამ შეძლო ძალების მობილიზება და მეტოქეს წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურა — 6:1, 6:0. მეორე წრეში ჩვენებური რუსი იულია კალაბინას მძლეველ (6:4, 6:4) ნიგინა აბდურაიმოვასთან გაარკვევს ურთიერთობას.

თანამემამულეს მხარი ვერ აუბა **მაკა ჩახნაშვილმა,** რომელმაც ორ სეტში დათმო შეხვედრა მესამე ნომრად განთესილ ამრა სადიკოვიჩთან (შვეიცარია) — 3:6, 4:6. მაკას რევანშის შანსი, შესაძლოა, წყვილებში მიეცეს, სადიკოვიჩი ბოსნიელ ჟასმინა ტინჯიჩთან ერთად დუეტში მე-2 ნომრად განთესილ ანასტასია გრიმალსკა (იტალია) — ევგენია პაშკოვას ბარიერს თუ გადალახავს. ჩახნაშვილმა და შაფათავამ, როგორც გაუწყეთ, პირველ წრეში მასპინძლები — გიზემ მელისა ატესი და ნაზ კარაგოზი დაჯაბნეს — 6:2, 6:1.

**ვაჟა დანელია**

● ცურვა

## პირველად მოკლე წყალზე

ახალგაზრდებში ევროპის წლევანდელი მესამე პრიზიორი **ირაკლი ბოლქვაძე,** რომელმაც ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზეც მოსინჯა ძალები, დიდი ბრიტანეთიდან დაბრუნების შემდეგ ტრავმას იშუშებდა და მთელი დატვირთვით არ უვარჯია. ამის მიუხედავად, ქართველი სპორტსმენი ფრანგული სენ დიეზიერის საწყლოსნო კლუბის მესვეურებმა სპეციალურად მიიწვიეს მოცურავეთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე და, მგზავრობის გარდა, სხვა ხარჯები თავად აუნაზღაურეს. შეჯიბრებაში, რომელიც მოკლე წყალზე (25-მეტრიან აუზში) გაიმართა, 20-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ირაკლი ბოლქვაძემ (მწვრთნელი **ირინა მინჟულინა**) ბრასით 200 მეტრი 2.18,85-ში გაცურა, რაც 24 მონაწილეს შორის მხოლოდ მე-8 ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. პირველი ადგილი უნგრელმა დევიდ ვერასტომ (2.09,88) დაიკავა, მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, რუსი ვლადისლავ ფინაჩენკო (2.10,31) და ბელარუსი ილია შუმანოვიჩი (2.10,85) გავიდნენ.

ორჯერ მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში. ჩვენებური მე-12 იყო (2.08,55). დისტანცია აქაც ყველაზე სწრაფად (1.58,32) დევიდ ვერასტომ დაფარა. მას 1,31 წამით ჩამორჩა იტალიელი ფედერიკო ტურინი, რომელსაც ვერცხლი ერგო. მესამე ადგილზე მისი თანაგუნდელი სიმონე ჯენი (1.59,68) გავიდა. იმის გარდა, რომ ქართველი მოცურავე ამ შეჯიბრებისთვის, ფაქტობრივად, მოუმზადებელი გახლდათ, მან მოკლე წყალი საერთაშორისო სარბიელზე პირველად მოსინჯა. ეს, ერთი მხრივ, შესაძლოა, სასარგებლოც გამოდგეს, რადგან 12 დეკემბრიდან სტამბოლი სწორედ მოკლე წყალზე უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატს. ამ მნიშვნელოვანი ტურნირისთვის მონდომებით ემზადებიან **ირაკლი რევიშვილი** და **დავით სიხარულიძე.** მათ, ალბათ, ბოლქვაძეც დაემატება, რომელსაც გაისად გაზაფხულზე კასაბლანკაში (მაროკო) ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე მოუწევს გამოსვლა.

**ვაჟა დანელია**

## განცხადება

მ.წ. 21 ნოემბერს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს სხდომათა დარბაზში გაიმართება საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა.

დღის წესრიგშია ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები. დელეგატთა რეგისტრაცია 11 საათიდან, დასაწყისი 12 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2012 წლის 18 ნოემბერი.

მისამართი: ჩოლოყაშვილის №9 (ყოფილი ჭავჭავაძის 49-ა).

საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია

**ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

ერთი ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა. ქველიაშვილის ტურნირი


ნინო სალუქვაძე

# გვეწვევა სეკარიჩი თბილისში?

16-20 ნოემბერს თბილისში, **ნინო სალუქვაძის** სახელობის ტირში გაიმართება ევროპის სამგზის ჩემპიონისა და ოლიმპიური ვერცხლისმედალოსან შოთა ქველიაშვილის ხსოვნის ტურნირი ტყვიის სროლაში, რომელიც მხოლოდ პნევმატურ იარაღში ჩატარდება.

ტურნირში ქვეყნის ყველა უძლიერესი მსროლელი გამოვა ტირის მასპინძლის ნინამძღოლობით, თუმცა ეს საერთაშორისო შეჯიბრებაა და ამჯერად უცხოელთა ბევრად უფრო სოლიდური წარმომადგენლობა ჩამოვა. დღემდე მემორიალზე ძირითადად მხოლოდ აზერბაიჯანელები გვსტუმრობდნენ, თუმცა მცირე, 3-4-კაციანი გუნდით, ამჯერად კი 11 მონაწილით ჩამოვა. ცხადია, მათ ნაკრებს კვლავაც ოლიმპიური ბრინჯაოსმედალოსანი, მსოფლიოს სამგზის ვიცე-ჩემპიონი **ირადა აშუმოვა** ჩამოუძღვება, რომელიც მუდმივად მონაწილეობს ამ შეჯიბრებაში. როგორც სალუქვაძემ გვითხრა, ერთი მალაიზიელი მსროლელის ჩამოსვლაც გადაწყვეტილია, დანარჩენებთან დაკავშირებით კი თავს ქართული რეალობა იჩენს.

ტურნირის პოპულარობის გასაზრდელად სალუქვაძე ყოველთვის ცდილობს ძლიერთა მოწვევას და ამჯერად სერბეთის ნაკრებსაც მოელაპარაკა აქ ჩამოსვლაზე და ბულგარელთა ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **მარია გროზდევასაც**. სერბებს არც უარი უთქვამთ და არც - დასტური, იქამდე ცოტა დროა დარჩენილი და თუ მოვასწარით, გეწვევითო. მაგრამ თუ გვესტუმრნენ, ლაპარაკია ისეთი მსროლელების ჩამოსვლაზე, როგორებიც არიან ოლიმპიური ჩემპიონი და სამგზის ვერცხლისმედალოსანი, მსოფლიოს სამგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი **იასნა სეკარიჩი**, ევროპის ორგზის ჩემპიონი **ბობანა ველიკოვიჩი** და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ზორანა არუნოვიჩი**. თუმცა სწორედ აქ ვაწყდებით იმ ზემოხსენებულ ქართულ რეალობას - ბაზების დეფიციტს! საქმე ისაა, რომ ზემოხსენებულ ტირში (რაც ნაკრების ერთადერთი ბაზაა მთელ ქვეყანაში) მხოლოდ 5 ფარია, ეს კი ამხელა შეჯიბრებისთვის ფრიად არასაკმარისია. „ხუთ ფარზე რამდენმა უნდა ისროლოს", გვითხრა სალუქვაძემ და მართლაც იოლი წარმოსადგენია თანამედროვე ტიპის ბაზებს შეჩვეული ზემოხსენებული სამეული თავისუფალი ფარის მოლოდინში! არადა, როგორც სალუქვაძისგან ვიცი, თავად სერბეთში მშვენიერი ბაზები აქვთ. მახსოვს, ერთხელ ბელგრადიდან დაბრუნებული სალუქვაძე გაკვირვებული რომ ლაპარაკობდა იქაურ სასროლეთებზე, ქალაქში შენობებს ჯერაც ეტყობათ ნატყვიარები და ომის კვალი, მაგრამ ბაზები აქვთო. ბაზების პრობლემის გამოა, ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამჯერად ბულგარეთიდან მხოლოდ გროზდევა და მისი ქმარი რომ მოიწვია (ის მარიას პირადი მწვრთნელიცაა) და არა მთელი გუნდი. სასროლეთი რომ არ გვაქვს, ამიტომ ბევრის მოპატიჟებას ვერიდები და ძირითადად პერსონალურად ვიწვევო, ესეც ჩვენმა ოლიმპიურმა მითხრა. მისი თქმით, ჩამოსვლაზე უარს არც უკრაინელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ოლენა კოსტევიჩი** ეტყვის და არც - სხვა ძლიერი მსროლელებიო, რაშიც ეჭვის შეტანა ძნელია. სალუქვაძე ჩვენთვის მართლაც ბრენდია, რასაც ბაზების არქონის გამო ვერ ვიყენებთ. არადა, წარმოიდგინეთ სეკარიჩის დონის ვარსკვლავი თბილისში! შეიძლება, ტყვიის მსროლელები არ არიან ფეხბურთელებივით ან კალათბურთელებივით ცნობილნი და პოპულარულნი საზოგადოებაში, მაგრამ მსოფლიო სპორტის ვარსკვლავთა კოჰორტაში შედიან, ასეთთა მასპინძლობა კი ნებისმიერი ქვეყნისთვის დიდი პატივია.

იმედია, ახალი ხელისუფლება მაინც მოაგვარებს პრობლემას, შეიმუშავებს სპორტული ბაზების მშენებლობის გეგმას და მას ნაბიჯ-ნაბიჯ, დარღვევა-გადაცდომების გარეშე შეასრულებს, თორემ ამ მხრივ ძალზე ცუდი ვითარებაა. იმავე ტყვიის სროლას სალუქვაძის ტირის გარდა სხვა ხეირიანი ბაზა არც აქვს, მაგრამ ერთი, რომ სატურნიროდ ძალზე პატარაა და მეორეც - ღია სასროლეთიც აუცილებელია, თორემ მერე ჩვენებს უცხოეთში ადაპტაცია უჭირთ. თანაც, ამ ტირში არაა ელექტროფარები, რაც შეუცვლელია იმავე უცხოეთში ფინალურ ეტაპზე და ძალზე ძვირიც ღირს. თან ამ ტირს არ აქვს 50-მეტრიანი სასროლეთი და ბიჭებს დერეფანში უწევთ დგომა, სადაც სივიწროვის გამო ორი კაცი ერთად ფიზიკურად ვერ დაეტევა, არათუ ივარჯიშოს. ერთი სიტყვით, იმის თქმა გვინდა, რომ ეს ტირიც გვარიანად ჩამორჩება თანამედროვე სტანდარტებს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, ერთ სახეობას ერთი კეთილმოწყობილი ბაზა მაინც უნდა ჰქონდეს.

**ირაკლი თავაძე**

წიგნის თარო

# არის მატიანე!

კარგა ხანს „ლელოში" იბეჭდებოდა ცალკე თავებად, ახლა კი ერთ წიგნად შეკრული მოევლინა დღის სინათლეს საქართველოს სპორტის აკადემიის პროფესორის **გურამ ძაგანიას** უაღრესად საჭირო და საინტერესო ნაშრომი „ქართული სპორტის მატიანე". აქვე ვიტყვით, ხელთა გვაქვს მართლაც რომ სამაგიდო წიგნი. აბა, ვის არ დააინტერესებს, დასაბამიდან დღემდე რა გზა გამოიარა ქართულმა სპორტმა, ვის არ დააინტერესებს, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის რამდენი ჩემპიონი და პრიზიორი გვყავს და ვინ არიან ისინი, რამდენს უასპარეზია სხვა ქვეყნის სახელით წარმატებით. და ეს არ არის მხოლოდ სტატისტიკა, ესაა ნარკვევები ქართულ სპორტზე ცოცხლად, ყველასთვის გასაგებად და შთამბეჭდავად დაწერილი. და არა მხოლოდ რჩეულ ათლეტებზე, არამედ მათ აღმზრდელებზე, შემოქმედ სპორტულ ფედერაციებზე, სპორტის ეროვნულ თუ საერთაშორისო სახეობებზე.




ერთი მთავარიც უნდა გითხრათ. „ქართული სპორტის მატიანე" დიდი სიყვარულითაა გამოცემული, დიახ, რომ სიყვარულით, რადგან ასეთი მაღალი ხარისხის, თანაც ფერადი და მყარი გარეკანით, საუკეთესო ქაღალდზე ნაბეჭდი მსგავსი ფორმატის წიგნი სპორტულ თემაზე, იშვიათად თუ გვინახავს საქართველოში. პირველი მერცხალი კი, ზოგადად, 2006 წელს ჩენი კოლეგის, **ელგუჯა ბერიშვილის** პროექტით და **ბადრი პატარკაციშვილის** ფონდის დაფინანსებით დასტამბული "სპორტის ენციკლოპედია" იყო. ახლა ამ ბრწყინვალე გამოცემის სულისჩამდგმელია ჩვენი და საბერძნეთის, ოლიმპიადების მშობელი ქვეყნის, საზიარო ოლიმპიური ჩემპიონი, საქართველოს ოლიმპიელთა კლუბის თავკაცი **კახი კახიაშვილი.**

დაბოლოს, „ვაცნობიერებ, რომ მონოგრაფია ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისგან. ამიტომ მადლიერებით მივიღებ ყველა შენიშვნასა და რჩევას, რომელსაც გავითვალისწინებ მომავალ მუშაობაში. გთხოვთ, შენიშვნები გამოგზავნოთ მისამართზე: jemal.dzagania@gmail.com" - წერს ავტორი...

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

ჭადრაკი

# სამეულის შანსს ინარჩუნებს

ბარსელონაში დღეს დამთავრდება მოჭადრაკეთა წრიული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რვა დიდოსტატი და ორი საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობს. მათ შორისაა თბილისელი **ლევან არომიძე,** რომელიც გუშინ ბოლოსწინა ტურში ერთ-ერთ აუტსაიდერ ხოსეპ ომსს (ესპანეთი) დაუზავდა და 4,5 ქულით მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ამის მიუხედავად, საპრიზო სამეულში მოხვედრის შანსს მაინც ინარჩუნებს, რადგან დღეს ბოლო ტურში თეთრი ფიგურებით უშუალო კონკურენტ პეტერ ნილსენს (დანია) დაუპირისპირდება. ეს უკანასკნელი გუშინ ასპარეზობის ერთპიროვნულ ლიდერ სანან სიუგიროვს (რუსეთი) დაუზავდა და არომიძეს ნახევარი ქულით უსწრებს. ჩვენებურს ქულებით გაუთანაბრდა ივან სოკოლოვი (ჰოლანდია). ნიდერლანდელმა ესპანელ ალვარ ალონსოს მოუგო. დანარჩენი ორი პარტია ასე დამთავრდა: ხუან ფლუვია (ესპანეთი)-პერეს ქესადა (კუბა) 0:1, მიგელ მუნიოსი (ესპანეთი)-პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია) 1:0.

რვა ტურის შემდეგ: სიუგიროვი-6,5, ქესადა-5,5, ნილსენი-5, სოკოლოვი, არომიძე-4,5-4,5, ალონსო-3,5, ომსი, ფლუვია-3-3, მუნიოსი-2,5, ნიკოლიჩი-2 ქულა. დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: ქესადა-მუნიოსი, ალონსო-ფლუვია, სიუგიროვი-სოკოლოვი, არომიძე-ნილსენი, ნიკოლიჩი-ომსი.

**ვაჟა დანელია**

# ოროსნები დაწინაურდნენ

ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო პირველი ქართველი დიდოსტატის - **ბუხუტი გურგენიძის** მესამე მემორიალი, რომელშიც 8-14 წლის გოგო-ბიჭები მონაწილეობენ. უკვე გათამაშდა 2 ტური. 10-წლიან გოგონებში უდანაკარგოდ თამარ ლაგაზაური, ლალი გარსიაშვილი, ანასტასია სიდამონიძე და მარიამ მექვევრიშვილი ლიდერობენ. 12-წლიანებში 2-2 ქულით მარიამ ჯანიაშვილი, მარიამ წამალაშვილი, მარიამ ხუცურაული, ხოლო 14-წლიანებში ანა ჩხაიძე და დალი ნანეიშვილი დაწინაურდნენ.

ბიჭებში ყველაზე მეტი მონაწილე (36) 8-წლიანებშია. აქ 2-2 ქულა აქვთ დავით გაბუნიას, თევდორე ნადარეიშვილს, თორნიკე ნასარიძეს, ნიკოლოზ კევლიშვილს, გიორგი წოწორიას, თეიმურაზ კვიკვინიას, გიორგი უჯმაჯურიძეს, საბა ლომსაძეს, ანდრია ლოლაძესა და ირაკლი სანოძეს. დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ლიდერთა შორის მეტი სიმჭიდროვეა: 10-წლიანებში ანტონ ნადირაძემ, საბა ლომსაძემ, მარლენ გუნიამ, ლიკა ობოლაძემ, ნიკოლოზ ციმაკურიძემ, 12-წლიანებში კოკა ბუკიამ, გიორგი ვარაზაშვილმა, ირაკლი კობახიძემ და ლუკა შამუგიამ, 14-წლიანებში კი თორნიკე არჯევანიძემ 2-2 ქულას მოუყარეს თავი.

დღეს მე-3 ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**



თვის მონაგარი

## ოქტომბერი

**2. ფეხბურთი.** თურქული „ქაისერისპორიდან" წავიდა **შოთა არველაძე.**

**6. წყალბურთი.** ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩში „ლიგამუსი" ჰოლანდიურ „შუურმანთან" 10:13 დამარცხდა.

**8. ზოგადი.** სპორტის მინისტრის პოსტზე **ლევან ყიფიანი** წარადგინეს.

**8. ჩოგბურთი.** მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა 50-ეულში პირველად შეაღწია **ანა ტატიშვილმა.**

**8. ფეხბურთი.** თურქულ „ქასიმფაშაში" მთავარ მწვრთნელად წარადგინეს **შოთა არველაძე.**

**11. ძიუდო.** აბუ-დაბის გრანპრიზე მე-2 ადგილი დაიკავა **ამირან პაპინაშვილმა** (60 კგ).

**11-14. სამბო.** სოფიაში ჭაბუკთა და ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველებმა 13 მედალი მოიპოვეს. ჭაბუკთა შორის ჩემპიონი **ომარ ნიაზაშვილი** (70 კგ) გახდა, ახალგაზრდებში - **ამირან იანვარაშვილი** (82).

**12. ფეხბურთი.** 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ნაკრები სტუმრად ფინეთის ნაკრებს დაუზავდა - 1:1.

**13. ძიუდო.** აბუ-დაბის გრანპრიზე მე-3 ადგილი დაიკავა **ზვიად გოგოჭურმა** (90 კგ).

**16. ფეხბურთი.** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა დანიასთან ამხანაგური მატჩი წააგო - 0:2.

**16. კალათბურთი.** დუდუ დადიანის მემორიალი „არმიამ" მოიგო. ფინალში „არმიამ" „შსს აკადემია" დაამარცხა - 68:57.

**16. ფეხბურთი.** 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩში საქართველოს ნაკრები მინსკში ბელარუსთან 0:2 დამარცხდა.

**16. კალათბურთი.** შედგა თორნიკე შენგელიას დებიუტი „ბრუკლინ ნეთსში". საგამოფენო მატჩში „ბოსტონის" წინააღმდეგ მან 11 ქულა ჩააგდო.

**20. წყალბურთი.** ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ლიგამუსი" რუსულ „სპარტაკთან" (ვოლგოგრადი) დამარცხდა - 8:15.

**20. კალათბურთი.** სტარტი აიღო საქართველოს 22-ე ჩემპიონატმა.

**20-21. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს ნაკრებმა ხასავიურტში (რუსეთი) საკონტინენტთაშორისო თასზე მესამე ადგილი მოიპოვა. **გიორგი საკანდელიძემ** (120 კგ.) კი პირველი ადგილი დაიკავა.

**22. ფარიკაობა.** 23-წლამდელთა შორის **სანდრო ბაზაძემ** თბილისის საერთაშორისო ტურნირი, ევროპის თასი მოიგო.

**26. ფეხბურთი.** ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრები მასპინძლებთან 0:2 დამარცხდა.

**27. რაგბი.** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა გერმანიას 50:13 მოუგო, ხოლო 19-წლამდელთა ნაკრებმა რუმინეთს 31:13 აჯობა.

**27-28. ფიგურული ციგურაობა.** კანადის გრანპრიზე ელენე გედევანიშვილმა მე-5 ადგილი დაიკავა.

**28. ძიუდო.** ბრაზილიაში, მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი **ირაკლი ცირეკიძე**) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**28. ფეხბურთი.** ფინური „ინტერის" ფორვარდმა **ირაკლი სირბილაძემ** ფინეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი მოიგო.

**28. ფეხბურთი.** ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის 19-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველო აზერბაიჯანს დაუზავდა - 1:1.

**30. ფეხბურთი.** თბილისში ევროპის ჩემპიონატის 17-წლამდელთა შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა უკრაინასთან 1:3 წააგო.

**30. რაგბი.** ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველომ ბელგიას 55:6 მოუგო.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

სუპერლიგა 2012-13. II ტურის რჩეულნი

# კარტერი მართალი ყოფილა



სათაურის წაკითხვისთანავე გაგიჩნდებოდათ კითხვა - რომელ კარტერზეა ლაპარაკი? პრეზიდენტზე არა, რადგან ახლა სპორტულ გაზეთს კითხულობთ, მხედველობაში არც ვინს კარტერი გვყავს...

ქიენ კარტერი ხომ გახსოვთ, შარშან „დინამოში" რომ თამაშობდა? სწორედ მან ურჩია კირკ არჩიბეკს საქართველოში ჩამოსვლა. დღესვე შეიძლება ითქვას: ისევე როგორც ქიენმა, კირკმაც გაამართლა. იგი სუპერლიგის მეორე ტურის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეთ. კირკმა „სოხუმთან" 31 წუთში 30 ქულა, 13 მოხსნა, 5 პასი და 2 დაფარება მიითვალა. მარგი ქმედების კოეფიციენტი რეკორდული აღმოაჩნდა - 36.

სიმბოლურ ნაკრებში იგი მძიმე ფორვარდად გავამწესეთ. ცენტრობა კი დინამოელ **მილან ოლუიჩს** „ჩავაბარეთ", რომელსაც სამმაგ დუბლამდე 2 დაფარება დააკლდა. ასეთივე მაჩვენებლამდე ერთი პასი დააკლდა შსს-ელ **დეონტა ვონს**, რომელიც სიმბოლურში გამთამაშებლის „ფუნქციებს შეასრულებს". ამავე ამპლუის კალათბურთელები გამოირჩნენ „სოხუმსა" და თსუ-ში: ვფიქრობთ, გივი ბაქრაძეცა და ირაკლი ჩლაიძეც ვირტუალურ ხუთეულში მოხვედრას იმსახურებენ, ამიტომ ისინი ფლანგებზე გავამწესოთ. დაბალი, მაგრამ სწრაფი და მობილური ხუთეული გამოგვივა.

გუშინ, ევროჩელენჯისთვის მზადებაში მყოფმა „არმიამ" საკონტროლო მატჩი გამართა „შსს აკადემიასთან". გამარჯვება არმიელებს დარჩათ. შეხვედრის დასრულების შემდეგ ინტერვიუ ჩამოვართვით ტურის საუკეთესო კირკ არჩიბეკს.

- მადლობა. MVP-ად დასახელება სასიამოვნოა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა. თანაგუნდელები ერთმანეთს კარგად ვეხმარებოდით და მიმაჩნია, რომ ეს აღიარება ყველაზე თანაბრად უნდა გადანაწილდეს.

**- რთული მატჩი გამოვიდა, რასაც წინასწარ ბევრი არ ელოდა.**

- „სოხუმი" ახალგაზრდული გუნდია, ბურთსაც კარგად ათამაშებდა და პერიმეტრიდანაც თითქმის უშეცდომოდ ისროდა. ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ბევრი შორეული ტყორცნა კი გამოიყენეს.

**- 15.**

- მართლა ბევრია.

**- სეზონის დასაწყისში საქართველოდან წინადადება რომ მიიღეთ, პირველი რა გაიფიქრეთ?**

- თქვენს ქვეყანას არ ვიცნობდი. დავუკავშირდი ჩემს ახლო მეგობარ ქიენ კარტერს და აზრი ვკითხე. მითხრა, ლამაზი მხარეა, კალათბურთსაც კარგად თამაშობენო. მოკლედ, ქიენმა საქართველოში ჩამოსვლა მირჩია და არ ვნანობ, ასე რომ მოვიქეცი. კარტერი მართალი გამოდგა, თბილი ხალხი და მშვენიერი ქვეყანა დამხვდა. თანაგუნდელებიც მხარში მიდგანან და ყოველმხრივ მეხმარებიან. ვცდილობ ქართული ენის შესწავლას, მაგრამ ჯერ ვერ ვახერხებ - ყველაზე რთული ენაა, რასაც აქამდე შევხვედრივარ.

**- ქვეყნის დათვალიერებას თუ ასწრებთ?**

- ძველ დედაქალაქ მცხეთაში ვიყავით. ორი დიდი ეკლესია მოვინახულეთ. ოჯახიც მახლდა და თბილისში შთაბეჭდილებებით დატვირთულები დავბრუნდით.

**- „შსს აკადემიაზე" ზოგადად რისი თქმა შეგიძლიათ?**

- კარგი ორგანიზაციაა, მწვრთნელები, მოთამაშეები... ადაპტაცია არ გამჭირვებია. ჩვენს გუნდში ბევრი ახალგაზრდა ირიცხება, რომლებსაც დიდი პოტენციალი აქვთ. ნელ-ნელა კიდევ უფრო შევიკვრებით და ნებისმიერისთვის სერიოზული მოწინააღმდეგე ვიქნებით.

**- რა არის თქვენი მთავარი მიზანი?**

- არსებობს მაღალი და დაბალი მიზნები. მე ყოველთვის მაქსიმუმზე ვფიქრობ. ვიბრძოლებ ჩემპიონობისთვის. დანარჩენს უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობისას ვნახავთ.

**- საქართველოს პირველობის დონეს როგორ შეაფასებდით?**

- როგორც ყველგან, აქაც არიან ძლიერი და სუსტი გუნდები. მაგალითად, ფავორიტებთან, „არმიასა" და „ოლიმპთან" სერიოზული ბრძოლა გველის. გასულ ტურში დავრწმუნდით, რომ იოლად დასაძლევი არც სხვა მეტოქეები იქნებიან. ამიტომ, აუცილებელია სათანადო მომზადება და შეთამაშება.

**- გასული სეზონი პოლონეთში გაატარეთ. მაღალი დონის პირველობა აქვთ?**

- პოლონური „პროკიმი" ევროლიგაზე ასპარეზობს. დანარჩენებს იმდენად კარგი შემადგენლობა ჰყავთ, რომ ღირსეულ კონკურენციას უწევენ ევროლიგის წარმომადგენელს. ასე რომ, პოლონელებს მართლაც ძლიერი ლიგა აქვთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**







| | |
|---|---|
| არმია-ქუთაისი | 78:58 |
| შსს აკადემია-სოხუმი | 100:90 |
| თსუ-სტუ | 65:59 |
| რუსთავი-სამედიცინო | 79:57 |
| ბათუმი-დინამო | 53:69 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეკორდები

**ქულა**

30 - კირკ არჩიბეკი (შსს აკადემია)
2-ქულ 10/16; 3-ქულ 0/0; საჯ 10/14
27.10.12 შსს-სოხუმი

**მოხსნა**

14 - კაელ ნელსონი (რუსთავი)
(მეტოქ: 7; საკუთ: 7)
20.10.12 სტუ-რუსთავი

**ჩაჭრა**

4 (ორჯერ) - ნეით ბოუი (რუსთავი)
20.10.12 სტუ-რუსთავი
26.10.12 რუსთავი-სამედიცინო

4 - ბექა ჩიკვილაძე (დინამო)
20.10.12 დინამო-თსუ

**პასი**

9 - რეზო როგავა (შსს აკადემია)
20.10.12 შსს-ბათუმი
9 - გიორგი ნანიტაშვილი (ბათუმი)
20.10.12 შსს-ბათუმი
9 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
27.10.12 შსს-სოხუმი

**დაფარება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

### ქულა

| | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ლამარ კარიმი | დინამო | 2 | 54 | 27 |
| 2. | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 2 | 49 | 24.5 |
| 3. | კირკ არჩიბექი | შსს აკადემია | 2 | 44 | 22 |
| 4. | ნეით ბოუი | რუსთავი | 2 | 41 | 20.5 |
| 5. | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 2 | 39 | 19.5 |
| 6. | გივი ბაქრაძე | თსუ | 2 | 38 | 19 |
| 7. | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 2 | 30 | 15 |
| 8. | კაელ ნელსონი | რუსთავი | 2 | 30 | 15 |
| 9. | მილან ოლუიჩი | დინამო | 2 | 28 | 14 |
| 10. | ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 2 | 26 | 13 |
| 11. | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 2 | 26 | 13 |
| 12. | გრიგოლ შვანგირაძე | სოხუმი | 2 | 26 | 13 |

### მოხსნა

| | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მილან ოლუიჩი | დინამო | 2 | 8 | 15 | 23 | 11.5 |
| 2. | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 2 | 8 | 14 | 22 | 11 |
| 3. | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 2 | 9 | 12 | 21 | 10.5 |
| 4. | კირკ არჩიბექი | შსს აკადემია | 2 | 10 | 11 | 21 | 10.5 |
| 5. | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 2 | 4 | 16 | 20 | 10 |
| 6. | კაელ ნელსონი | რუსთავი | 2 | 7 | 12 | 19 | 9.5 |
| 7. | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 2 | 6 | 10 | 16 | 8 |
| 8. | თორნიკე ნინიაშვილი | დინამო | 2 | 5 | 10 | 15 | 7.5 |
| 9. | ლაშა კეშელავა | ბათუმი-რსუ | 2 | 3 | 12 | 15 | 7.5 |
| 10. | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 2 | 1 | 14 | 15 | 7.5 |

### პასი

| | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | რევაზ როგავა | შსს აკადემია | 2 | 12 | 6 |
| 2. | რატი ბააკაშვილი | სოხუმი | 2 | 11 | 5.5 |
| 3. | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 2 | 11 | 5.5 |
| 4. | ვახტანგ ჩქარეული | თსუ | 2 | 11 | 5.5 |
| 5. | გიორგი გაფრინდაშვილი | სამედიცინო | 2 | 10 | 5 |
| 6. | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 2 | 10 | 5 |
| 7. | ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 2 | 9 | 4.5 |
| 8. | რევაზ დიდია | ქუთაისი | 2 | 9 | 4.5 |
| 9. | ნეით ბოუი | რუსთავი | 2 | 8 | 4 |
| 10. | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 2 | 8 | 4 |

### ჩაჭრა

| | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ნეით ბოუი | რუსთავი | 2 | 8 | 4 |
| 2. | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 2 | 6 | 3 |
| 3. | მიხეილ ჟოჟუა | რუსთავი | 2 | 5 | 2.5 |
| 4. | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 2 | 4 | 2 |
| 5. | დავით დეკანოიძე | სოხუმი | 2 | 4 | 2 |
| 6. | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი-რსუ | 2 | 4 | 2 |
| 7. | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 2 | 4 | 2 |
| 8. | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 2 | 4 | 2 |

### დაფარება

| | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | მილან ოლუიჩი | დინამო | 2 | 11 | 5.5 |
| 2. | კირკ არჩიბექი | შსს აკადემია | 2 | 4 | 2 |
| 3. | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 2 | 3 | 1.5 |
| 4. | რომან ტუკვაძე | სამედიცინო | 2 | 3 | 1.5 |
| 5. | ბექა ბექაური | შსს აკადემია | 2 | 2 | 1 |
| 6. | გიორგი ყველაშვილი | ბათუმი-რსუ | 2 | 2 | 1 |

### შეცდომა

| | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | გიგა კვეტენაძე | სტუ | 2 | 9 | 4.5 |
| 2. | გივი ბაქრაძე | თსუ | 2 | 9 | 4.5 |
| 3. | ნიკა რამიშვილი | ბათუმი-რსუ | 2 | 8 | 4 |
| 4. | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 2 | 7 | 3.5 |
| 5. | ლამარ კარიმი | დინამო | 2 | 7 | 3.5 |
| 6. | რევაზ დიდია | ქუთაისი | 2 | 7 | 3.5 |
| 7. | დავით არწივიძე | სამედიცინო | 2 | 7 | 3.5 |
| 8. | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 2 | 7 | 3.5 |

ევროპის ჩემპიონატი, U-17

# 17-წლამდელები ისევ ელიტაში არიან

**პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მომავალ წელს ელიტაში თამაშის უფლება ერთი ტურით ადრე მოიპოვა.**

„უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ გათამაშების მეორე ტურში ბელგიელი თანატოლები გაანადგურეს - 55:6. ამ გამარჯვებით ჩვენმა გუნდმა ტურნირზე მინიმუმ მეორე ადგილი გაინაღდა და გაისად ელიტურ ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს, ინგლისის, საფრანგეთის, ირლანდიის, უელსის, შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებებთან.

ბოლო ტურში საქართველოს ნაკრების მეტოქე პორტუგალიის ნაკრები იქნება. ამ მატჩში გამარჯვებული შეჯიბრებაში პირველ ადგილს დაიკავებს და ევროპის ჩემპიონატზე მე-7 ნომრად დაჯდება.

დღეს ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრას გამართავს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები. ჩვენი გუნდის მეტოქე რუმინეთის ნაკრები იქნება, რომელმაც ორი დღის წინ ესპანელ თანატოლებთან წააგო - 10:16.

შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში ჩვენმა მორაგბეებმა ესპანელებს 31:13 მოუგეს. ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაში საქართველოს ნაკრები B ჯგუფის საუკეთესოს ფინალში დაუპირისპირდება. ეს გუნდი სავარაუდოდ, პორტუგალია იქნება. ფინალში გამარჯვებული კი გაისად „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე“ ითამაშებს.

**საქართველო-ბელგია 55:6**

**საქართველო: 15. იოსებ კიკვაძე, 14. დევი დევსურაშვილი, 13. სანდრო ილურიძე, 12. თემურ ირემაძე, 11. ბადრი ლიპარტელიანი, 10. იოსებ ტუკვაძე. 1. ზაზა ხარებავა, 2. ბედრი ალხაზაშვილი, 3. ბექა კაკაბაძე, 4. როლანდ კვაჭაძე, 5. გუგა ხანთაძე, 6. დავით პაპავაძე, 7. თორნიკე ბუბუტეიშვილი, 8. გიორგი მლებრიშვილი.**

**16. გიორგი თორაძე, 17. დავით ფხაკაძე, 18. გიორგი როყვა, 19. ბექა გორგაძე, 20. დავით გულიტაშვილი, 21. რევაზ ჯინჭველაშვილი, 22. ირაკლი სვანიძე.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საქართველო - 10 ქულა, 2. პორტუგალია - 5, 3. გერმანია - 0, 4. ბელგია - 0.

**ევროპის ჩემპიონატი. U-19**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| საქართველო-ესპანეთი | 31:13 |
| რუმინეთი-ესპანეთი | 10:16 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საქართველო - 5 ქულა, 2. ესპანეთი - 4, 3. რუმინეთი - 1.

**დღეს**

საქართველო-რუმინეთი

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-რუსეთი | 14:8 |
| ბელგია-რუსეთი | 24:24 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. პორტუგალია - 4 ქულა, 2. რუსეთი - 3, 3. ბელგია - 2.

**დღეს**

პორტუგალია-ბელგია

მეტოქეები

# ფიჯის ტურნეში კაპიტანი დააკლდება

**საქართველოს ნაკრები ნოემბრის ტესტებზე ერთ-ერთ შეხვედრას ფიჯის ეროვნულ გუნდთან გამართავს. ამ ეგზოტიკური ქვეყნის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ინოკი მალემ მორაგბეთა ის შემადგენლობა გააცხადა, რომელიც ევროპაში გამოემგზავრება ტურნეზე.**

განაცხადში 16 ისეთი მოთამაშე მოხვდა, რომლებმაც შარშან ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში იასპარეზა. ფიჯის ნაკრებში ამჯერად 14 ლეგიონერი იქნება, 16 კი ადგილობრივ კლუბებში მოასპარეზე მორაგბეები არიან.

ფიჯის ნაკრების ქომაგთა დასანანად გუნდს ევროპულ ტურნეში ვერაფრით დაეხმარება კაპიტანი **ნეტანი ტალეი**. მის შემცვლელს ნაკრების თავკაცი მოგვიანებით დაასახელებს. კანდიდატი სამია: **ლეონე ნაკარავა, სეტეფანო სამოსა და დიკონ მანუ.**

შეგახსენებთ, რომ ფიჯის ეროვნული გუნდი ევროპაში სამ მატჩს გამართავს, ინგლისის, ირლანდიისა და საქართველოს ნაკრებებთან.

ამასობაში კი ფიჯელთა მთავარმა მწვრთნელმა ინოკი მალემ ფრანგული და ინგლისური ბობოლა კლუბების წინააღმდეგ გაილაშქრა. მათი მეშვეობით ამ ქვეყნებში უამრავი ახალგაზრდა ფიჯელი მორაგბე ხვდება, რომელთაგანაც საუკეთესოები ფიჯის ნაკრებში თამაშზე უარს ამბობენ. ცხადია, მათ ინგლისელები და ფრანგები ფულით აცდუნებენ. ინოკი მალე IRB -ს სთხოვს მიიღოს კანონი, რომლის მეშვეობითაც ფიჯელები ადგილობრივი ნიჭიერი მორაგბეების შენარჩუნებას შეძლებენ.

**ფიჯის ნაკრები**

**სეტეფანო სამოსა, დიკონ მანუ, რატუ მაკუტუ, მანასა საულო, სერემია ნაურეურე, ვილიამ სეკოსო, ტუაპატი ტალემაიტოგა, ლეონე ნაკარავა, აპისაი ნაიკატინი, სოკონიაია კალოუ, აპისალომე რატუნიიარავა, იიესა რატუვა, მალაკაი ვოლაუ, მალაკაი რავულო, ჯონ ქოვუ, ჯოვილი დომოლაილაი, ნემანი ნაგუსა, ნიკოლა მატავალუ, ნემია კენატალე, მეტუისელა ტალებულა, ჯონეთანი რალულუ, ჯოშ მატავესი, კელემედი ბოლა, ვერენიკი გონევა, ჯოსაია ლოტავა, რავაი ფატიაკი, სამუ ვარა, ვატისონი ვოტუ, ვაისეა ნაიაკალევუ, სიმელი კონიფერედი.**

# საკურების მიზანი საუკეთესო ათეულია

**„ბორჯღალოსნები“ პირველ ტესტმატჩს 17 ნოემბერს იაპონიის ეროვნულ ნაკრებთან გამართავენ. ჩვენი მომავალი მეტოქის მთავარმა მწვრთნელმა, ავსტრალიელმა ედი ჯონსმა იმ 30 მორაგბის სია გამოაქვეყნა, რომლებიც ნოემბრის ტესტებზე ევროპაში იასპარეზებენ.**

პირველ მატჩს ამომავალი მზის ქვეყნის შვილები 10 ნოემბერს ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან გამართავენ. 21 ნოემბრს ბასკეთის ნაკრებს, ხუთი დღის შემდეგ კი ფრანგ „ბარბაროსებს“ დაუპირისპირდებიან. ედი ჯონსს მიაჩნია, რომ მის მიერ შერჩეული მორაგბეები იმ გუნდის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, რომელმაც 2015 წლისთვის მსოფლიოს ათ საუკეთესოს შორის მოხვედრა უნდა შეძლოს.

*„ევროპული ტურნეს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი გუნდის წინსვლისთვის. ორი ძალზე ძნელი თამაში გველის საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებთან. ამ გუნდების წამყვანი მორაგბეები საფრანგეთის პროფესიული კლუბების მოთამაშეები არიან და ყოველ უქმეებზე რეგულარულად ასპარეზობენ. მათთან წარმატებულ თამაშს ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს იქნება პირველი ნაბიჯები იმ დიდი მიზნისკენ, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებას უკავშირდება“* - თქვა იაპონიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ედი ჯონსმა.

შეგახსენებთ, რომ იაპონიის ნაკრებმა აქამდე გამართულ მსოფლიოს თასის ყველა გათამაშებაში იასპარეზა, თუმცა გამარჯვება აქტივში მხოლოდ ერთადერთხელ - 1991 წელს ზიმბაბვეს ნაკრებთან მატჩში ჩაიწერა.

**იაპონიის ნაკრები**

შერკინება: ჰისატერუ ჰირაშიმა, იუსუკე ნაგაე, იუსუკე აოკი, შოთა ჰორი, კენსუკე ჰატაკეიამა, ჰიროში იამასიტა, ტაკუმა ასაჰარა, ჰიტოში ონო, შოჯი იტო, ტოშიძუმი კიტაგავა, მაიკლ ბროდჰორსტი, ჰენდიკ ტუი, მაიკლ ლიტჩი, დაიკი ჰაშიმირო, ტაკაში კიკუტანი, რიუ ჰოლანი.

უკანა ხაზი: ფუმიაკი ტანაკა, აცუში ჰივასა, კოსეი ონი, ჰარუმიჩი ტატეკავა, იუტა იმამურა, აკიჰიტო იამადა, ტომოჰირო სენბა, იუ ტამურა, გო არუგა, იასუკი ჰაიაში, ჰიროტოკი ონოზავა, ტოშიაკი ჰიროსე, აიუმუ გორომარუ, აცუში ტანაბე.



საქართველოს ჩემპიონატი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი წრე: ზოგს პროგრესი აქვს, ზოგს რეგრესი

**საქართველოს ჩემპიონატის წლევანდელი გათამაშების პირველი წრე თბილისის „ლელომ“ მოიგო. მას ერთი ქულით ჩამორჩა ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია“. ლიდერთა შორის ყველასთვის მოულოდნელად დაიკავეს ადგილი თბილისის „არმაზმა“ და გათამაშების დებიუტანტმა თბილისის „ილიაუნი ჯიქმა“.**

„ლელომ“ პირველი წრე შესანიშნავად ჩაატარა. ცხრა თამაშიდან, მხოლოდ ჩემპიონ „არმიასთან“ წააგო. რვა მოგებულ მატჩში ექვსი პრემიალური ქულა ირგუნა. ლელოელები ამ მაჩვენებლითაც საუკეთესოები არიან. „არმიას“ ხუთი პრემიალური ქულა ერგო წილად.

„ლელომ“ ყველაზე მეტი, 258 ქულა დააგროვა და მეტოქეს ასევე ყველაზე ნაკლები ქულის მოპოვების შანსი მისცა - 112. შესაბამისად, ქულების სხვაობის მაჩვენებელიც საუკეთესო აქვს - +146. მეორე ადგილზე ამ მხრივ, მესამეადგილოსანი ქუთაისის „აიაა“ - +120.

პირველი წრის ბოლო ტურში „ლელოს“ მეტოქე რუსთავის „ხარები“ იყო, რომელიც 9 ქულით მე-8 ადგილზეა, თუმცა ერთი მატჩი თადარიგში აქვს. რუსთაველთა გუნდი არასტაბილურობით გამოირჩევა და აღიარებულ ლიდერებს ჯერ კონკურენციას ვერ უწევს. ამას რამდენიმე ობიექტური მიზეზი აქვს. ხშირი ტრავმიანობა და გუნდის ახალგაზრდა მორაგბეების საქართველოს შესაბამისი ასაკის ნაკრებებში გამოძახება. არადა, შესაბამისი პირობების შემთხვევაში, რუსთავს უკეთესი გუნდი შეიძლება ჰყავდეს. იქ მშენებარე სარაგბო კომპლექსი, წესით, ექსპლოატაციაში ნოემბრის ბოლოდან უნდა შევიდეს. რაც, ვფიქრობთ, აქაური რაგბის განვითარებას სერიოზულ ბიძგს მისცემს.

პირველი წრის ბოლო ტურს სენსაციის გარეშე არ ჩაუვლია. ჩემპიონატის აუტსაიდერმა თბილისის „აკადემიამ“ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და მუდმივი ფავორიტი თბილისის „ლოკომოტივი“ დაამარცხა - 19:10. აკადემიელებთან ნაგებამ გვიჩვენა, რომ რკინიგზელების გუნდის პრობლემები უფრო მწვავეა, ვიდრე ეს აქამდე ერთი შეხედვით ჩანდა. სწორედ ამის შედეგია, რომ „ლოკომოტივი“ მისთვის უჩვეულო მე-6 ადგილზეა.

გასაგებია, რომ გუნდი სეზონის წინ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა, ზოგიც ჩემპიონატის მსვლელობისას დაშავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გუნდი მსგავსი სირთულეების დასაძლევად მზად არ აღმოჩნდა. ამის დასტურად ცხრა მატჩში სამი მოგება, ერთი ფრე და ხუთი ნაგებაც გამოდგება.

პირველი წრის მეორე ნახევაში პრობლემები მიეძალა „არმიასაც“, რომელსაც ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააკლდა. მიუხედავად ამისა, მეორე ტურში „აიასთან“ განცდილი მარცხის შემდეგ, არმიელებმა ყველა თამაში მოიგეს, თუმცა საამისოდ საკმაოდ სერიოზული ძალისხმევა დასჭირდათ და მეტოქეების წინააღმდეგობას დაძლევას, უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე, თამაშის დასკვნით 15-20 წუთში ახერხებდნენ, როცა მოლლილ-მოქანცულ მეტოქეს საკუთარ თამაშს ახვევდნენ თავს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გუნდის მაღალი სათამაშო კლასის მაჩვენებელია.

სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა და, სავარაუდოდ, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში სერიოზულად ჩაერთვება ქუთაისის „აია“, რომელმაც სეზონი შესანიშნავად დაიწყო, მეორე ტურში ქვეყნის ჩემპიონ „არმიას“ ერთადერთი მარცხი აგემა და მერე, გუნდში რაღაც მოიშალა. ორი ნაგებისა და ერთხელ ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ, ქუთათურებმა მობილიზება მოახერხეს და ისევ მრისხანე ძალად გადაიქცნენ.

ძნელი სათქმელია, მოახერხებს თუ არა „აია“ საბოლოოდ ვითარების თავის სასიკეთოდ შემობრუნებას და მეორე წრის შემდეგ პირდაპირ ნახევარფინალში გასვლას, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გუნდს ნებისმიერი მეტოქისთვის სერიოზული პრობლემის შექმნა შეუძლია.

საინტერესო თემაა „არმაზი“ და „ილიაუნი ჯიქი“, თუმცა ამ ორ გუნდს, ამბიციების საფუძვლიანობის დასამტკიცებლად ჯერ კიდევ დიდი გარჯა მართებს.

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფის ნახევარფინალში პირდაპირ ორი საუკეთესო გადის. მათი მეტოქეები კი მომდევნო ოთხეულს შორის დაპირისპირების შემდეგ გაირკვევა.

**X ტური**

**ილიაუნი ჯიქი-არმია, ბათუმი-აია, ყოჩები-ლოკომოტივი, აკადემია-ლელო, ხარები-არმაზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 9 | 8 | 0 | 1 | +146 | 38 |
| 2. არმია | 9 | 8 | 0 | 1 | +111 | 37 |
| 3. აია | 9 | 6 | 1 | 2 | +120 | 30 |
| 4. არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | +21 | 25 |
| 5. ჯიქები | 9 | 4 | 0 | 5 | +12 | 21 |
| 6. ლოკომოტივი | 9 | 3 | 1 | 5 | +8 | 18 |
| 7. ბათუმი | 8 | 3 | 0 | 5 | -37 | 14 |
| 8. ხარები | 8 | 2 | 0 | 6 | -104 | 9 |
| 9. აკადემია | 9 | 2 | 0 | 7 | -185 | 9 |
| 10. ყოჩები | 9 | 1 | 0 | 8 | -92 | 7 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA

# დასავლეთი კონფერენცია

## ჩრდილო-დასავლეთი დივიზიონი

### დენვერ ნაგეტსი

სტადიონი: პეპსი-ცენტრი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 3. ტაი ლოუსონი | 03.11.87 | 180 |
| 9. ანდრე იგუოდალა | 28.01.84 | 198 |
| 10. ჯელიან სტოუნი | 07.12.88 | 198 |
| 24. ანდრე მილერი | 19.03.76 | 188 |
| 94. ევან ფურნიე (საფ)* | 29.10.92 | 201 |
| **ცენტრები** | | |
| 25. ტიმოფეი მოზგოვი (რუს) | 16.07.86 | 216 |
| 34. ჯავალ მაკგი | 19.01.88 | 213 |
| 41. კოსტა კუფოსი (საბ) | 24.02.89 | 213 |
| **ფორვარდები** | | |
| 1. ჯორდან ჰემილტონი | 27.07.86 | 203 |
| 8. დანილო გალინარი (იტა) | 08.08.88 | 208 |
| 13. კორი ბრიუერი | 05.03.86 | 206 |
| 15. ენტონი რენდოლფი | 15.07.89 | 211 |
| 21. უილსონ ჩენდლერი | 10.05.87 | 203 |
| 30. ქუინსი მილერი* | 18.11.92 | 208 |
| 35. კენეტ ფარიდი | 18.11.89 | 203 |

**მწვრთნელი:** ჯორჯ კარლი

### მინესოტა ტიმბერვულვზი

სტადიონი: ტარგეტ-ცენტრი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 11. ხოსე-ხუან ბარეა (პ-რიკ) | 26.06.84 | 183 |
| 5. უილ კონროი | 08.12.82 | 188 |
| 8. მალკოლმ ლი | 22.05.90 | 196 |
| 13. ლუკ რიდნური | 13.02.81 | 188 |
| 3. ბრენდონ როი | 23.07.84 | 198 |
| 9. რიკი რუბიო (ესპ) | 21.10.90 | 192 |
| 1. ალექსეი შვედი (რუს)* | 16.12.88 | 198 |
| **ცენტრები** | | |
| 20. კრის ჯონსონი | 15.07.85 | 211 |
| 14. ნიკოლა პეკოვიჩი (ჩერ) | 03.01.86 | 211 |
| 34. გრეგ სტიმსმა | 26.09.85 | 211 |
| **ფორვარდები** | | |
| 17. ლუის ამუნდსონი | 07.12.82 | 206 |
| 10. ჩეიზ ბადინგერი | 22.05.88 | 201 |
| 33. დანტე კანინგემი | 22.04.87 | 203 |
| 47. ა. კირილენკო (რუს) | 18.02.81 | 206 |
| 42. კევინ ლავი | 07.09.88 | 208 |
| 7. დერიკ უილიამსი | 25.05.91 | 203 |
| 32. მაიკ ჰარისი | 15.06.83 | 198 |

**მწვრთნელი:** რიკ ადელმანი

### ოკლაჰომა-სიტი თანდერი

სტადიონი: ჩიზლიკ ენერჯი-არენა

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 0. რასელ უესტბრუკი | 12.11.88 | 191 |
| 1. ჯერემი ლემბი* | 30.05.92 | 196 |
| 2. ტაბო სეფოლოშა (შვეიც) | 02.05.84 | 201 |
| 6. ერიკ მეინორი | 11.06.87 | 191 |
| 12. კევინ მარტინი | 01.02.83 | 201 |
| 15. რეჯი ჯექსონი | 16.04.90 | 191 |
| 25. დე ანდრე ლიგინსი | 31.03.88 | 198 |
| **ცენტრები** | | |
| 5. კენდრიკ პერკინსი | 10.11.84 | 208 |
| 34. ჰაშიმ ტაბიტი (ტან) | 16.02.87 | 221 |
| **ფორვარდები** | | |
| 3. პერი ჯონსი* | 24.09.91 | 211 |
| 4. ნიკ კოლისონი | 26.10.80 | 208 |
| 9. სერჟ იბაკა (ესპ) | 18.09.89 | 208 |
| 35. კევინ დურანტი | 29.09.88 | 206 |

**მწვრთნელი:** სკოტ ბრუქსი

### პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

სტადიონი: როუზ გარდენი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 0. დემიენ ლილარდი | 15.07.90 | 191 |
| 2. უესლი მეთიუზი | 14.10.86 | 196 |
| 4. ნოლან სმითი | 25.07.88 | 188 |
| 5. უილ ბარტონი* | 06.01.91 | 198 |
| 9. ელიოტ უილიამსი | 20.06.89 | 196 |
| 24. რონი პრაისი | 21.06.83 | 188 |
| **ცენტრები** | | |
| 11. მეიერს ლეონარდი* | 27.02.92 | 216 |
| 18. ვიქტორ კლავერი (ესპ)* | 30.08.88 | 206 |
| **ფორვარდები** | | |
| 1. ჯარედ ჯეფრიზი | 25.11.81 | 211 |
| 3. საშა პავლოვიჩი (ჩერ) | 15.11.83 | 201 |
| 8. ლუკ ბებიტი | 20.06.89 | 206 |
| 12. ლამარკუს ოლდრიჯი | 19.07.85 | 211 |
| 19. ჯოელ ფრილენდი (ინგ)* | 02.02.87 | 208 |
| 21. ჯეი-ჯეი ჰიქსონი | 04.09.88 | 206 |
| 88. ნიკოლას ბატუმი (საფ) | 14.12.88 | 203 |

**მწვრთნელი:** ტერი სტოტსი

### იუტა ჯაზი

სტადიონი: ენერჯი სოლიუშენს არენა

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 6. ჯამალ ტინსლი | 28.02.78 | 191 |
| 5. მო უილიამსი | 19.12.82 | 185 |
| 8. რენდი ფოიე | 24.09.83 | 193 |
| 10. ალექს ბერქსი | 20.07.91 | 198 |
| 11. ირლ უოტსონი | 12.06.79 | 185 |
| 19. რაჯა ბელი | 19.09.76 | 196 |
| 55. კევინ მერფი* | 06.03.90 | 198 |
| **ცენტრები** | | |
| 0. ენეს კარტერი (თურ) | 20.05.92 | 211 |
| 25. ელ ჯეფერსონი | 04.01.85 | 208 |
| **ფორვარდები** | | |
| 2. მერვინ უილიამსი | 19.06.86 | 206 |
| 3. დემარ კეროლი | 27.07.86 | 203 |
| 15. დერიკ ფეივორსი | 15.07.91 | 208 |
| 20. გორდონ ჰეივორდი | 23.03.90 | 206 |
| 24. პოლ მილსეპი | 10.02.85 | 203 |
| 40. ჯერემი ევანსი | 24.10.87 | 206 |

**მწვრთნელი:** ტაირონ კორბინი

## წყნარი ოკეანის დივიზიონი

### გოლდენ სტეიტ უორიორზი

სტადიონი: ორაკლ-არენა

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 2. ჯარეტ ჯეკი | 28.10.83 | 203 |
| 4. ბრენდონ რაში | 07.07.85 | 198 |
| 11. კლეი ტომპსონი | 08.02.90 | 201 |
| 20. კენტ ბეიზმორი* | 01.07.89 | 196 |
| 22. ჩარლზ ჯენკინსი | 28.02.89 | 191 |
| 30. სტივენ კარი | 14.03.88 | 191 |
| **ცენტრები** | | |
| 3. ჯერემი ტაილერი | 21.06.91 | 208 |
| 12. ენდრიუ ბოგუტი (ავსტრა) | 28.11.84 | 213 |
| 15. ანდრის ბიედრინში (ლატ) | 02.04.86 | 211 |
| 31. ფესტუს ეზელი (ნიგ)* | 01.10.89 | 211 |
| **ფორვარდები** | | |
| 7. კარლ ლენდრი | 19.09.83 | 206 |
| 10. დევიდ ლი | 29.04.83 | 206 |
| 23. დრეიმონდ გრინი* | 04.03.90 | 201 |
| 40. ჰარისონ ბარნსი* | 30.05.92 | 203 |
| 44. რიჩარდ ჯეფერსონი | 21.06.80 | 201 |

**მწვრთნელი:** მარკ ჯექსონი

### ლოს ანჯელეს კლიპერსი

სტადიონი: სტეიპლს-ცენტრი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 1. ჩონსი ბილაპსი | 25.09.76 | 191 |
| 3. კრის პოლი | 06.05.85 | 183 |
| 11. ჯამალ კროუფორდი | 20.03.80 | 196 |
| 12. ერიკ ბლედსოუ | 09.12.89 | 185 |
| 23. ტრევის ლესლი | 29.03.90 | 193 |
| 34. უილი გრინი | 28.07.81 | 191 |
| **ცენტრები** | | |
| 6. დეანდრე ჯორდანი | 21.07.88 | 211 |
| 15. რაიან ჰოლინზი | 10.10.84 | 213 |
| 21. რონი ტურიაფი (საფ) | 13.01.83 | 208 |
| **ფორვარდები** | | |
| 5. კერონ ბატლერი | 13.03.80 | 201 |
| 7. ლამარ ოდომი | 06.11.79 | 208 |
| 9. ტრეი ტომპკინსი | 29.05.90 | 208 |
| 20. მარკუს ბლეიკლი | 22.10.88 | 196 |
| 22. მეტ ბარნსი | 09.03.80 | 201 |
| 32. ბლეიკ გრიფინი | 16.03.89 | 208 |
| 33. გრანტ ჰილი | 05.10.72 | 203 |

**მწვრთნელი:** ვინი დელ ნეგრო

### ლოს ანჯელეს ლეიკერსი

სტადიონი: სტეიპლს-ცენტრი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 1. დარიუს მორისი | 03.01.91 | 193 |
| 5. სტივ ბლეიკი | 26.02.80 | 191 |
| 7. დ. ჯონსონ-ოდომი* | 28.12.89 | 188 |
| 10. სტივ ნეში (კან) | 07.02.74 | 191 |
| 20. ჯოდი მიქსი | 21.08.87 | 193 |
| 21. კრის დუჰონი | 31.08.82 | 185 |
| 24. კობი ბრაიანტი | 23.08.78 | 198 |
| **ცენტრები** | | |
| 12. დუაიტ ჰოვარდი | 08.12.85 | 211 |
| 50. რობერტ საკრე (კან)* | 06.06.89 | 213 |
| **ფორვარდები** | | |
| 3. დევინ იბენქსი | 28.10.89 | 206 |
| 4. ანტუან ჯეიმისონი | 12.06.76 | 206 |
| 6. ირლ კლარკი | 17.01.88 | 208 |
| 15. მეტა უორლდ პისი | 13.11.79 | 201 |
| 16. პაუ გასოლი (ესპ) | 06.07.80 | 213 |
| 27. ჯორდან ჰილი | 27.07.87 | 208 |

**მწვრთნელი:** მაიკ ბრაუნი

### საკრამენტო კინგზი

სტადიონი: არკო-არენა

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 3. აარონ ბრუქსი | 14.01.85 | 183 |
| 7. ჯიმერ ფრედეტი | 25.02.89 | 188 |
| 13. ტაირიკ ევანსი | 19.09.89 | 198 |
| 22. აიზია ტომასი | 07.02.89 | 175 |
| 23. მარკუს ტორნტონი | 05.06.87 | 193 |
| 32. ფრანსისკო გარსია (დომ) | 31.12.80 | 201 |
| **ცენტრები** | | |
| 15. დემარკუს კაზინსი | 13.08.90 | 211 |
| 42. ჩაკ ჰეიესი | 11.06.83 | 198 |
| **ფორვარდები** | | |
| 0. ტომას რობინსონი* | 18.03.91 | 208 |
| 5. ჯონ სელმონსი | 12.12.79 | 198 |
| 9. ტაილერ ჰანიკატი | 15.06.90 | 203 |
| 25. ტრევის აუთლო | 18.09.84 | 206 |
| 34. ჯეისონ ტომპსონი | 21.07.86 | 211 |
| 52. ჯეიმს ჯონსონი | 20.02.87 | 206 |

**მწვრთნელი:** კიტ სმარტი

### ფინიქს სანზი

სტადიონი: იუნაიტედ სტეიტს ეირვეისი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 1. გორან დრაგიჩი (სლოვენ) | 06.05.86 | 191 |
| 10. დიანტე გარეტი* | 03.11.88 | 193 |
| 12. კენდალ მარშალი* | 19.08.91 | 193 |
| 26. შენონ ბრაუნი | 29.11.85 | 193 |
| 31. სებასტიან ტელფეირი | 09.06.85 | 183 |
| **ცენტრები** | | |
| 4. მარცინ გორტატი (პოლ) | 17.02.84 | 211 |
| 20. ჯერმეინ ო'ნილი | 13.10.78 | 211 |
| 40. ლუკ ზელერი* | 07.04.87 | 211 |
| **ფორვარდები** | | |
| 0. მაიკლ ბიზლი | 09.01.89 | 208 |
| 2. უესლი ჯონსონი | 11.07.87 | 201 |
| 3. ჯარედ დადლი | 10.07.85 | 201 |
| 8. ჩენინგ ფრაი | 17.05.83 | 211 |
| 11. მარკიფ მორისი | 02.09.89 | 208 |
| 14. ლუის სკოლა (არგ) | 30.04.80 | 206 |
| 17. ენტონი ტაკერი | 05.05.85 | 197 |

**მწვრთნელი:** ელვინ ჯენტრი

## სამხრეთ-დასავლეთი დივიზიონი

### დალას მავერიქსი

სტადიონი: ამერიკან ეირლაინს-ცენტრი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 1. ჯარედ კანინგემი* | 22.05.91 | 193 |
| 3. როდრიგ ბოგუა (საფ) | 24.02.88 | 183 |
| 4. დარენ კოლისონი | 23.08.87 | 183 |
| 13. დელონტე უესტი | 26.07.83 | 191 |
| 20. დომინიკ ჯონსი | 15.10.88 | 196 |
| 25. ვინს კარტერი | 26.01.77 | 198 |
| 30. დანტეი ჯონსი | 27.12.80 | 198 |
| 32. ო ჯეი მაიო | 05.11.87 | 193 |
| **ცენტრები** | | |
| 5. ბერნარდ ჯეიმსი* | 07.02.85 | 208 |
| 35. კრის კამანი (გერ) | 28.04.82 | 213 |
| 52. ედი კარი | 05.12.82 | 213 |
| **ფორვარდები** | | |
| 0. შონ მერიონი | 07.05.78 | 201 |
| 9. ჯეი კრაუდერი* | 06.07.90 | 201 |
| 34. ბრენდონ რაიტი | 05.10.87 | 208 |
| 41. დირკ ნოვიცკი (გერ) | 19.07.78 | 213 |
| 42. ელტონ ბრენდი | 11.03.79 | 206 |

**მწვრთნელი:** რიკ კარლაილი

### მემფის გრიზლისი

სტადიონი: ფედექს-ფორუმი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 1. ტონი როტენი* | 13.04.93 | 198 |
| 2. ჯოშ სელბი | 27.03.91 | 188 |
| 3. უეინ ელინგტონი | 29.11.87 | 196 |
| 7. ჯერიდ ბეილესი | 20.08.88 | 191 |
| 9. ტონი ალენი | 11.01.82 | 193 |
| 11. მაიკ კონლი | 11.10.87 | 185 |
| **ცენტრები** | | |
| 15. ჰამედ ჰადადი (ირან) | 19.05.85 | 218 |
| 33. მარკ გასოლი (ესპ) | 29.01.85 | 216 |
| **ფორვარდები** | | |
| 00. დარელ არტური | 25.03.88 | 206 |
| 5. მარის სპეიტსი | 04.08.87 | 208 |
| 20. ქუინსი პონდექსტერი | 10.03.88 | 198 |
| 22. რუდი გეი | 17.08.86 | 203 |
| 50. ზაკ რენდოლფი | 16.07.81 | 206 |

**მწვრთნელი:** ლაიონელ ჰოლინზი

### ნიუ ორლეან ჰორნეტსი

სტადიონი: ნიუ ორლეან-არენა

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 8. როჯერ მეისონი | 10.09.80 | 196 |
| 10. ერიკ გორდონი | 25.12.88 | 191 |
| 21. გრეივის ვასკესი (ვენ) | 16.01.87 | 198 |
| 22. ბრაიან რობერტსი* | 03.12.85 | 188 |
| 25. ოსტინ რივერსი* | 01.08.92 | 193 |
| **ცენტრები** | | |
| 15. რობინ ლოპესი | 01.04.88 | 213 |
| **ფორვარდები** | | |
| 0. ალ-ფარუქ ამინუ (ნიგ) | 14.09.87 | 210 |
| 1. ჰაკიმ უორიკი | 08.07.82 | 206 |
| 2. დარიუს მილერი* | 21.03.90 | 203 |
| 14. ანდრე სმითი | 21.02.85 | 203 |
| 23. ენტონი დევისი* | 11.03.93 | 208 |
| 33. რაიან ანდერსონი | 06.05.88 | 208 |
| 42. ლენს ტომასი | 24.04.88 | 203 |

**მწვრთნელი:** მონტი უილიამსი

### სან ანტონიო სპერსი

სტადიონი: ეიტი-ენდ-ტი-ცენტრი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 4. ლენი გრინი | 22.06.87 | 198 |
| 5. კორი ჯოზეფი (კან) | 20.08.91 | 191 |
| 8. პატრიკ მილსი (ავსტრა) | 11.08.88 | 183 |
| 9. ტონი პარკერი (საფ) | 17.05.82 | 188 |
| 14. გერი ნილი | 03.10.84 | 193 |
| 20. მანუ ჯინობილი (არგ) | 28.07.77 | 198 |
| 25. ნანდო დე კოლო (საფ)* | 23.06.87 | 195 |
| **ცენტრები** | | |
| 21. ტიმ დანკანი | 25.04.76 | 211 |
| 22. ტიაგუ სპლიტერი (ბრა) | 01.01.85 | 211 |
| 45. დეჯუან ბლეირი | 22.04.89 | 201 |
| **ფორვარდები** | | |
| 2. კაუაი ლეონარდი | 29.06.91 | 201 |
| 3. სტივენ ჯექსონი | 05.03.78 | 203 |
| 15. მეტ ბონერი | 05.04.80 | 208 |
| 33. ბორის დიაო (საფ) | 16.04.82 | 203 |

**მწვრთნელი:** გრეგ პოპოვიჩი

### ჰიუსტონ როკეტსი

სტადიონი: ტოიოტა-ცენტრი

| | | |
|---|---|---|
| **მცველები** | | |
| 7. ჯერემი ლინი | 23.08.88 | 191 |
| 8. შონ ლივინგსტონი | 11.09.85 | 201 |
| 10. კარლოს დელფინო (არგ) | 29.08.82 | 198 |
| 14. სკოტ მაჩადო (ბრა)* | 08.06.90 | 185 |
| 15. ტონი დუგლასი | 16.03.86 | 188 |
| **ცენტრები** | | |
| 3. ომერ აშიქი (თურ) | 04.07.86 | 213 |
| 4. გრეგ სმითი | 08.01.91 | 208 |
| 20. დ. მოტეიუნასი (ლიტ)* | 20.09.90 | 213 |
| **ფორვარდები** | | |
| 0. გერი ფორბსი (პან) | 25.02.85 | 201 |
| 2. მარკუს მორისი | 02.09.89 | 206 |
| 5. ჯაჯუან ჯონსონი | 08.02.89 | 208 |
| 6. ტერენს ჯონსი* | 09.01.92 | 206 |
| 25. ჩენდლერ პარსონსი | 25.10.88 | 205 |
| 30. როის უაიტი* | 10.04.91 | 203 |
| 40. ჯონ ბროკმენი | 20.03.87 | 201 |
| 54. პატრიკ პატერსონი | 14.03.89 | 206 |

**მწვრთნელი:** კევინ მაკჰეილი

# მათ ლიგა უნდა შეცვალონ

სტარტი აიღო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალმა სეზონმა. გთავაზობთ 15 დებიუტანტის სიას, რომლებიც, ექსპერტთა შეფასებით, აუცილებლად შეცვლიან ლიგას.

**მეიერს ლენარდი ("პორტლენდი").** **ჰიბერტისა** და **ბრუკ ლოპესის** გადაბირების მცდელობისას განცდილი მარცხის შემდეგ, ახლა, "პორტლენდში" მეიერს ლენარდზე უფრო დიდ იმედებს ამყარებენ, ვიდრე ეს დრაფტის დღეს იყო. გამოდის, რომ ცენტრი, რომელიც ჯერ კიდევ გაზაფხულზე ახალბედათა რეიტინგის ტოპ-ოცეულის ბოლოში იყო, "ბლეიზერსის" ძირითადი მეხუთე ნომერი იქნება.

**ჯონ ჰენსონი ("მილუოკი").** ამ კალათბურთელმა ყველა განაცვიფრა საზაფხულო ლიგაში, როცა კინალამ ბანაკის საუკეთესო "მაღალი" გახდა. ამ სეზონში ახალბედა **ერსან ილიასოვას** ჩრდილში მოექცევა, მაგრამ მაინც მიიღებს თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას.

**ტაილერ ზელერი ("კლივლენდი").** ზელერი პრაქტიკულად ერთადერთი მიზეზია, რის გამოც არ უნდა გავაკრიტიკოთ "კლივლენდის" მენეჯმენტი. ამ ცენტრს, რომელსაც სტაბილური საშუალო ტყორცნა და თავისი გაბარიტებისთვის არადამახასიათებელი ფანტასტიკური მოქნილობა აქვს, "კავალიერზი" განსაკუთრებულ იმედებს უკავშირებს.

**მირზა ტელეტოვიჩი ("ბრუკლინი").** ბოსნიელი 27 წლისაა. მას მოჰბეზრდა ევროპაში სამქულიანების ჩაგდება და ოცნების ასრულება გადაწყვიტა. ის ახლა, "ნეტსის" სათადარიგოს რანგში კარიერაში უფრო მეტის მიღწევას აპირებს.

**ანდრე დრამონდი ("დეტროიტი").** ძალიან ნიჭიერი, მაგრამ ჯერ დაუხვეწავი მოთამაშე. "პისტონზი" შეეცდება მისგან მომავლისთვის შესანიშნავი ცენტრი შექმნას, თუმცა უკვე შესაძლებელი იქნება "გიჟური" დაფარებებისა და მოხსნების ხილვა.

**იონას ვალანჩუნასი ("ტორონტო").** როცა გასულ წელს, NBA-ის გენერალურმა მენეჯერებმა ლიტველს ყველაზე ნიჭიერი ევროპელი უწოდეს, მათ მთელი "ბებერი კონტინენტი" დასცინოდა. ამ სეზონში ვალანჩუნასს აქვს შანსი, დაამტკიცოს, რომ მასზე ავანსები ტყუილუბრალოდ არ გაიცემოდა. და არც **არვიდას საბონისს** უთქვამს გუშინ შემთხვევით – იონასი ჩემზე ძლიერი კალათბურთელი დადგებაო.

**ჯერემი ლემბი ("ოკლაჰომა").** სწორედ ეს ახალგაზრდა მცველი გახლავთ მიზეზი იმისა, რომ შესაძლებელი გახდა **ჯეიმს ჰარდენის** გაცვლა "ჰიუსტონში".

**ჰარისონ ბარნსი ("გოლდენ სტეიტი").** რამდენიმე წლის წინ, ბარნსს ლიგაში ისე ელოდნენ, თითქოს იქ ახალი **ლებრონ ჯეიმსი** უნდა გამოჩენილიყო. მაგრამ, ამ დროის განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა: ფორვარდს აღარ უწინასწარმეტყველებენ სუპერვარსკვლავობას, მაგრამ მის ნიჭს არავინ უარყოფს.

**დონატას მოტეიუნასი ("ჰიუსტონი").** ლიტველი არ ფიქრობს **ენტონი დევისთან** მეტოქეობას. "საუკეთესო ახალბედას" პრიზისთვის ბრძოლაში. მას მეტი უნდა: უკვე გამოიწვია ბრძოლაში **დუაიტ ჰოვარდი** და ახლა ემზადება იმისთვის, რომ მოედანზე არ შერცხვეს.

**მაიკლ კიდ-გილკირსტი ("შარლოტი").** მუშა კალათბურთელი, რომლის დახმარებით "შარლოტი" რეაბილიტირებას აპირებს შარშანდელი სამარცხვინო სეზონის გამო.

**ბრედლი ბილი ("ვაშინგტონი").** საუკეთესო შემტევი მცველი 2012 წლის დრაფტზე. ის "ვაშინგტონში" მიიღებს ყველა შესაძლებლობას იმისთვის, რომ თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინოს. სწორედ მის თამაშზე იქნება დამოკიდებული – დატოვებს თუ არა აღმოსავლეთის „ქაობს" "უიზარდსი".

**დემიენ ლილარდი ("პორტლენდი").** "საუკეთესო ახალბედას" პრიზის ფარული პრეტენდენტი. "პორტლენდი" ლილარდს იმ დონემდე ენდობა, რომ გარისკა და კალათბურთელს გარანტირებული ადგილი მისცა სასტარტო ხუთეულში.

**ოსტინ რივერსი ("ნიუ ორლეანი").** რივერსს „დიუკში" გატარებული ერთი წელი ეყო დრაფტის პირველ ათეულში მოსახვედრად. **დოკ რივერსის** ვაჟი – ერთ-ერთია, ვის გარშემოც შეიქმნება ახალი "ჰორნეტსი".

**ტომას რობინსონი ("საკრამენტო").** რობინსონი დრაფტის პირველ პიკზე ერთ-ერთ პრეტენდენტად მიიჩნეოდა, მაგრამ ბოლოს ჩამოქვეითდა. ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, გმირი გამხდარიყო: ტი-რობის ოჯახში მომხდარმა ტრაგედიამ, მისმა ხასიათმა და "კანზასში" პარტნიორების მიმართ განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ, ის "საკრამენტოს" საყვარელ მოთამაშედ აქცია.

**ენტონი დევისი ("ნიუ ორლეანი").** დრაფტის ულაპარაკო პირველი ნომერი და "საუკეთესო ახალბედას" პრიზის მთავარი პრეტენდენტი. მართალია, მისგან დანკისა და ლეი-აპის გარდა სხვა ტყორცნა არ უნახავთ, ეჭვგარეშეა, რომ დევისი ლიგის მომავალი სახეა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1. ინდოეთის გრანპრის შემდეგ

# საინტერესო სტატისტიკა

**ინდოეთის გრანპრის შემდეგ, ცნობილმა ენციკლოპედიურმა ბაზამ - Forix-მა გამოაქვეყნა რამდენიმე საგულისხმო სტატისტიკური მონაცემი...**



ინდოეთის გრანპრის სტარტი

### კვალიფიკაცია

- ინდოეთში პოული 35-ე აღმოჩნდა **სებასტიან ფეტელის** კარიერაში, 45-ე "რედ ბულის" ისტორიაში და 115-ე გერმანელი პილოტებისთვის. სებასტიანმა 48-ედ აიღო სტარტი პირველი რიგიდან და გაუთანაბრდა ამ მაჩვენებლით **ჯიმ კლარკსა** და **ხუან-მანუელ ფანხიოს**, რომლებიც მეხუთე ადგილს იყოფენ საერთო რეიტინგში.

- ფეტელმა და **მარკ უებერმა** მეთვრამეტედ აიღეს სტარტი პირველი რიგიდან – ამდენივე ჰქონდათ "მაკლარენის" პილოტებს - **მიკა ჰაკინენსა** და **დევიდ კულტჰარდს** გასულ ათწლეულში.

### რბოლა

- პირველად კარიერაში ერთ სეზონში ოთხი რბოლის მოგებით, სებასტიან ფეტელმა 13 ქულამდე გაზარდა უპირატესობა საერთო ჩათვლაში **ფერნანდო ალონსოსთან.** სებასტიანს ერთხელ აქვს ზედიზედ ოთხი რბოლა მოგებული, მაგრამ სხვადასხვა სეზონში – 2010 წლის ბრაზილიიდან 2011 წლის მალაიზიამდე.

- ფეტელის მოგება 150-ე იყო "რენოს" ძრავებიანი მანქანებით და 130-ე გერმანელი მრბოლელებისთვის.

- ინდოეთში მეორე ადგილზე გასვლით, ფერნანდო ალონსომ გააგრძელა სერია, რომელშიც ის პირველ ან მეორე ადგილზე მიდიოდა ფინიშთან ყველა ტრასაზე, რომელზეც კი სტარტზე გასულა. გარდა ამისა, ესპანელს ყველა ტრასაზე აქვს გავლილი მთელი დისტანცია.

- ალონსო - ერთადერთი იყო ინდოეთის გრანპრიზე პირველ შვიდ ადგილზე მისულ პილოტებს შორის, რომელმაც რბოლის მსვლელობისას გაიუმჯობესა პოზიცია - სტარტი მეხუთემ აიღო და მეორე ადგილზე გავიდა.

- ინდოეთის გრანპრი 140-ე იყო ალონსოს კარიერაში, რომელშიც მან ქულები დააგროვა - ამდენივე შედეგიანი ეტაპი ჰქონდა **რუბენს ბარიკელოს.** ამ რეიტინგში ლიდერობს **მიხაელ შუმახერი** - გერმანელს 220 შედეგიანი გრანპრი აქვს.

- მარკ უებერმა დაკარგა მეორე ადგილი KERS-ის სისტემის მწყობრიდან გამოსვლის გამო, მაგრამ შეძლო ფინიშამდე მისვლა, რითაც გაიმეორა მიხაელ შუმახერის სარეკორდო სერია - ზედიზედ 58 რბოლა მექანიკური პრობლემის გარეშე.

- უებერი შარშანდელი სეზონის შემდეგ, პირველად ავიდა ზედიზედ ორ რბოლაში პოდიუმზე. კარიერაში პოდიუმების რაოდენობით (34) ის გაუთანაბრდა **ფელიპე მასას** და მასთან 23-ე ადგილს იყოფს საერთო რეიტინგში.

- "მაკლარენმა" გაიმეორა "ფერარის" სარეკორდო სერია (მალაიზია 1999 – მალაიზია 2003) – ზედიზედ 55 შედეგიანი რბოლა. უნდა აღინიშნოს, რომ "ფერარის" სერია მაშინ დაფიქსირდა, როცა ქულებს ფინიშზე ექვსი ან რვა პილოტი იღებდა და არა ათი, როგორც დღეს არის.

- პირველად კარიერაში **მიხაელ შუმახერმა** ვერ შეძლო ზედიზედ ოთხ რბოლაში ქულის მოპოვება.

კალათბურთი

# რუსეთი ბლატის გარეშე დარჩა


დევიდ ბლატი

რუსეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დევიდ ბლატმა** უარი თქვა რუსეთის კალათბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის გაფორმებაზე და დატოვა თავისი პოსტი. როგორც რუსული პრესა წერს, 53 წლის ამერიკელი სპეციალისტის წასვლის მიზეზად დაღლილობა გამოცხადდა. ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის დევიდ ბლატს.

ამ მწვრთნელმა რუსეთის ნაკრები 2006 წელს ჩაიბარა. 2007 წელს, გუნდმა მისი ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა, თუმცა შემდეგი რამდენიმე წელი სერიოზული წარმატებისთვის არ მიუღწევია. 2010 წელს ბლატმა განაცხადა, რომ რუსეთის ნაკრების დატოვება სურს, მაგრამ ფედერაციის ხელმძღვანელობამ გადააფიქრებინა ამის გაკეთება.

ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე, რუსეთის ნაკრებმა ბლატის ხელმძღვანელობით ბრინჯაოს მედალი მოიგო, 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიადაზე კი გუნდმა ნახევარფინალამდე მიაღწია და იქ ესპანეთთან დამარცხდა, მესამე ადგილისთვის მატჩში კი არგენტინა დაამარცხა.

ამბები

კალათბურთი

## მანუ სეზონს ვერ დაიწყებს

„სანანტონიოსპურსის"მცველი **მანუ ჯინობილი** NBA-ის ახალი სეზონის სტარტს ზურგის ტრავმის გამო გამოტოვებს. 31 ოქტომბერს, „სპურსი" პირველ მატჩს „ნიუ ორლეანის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

*„ის არ გაემგ ზავრება გუნდთან ერთად ნიუ ორლეანში. მანუ კვლავაც გრძნობს დისკომფორტს ზურგის არეში. მას სურდა დღეს გუნდთან ერთად ვარჯიში, მაგრამ ვერ შეძლო. ხუთშაბათს, ახალ ტესტებს ჩაუტარებენ და მაშინ მივხვდებით, მოახერხებს თუ არა მოედანზე დაბრუნებას"*, - განაცხადა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა.**

ველოსპორტი

## უიგინსი წლის მრბოლელია

ბრიტანული საჯინიბოს Sky-ის ლიდერი **ბრედლი უიგინსი** წლის საუკეთესო ველომრბოლი გახდა - მას ტრადიციული პრიზი „ოქროს ველოსიპედი" (Velo d'Or) გადაეცა.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში ბრიტანელმა ველომრბოლმა მოიგო ტურ დე ფრანსი და ლონდონის ოლიმპიადა დროზე განცალკევებით რბოლაში.

გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა „ომეგას" წევრმა **ტომ ბოონენმა,** მესამე - „კატუიშას" ესპანელმა ლიდერმა **ხოაკინ როდრიგესმა.**

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

TV პროგრამა

**31 ოქტომბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXIII ტური. ინტერნასიონალი-პალმეირასი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. შტუტგარტი-აინტრახტი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. ასტონ ვილა-ნორვიჩი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. აუგსბურგი-ჰამბურგი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტურის მიმოხილვა.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. IX ტური. ფრაიბურგი-დორტმუნდი.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXIII ტურის მიმოხილვა.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური. ჩელსი-მანჩესტერ იუნ.
00:00 არგენტინის ჩემპიონატი. XII ტური. რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ქუინზ პარკი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ბოსტონი.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ალსტერი-კასტრი.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ვალენსია. ესპანეთი. მიმოხილვა.
21:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. უნგრეთის დიდი გუნდი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
23:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ბოსტონი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).

**I არხი**

17:55 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. დინამო-მეტალურგი (LIVE).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი — ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| ლიდსი-საუთჰემპტონი | | 3:0 |
| რედინგი-არსენალი | 4:4 დ.დ. | 5:7 |
| სანდერლენდი-მიდლსბრო | | 0:1 |
| სუინდონი-ასტონ ვილა | | 2:3 |
| უიგანი-ბრედფორდი | 0:0 პენ. | 0:1 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| ჰეროგეიტი-ჰაიდი | გადაიდო |

**იტალია**

| | |
|---|---|
| პალერმო-მილანი | 2:2 |

**სერია B**

| | |
|---|---|
| ტერნანა-სასუოლო | 1:3 |
| ასკოლი-ნოვარა | 2:0 |
| ბარი-ემპოლი | 2:3 |
| ჩეზენა-გროსეტო | 3:2 |
| ჩიტადელა-ბრეშა | 1:1 |
| კროტონე-ვერონა | 3:3 |
| იუვე სტაბია-რეჯინა | 1:0 |
| მოდენა-პადოვა | 0:0 |
| პრო ვერჩელი-სპეცია | 1:0 |
| ვარეზე-ვიჩენცა | 1:1 |
| ლანჩანო-ლივორნო | 1:1 |

**ესპანეთის თასი — 1/16 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ლაგოსტერა-ვალენსია | 0:2 |
| ალავესი-ბარსელონა | 0:3 |

**გერმანია — რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| სტ. პაული II-მეპენი | 0:4 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი II-ჰაიმშტეტენი | 1:2 |

**გერმანიის თასი — 1/16 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| ბერლინერი-მიუნხენი | | 0:3 |
| ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი | | 0:2 |
| მუნსტერი-აუგსბურგი | | 0:1 |
| ვორმატია-კიოლნი | 0:0 პენ. | 0:1 |
| მაინცი-აუე | | 2:0 |
| შალკე-ზანდჰაუზენი | | 3:0 |
| ჰაველსე-ბოხუმი | | 1:3 |
| აალენი-დორტმუნდი | | 1:4 |

**საფრანგეთი — ლიგის თასი. 1/8 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| სოშო-სტ. ეტიენი | | 0:3 |
| მონაკო-ტრუა | | 1:2 |
| რენი-არლი | | 1:0 |
| ლილი-ტულუზა | 0:0 დ.დ. | 1:0 |

**ჰოლანდიის თასი — 1/16 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| გრააფსხაპი-იგლზი | | 0:3 |
| ადო 20-ეინდჰოვენი | | 6:0 |
| კამბური-ტელსტარი | 1:1 პენ. | 2:1 |
| დორდრეჰტი-შევენინგენი | | 2:1 |
| რიინსბურგსი-ემენი | 0:0 პენ. | 1:0 |
| გრონინგენი-დენ ჰააგი | | 1:0 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ანდერლეხტი-გენტი | 5:0 |

**შოტლანდია — ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| აბერდინი-სტ. მირენი | 2:2 პენ. | 3:2 |
| სელტიკი-სტ. ჯონსტონი | | 5:0 |

**ავსტრიის თასი — 1/8 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| შტურმი-ტიროლი | | 1:2 |
| ლუშტენაუ-პელეტსი | | 1:2 |
| პაშინგი-ავსტრია (ქ) | | 2:1 |
| ლინცი-მატერსბურგი | 2:2 პენ. | 3:2 |
| ვინერი-რიდი | | 0:1 |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| თეფეჩიქი-გენჩლერი | 1:3 |
| ძონია-ბელედიე | 0:3 |

**ირლანდია — პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| დანდალკი-უოტერფორდი | 2:2 |

**უელსი — ლიგის თასი. 1/4 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| ბალა-ტნს | | 2:3 |
| კარმარტენი-პორტ ტელბოტი | | 3:2 |
| ძონექსი-ეირბასი | 1:1 დ.დ. | 1:3 |

**რუსეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ურალი-მეტალურგი | 6:0 |
| უფა-ვოლგარი | 1:1 |
| ბალტიკა-სალუტი | 2:0 |

**რუსეთის თასი — 1/8 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| ენისეი-სკა ენერგია | | 1:0 |
| მორდოვია-ზენიტი | | 0:2 |
| ყუბანი-კრასნოდარი | | 1:0 |
| როსტოვი-სპარტაკი | 0:0 პენ. | 1:0 |

**ხორვატიის თასი — 1/8 ფინალი**

| | | |
|---|---|---|
| დინამო-ზადარი | 2:2 დ.დ. | 2:3 |
| ზაგრები-შელინა | | 1:2 |
| ლოკომოტივა-ლიბერტასი | | 3:2 |
| ოსიეკი-ისტრა | 1:1 დ.დ. | 3:2 |
| სლავენი-კოპრივნიცა | 0:0 დ.დ. | 2:0 |

**ბულგარეთის თასი — 1/16 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| ბანსკო-ვიდიმა | 6:1 |
| ევროკოლეჯი-ბოტევი | 0:3 |
| სპარტაკი-რაკოვსკი | 2:2 |

**საბერძნეთის თასი**

| | |
|---|---|
| პანსერაიკოსი-ოდისეასი | 2:1 |
| ანაგენისი-ნიკი ვოლუ | 0:1 |

**რუმინეთის თასი — 1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| ასტრა-ტურნუ | 5:1 |
| ბრაშოვი-პეტროლული | 0:2 |
| რაპიდი-დელტა | 4:1 |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| ინტერი-განჯა | 3:1 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| სლოვანი-სიბირი | 6:2 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ვილახი-ინსბრუკი | 8:5 |
| ზალცბურგი-ვენა | 4:0 |
| კლაგენფიურტი-დორნბირნი | 4:2 |
| ლინცი-გრაცი | 5:2 |
| ზაგრები-ზნოიმო | 8:4 |
| ოლიმპია-ალბა | 3:4 |

**დანია**

| | |
|---|---|
| როდოვრე-კოპენჰაგენი | 4:3 (ო) |
| ჰერლევი-ფრედრიკშავენი | 4:3 (ო) |
| ჰერნინგი-ოდენსე | 1:2 |
| ესბერგი-სენდერიისკი | 2:4 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-პოპრადი | 3:4 |
| ჟილინა-სკალიცა | 2:4 |
| მარტინი-კოშიცე | 1:7 |
| ნიტრა-ზვოლენი | 1:5 |
| ტრენჩინი-პიესტანი | 1:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ჰამეენლინა | 2:3 (ო) |
| კალპა-საიპა | 2:3 |
| ლუკო-ტაპარა | 0:5 |
| პელიკანსი-ტპს | 1:3 |
| ჰიფკ-იუვიასკიულა | 3:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ბრნო | 3:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბერნი-ფრიბურგი | 6:2 |
| დავოსი-ციურიხი | 5:1 |
| კლოტენი-ამბრი | 6:2 |
| ლანგნაუ-რაპერსვილი | 5:1 |
| ლუგანო-სერვეტი | 3:4 |
| ცუგი-ბილი | 7:4 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ვექსიო-შელეფტეო | 1:2 (ო) |
| ლინჩოპინგი-ჰ371 | 0:5 |
| მოდო-ფერიესტადი | 0:2 |
| როგლე-ბრიუნესი | 5:4 (ო) |
| ტიმრა-ლულეო | 1:0 (ბ) |

**ჩოგბურთი**

**ATP. ვალენსია**

| | |
|---|---|
| დიმიტროვი-მელცერი | 7:6, 6:2 |
| შარდი-გარსია ლოპესი | 6:0, 6:3 |
| მატიო-ბაუტისტა აგუტი | 6:4, 7:5 |
| ჩილიჩი-იანოვიჩი | 6:7, 2:6 |
| კუერი-ვერადსკო | 6:1, 6:1 |
| ნიშიკორი-პერი | 7:6, 6:2 |
| ვავრინკა-ბერლოკი | 6:3, 6:2 |
| ცონგა-ბენეტო | 6:2, 4:6, 7:6 |

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 23 | (მზე) |
| ქუთაისი | 16 | 25 | (მზე) |
| ბათუმი | 17 | 21 | (მზე) |
| ფოთი | 14 | 22 | (მზე) |
| ზუგდიდი | 12 | 25 | (მზე) |
| გორი | 4 | 21 | (მზე) |
| თელავი | 8 | 24 | (მზე) |
| სიღნაღი | 7 | 23 | (მზე) |
| ბაკურიანი | 4 | 19 | (მზე) |
| ბორჯომი | 3 | 21 | (მზე) |
| მესტია | 2 | 17 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1509 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6607 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6671 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2678 |

# ვუდსი ისევ პირველია


ტაიგერ ვუდსი

**საყოველთაოდ ცნობილმა ჟურნალმა Forbes-მა გამოაქვეყნა 40 ყველაზე ძვირფასი სპორტული ბრენდის სია. ეს მასალა - სპორტსმენთა კომერციული ფასების შესახებაა. ამა თუ იმ სპორტსმენის, როგორც ბრენდის ღირებულების გამოსაყვანად, ავტორიტეტულმა გამოცემამ ამ ათლეტის მთლიან სასპონსორო შემოსავალს სპორტის ამავე სახეობაში ათი საუკეთესო სპორტსმენის შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი გამოაკლო. შედეგად ასეთი სურათი მივიღეთ.**

**1. ტაიგერ ვუდსი. ბრენდის ღირებულება - $38 მლნ**

მსოფლიოში ყველაზე ცნობილმა გოლფისტმა რამდენიმე სპონსორული კონტრაქტი დაკარგა პრესაში ატეხილი ხმაურის გამო, რომელიც მეუღლის ღალატსა და შემდგომ გაყრას მოჰყვა. რეპუტაციაშელახულ **ვუდსთან** ურთიერთობა აღარ მოისურვეს TAG Heuer-მა, Gillette-მა და სხვებმა. ასევე არ აეწყო საქმეები ვუდსის კუთვნილ კომპანიას, რომელიც გოლფის მოედნების დიზაინით იყო დაკავებული.

მიუხედავად ამისა, ტაიგერმა შეძლო Nike-თან სასპონსორო კონტრაქტის შენარჩუნება. ეს კომპანია გაყიდვებიდან გარკვეულ პროცენტს ურიცხავს სპორტსმენს. ეს საშუალებას აძლევს ვუდსს დარჩეს ლიდერად ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენებს შორის.

**2. როჯერ ფედერერი. ბრენდის ღირებულება - $29 მლნ**

სპონსორების შთამბეჭდავი ჯგუფი, რომელშიც შედიან - Nike, Rolex, Wilson და Credit Suisse. მათ ჩოგბურთელს ბოლო 12 თვის განმავლობაში 45 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ერთ საგამოფენო ტურნირზე შვეიცარიელის გამოჩენა ორგანიზატორებს ერთი მილიონი უჯდებათ. ამასთან, **ფედერერის** საერთო შემოსავლის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს კორტზე გამომუშავებული საპრიზო თანხები.

**3-5. ფილ მიკელსონი. ბრენდის ღირებულება - $26 მლნ**

კომპანიებმა Callaway-მ, Barclay's-მა, KPMG-მ, Exxon-მა, Rolex-მა და Amgen/Pfizer-მა თანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმად, **მიკელსონს** ბოლო ერთი წლის განმავლობაში 37 მილიონი გადაუხადეს. და ვერ ვიტყვით, რომ ეს დაუმსახურებლად მოხდა. მაისში 42 წლის გოლფისტმა კარიერაში მე-40 გამარჯვებას მიაღწია PGA-ის ტურში, ჯამში 68 მილიონი დოლარის ოდენობის საპრიზო თანხა (მეორე შედეგი ვუდსის შემდეგ) გამოიმუშავა, შეიყვანეს გოლფის დიდების დარბაზში... მიკელსონმა კიდევ უფრო მეტი პატივისცემა დაიმსახურა გულშემატკივრებს შორის მას შემდეგ, რაც 2010 წელს დასმული დიაგნოზის - ფსორიატიული ართრიტის მიუხედავად, კარიერა გააგრძელა. სხვათა შორის, ფილმა თავისი ავადმყოფობისგანაც ნახა სარგებელი - გახდა პრეპარატ Enbrel-ის სახე.

**3-5. დევიდ ბექჰემი. ბრენდის ღირებულება - $26 მლნ**

37 წლის **დევიდი**, როგორც ფეხბურთელი ის აღარაა, რაც ადრე იყო, მაგრამ, როგორც სარეკლამო ბრენდს, მას ცოტა ვინმე თუ შეედრება. მრავალრიცხოვან კომერციულ პარტნიორებს, რომლებმაც გასულ წლის განმავლობაში ბექჰემს 40 მილიონი გადაუხადეს, ცოტა ხნის წინ დაემატნენ - Burger King, Sainsbury's და Samsung.

ბექჰემი - ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამასწინანდელმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მისი სათამაშო მაისურები ოკეანის გაღმა ყველაზე წარმატებულად იყიდება. უფრო მეტი კაპიტალის მოსახვეჭად, ბექჰემმა 2012 წელს, H&M-თან ერთად დაიწყო საცვლების საკუთარი ხაზის წარმოება.

**3-5. ლებრონ ჯეიმსი. ბრენდის ღირებულება - $26 მლნ**

NBA-ის სამგზის უძვირფასესი მოთამაშე და კომერციულად ყველაზე წარმატებული კალათბურთელი თანდათან იპყრობს მსოფლიოს. ის არა მარტო „მაიამის" დაეხმარა ფინალურ სერიაში „ოკლაჰომას" დამარცხებაში, არამედ 2012 წელს ამერიკის ნაკრებს ლონდონის ოლიმპიადა მოაგებინა. შარშანდელთან შედარებით, „ლებრონ ჯეიმსის" ბრენდის ღირებულება 6 მილიონი დოლარით გაიზარდა. ისეთ გიგანტებთან კონტრაქტები, როგორებიც არიან Nike, McDonald's, Coca-Cola და State Farm, ყოველწლიურად მოთამაშის საბანკო ანგარიშს 30 მილიონი დოლარით ავსებს.

**6. კობი ბრაიანტი. ბრენდის ღირებულება - $18 მლნ**

**კობი** მესამე ადგილზეა იმ კალათბურთელებს შორის, რომლებიც ყველაზე ხშირად მონაწილეობენ „ყველა ვარსკვლავის მატჩში", მისი სათამაშო მაისური კი NBA-ის ყველაზე პოპულარული საქონელი იყო მთელ მსოფლიოში. მეუღლესთან დაშორება აუცილებლად დაეტყობა ბრაიანტის იმიჯს, მანამდე კი კობი დანაკარგებს ითვლის: **ვანესა** წავიდა და თან გაიყოლა კალიფორნიაში სამი სახლი საერთო ღირებულებით - 18.8 მილიონი დოლარი. ეს თანხა დაახლოებით ნახევრია ბრაიანტის წლიური სარეკლამო შემოსავლებიდან, რასაც უზრუნველყოფს კონტრაქტები Nike-თან, Smart Car-თან, Turkish Airlines-თან და სხვებთან.


ლებრონ ჯეიმსი


დევიდ ბექჰემი

**7-8. უსაინ ბოლტი. ბრენდის ღირებულება - $17 მლნ**

ლონდონის ოლიმპიადის მთავარმა ვარსკვლავმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში 20.3 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ეს 20-ჯერ მეტია ნებისმიერი ელიტური სპრინტერის შემოსავალზე. **ბოლტს** ყველაზე მსხვილი კონტრაქტი Puma-სთან აქვს, რომელიც იამაიკელს ყოველწლიურად 9 მილიონს უხდის.

სპონსორებმა უსაინზე ნადირობა პეკინის ოლიმპიადის შემდეგ დაიწყეს. მაშინ ბოლტთან სარეკლამო კონტრაქტები გააფორმეს - Gatorade-მა, Hublot-მა და Virgin Media-მ. წელს, ბოლტმა თანამშრომლობა დაიწყო Soul Electronics-თან და ყურსასმენების საკუთარი ხაზი გამოუშვა. ივნისში კი სპონსორების სიას შეემატა კომპანია Nissan Motor.

**7-8. მაჰენდა სინგხ დონი. ბრენდის ღირებულება - $17 მლნ**

კრიკეტში ინდოეთის ნაკრების კაპიტანი 2011 წელს, ჟურნალ Time-ის ვერსიით, მსოფლიოში 100 ყველაზე გავლენიან ადამიანთა სიაში შევიდა. კომპანია United Breweries-თან სამწლიანი კონტრაქტის თანახმად, დონი ყოველწლიურად ორ მილიონ დოლარს იღებს - ეს არის ყველაზე დიდი თანხა, რაც კი ოდესმე ინდოელ სპორტსმენს მიუღია. 2012 წელს **დონის** დაახლოებით ოცამდე სპონსორი უჭერდა მხარს.

**9. კრისტიანო რონალდო. ბრენდის ღირებულება - $11 მლნ**

**რონალდოს** სპორტსმენებს შორის Facebook-ზე ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია ჰყავს და სწორედ კრისტიანო უნდა დავასახელოთ ყველაზე გლობალურ სპორტულ ბრენდად, მაგრამ მისი კოლეგების უდიდესი სასპონსორო კონტრაქტების გამო, პორტუგალიელს მეცხრე ადგილით დაკმაყოფილებამ მოუწია. Nike-სთან, Castrol-სთან, Konami-სთან და სხვა კომპანიებთან სპონსორულ ხელშეკრულებებს მისთვის წელიწადში 22 მილიონი დოლარი მოაქვს.

**10. საჩინ ტენდულკარი. ბრენდის ღირებულება - $10 მლნ**

ტენდულკარს კრიკეტის ისტორიაში უდიადეს ბეტსმენად მიიჩნევენ. გასულ წელს, მან სპონსორული ხელშეკრულებებით 16.5 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, მაგრამ ეს თანხა უფრო მეტი იქნებოდა, საჩინს სიგარეტისა და ალკოჰოლის რეკლამაზე უარი რომ არ ეთქვა. მის სპონსორებს შორის არიან - Adidas, Coca-Cola, Castrol და Toshiba.




## ამბები

**ჰოკეი**

### ლოქაუტს ბოლო არ უჩანს

ბოლო ორი კვირაა, ჰოკეის ეროვნული ლიგა და პროფკავშირი მხოლოდ სატელეფონო რეჟიმში ურთიერთობენ და ამ დროის განმავლობაში, ერთხელაც არ ჰქონიათ პირადი შეხვედრა.

„ჩვენ მზად ვართ შეხვედრისთვის და ყველა ვარიანტის განხილვისთვის - მათ შორისაა NHL-ის ბოლო შემოთავაზებაც. სხვა საქმეა, რომ ლიგას სურს მხოლოდ დღის წესრიგით შეხვედრა, თანაც ის მათივე შედგენილი უნდა იყოს", - ამბობს პროფკავშირების თავმჯდომარე **დონ ფერი**.

შეგახსენებთ, რომ NHL მოლაპარაკებების გაგრძელების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ **გარი ბეტმენს** ზუსტად სურს იმის ცოდნა, რას განიხილავენ შეხვედრაზე.

ამასობაში, ხუთშაბათს ან პარასკევს NHL „ზამთრის კლასიკის" გაუქმებას გამოაცხადებს.

**ჩოგბურთი**

### კიმს ბოლოჯერ ვნახავთ

12 დეკემბერს, ბელგიელი **კიმ კლაისტერსი** თავის გამოსათხოვარ შეხვედრას ჩაატარებს. ის ბელგიის ქალაქ ანტვერპენში ამერიკელ **ვენუს უილიამსს** შეხვდება.

კიმმა კარიერა ოფიციალურად სექტემბერში, აშშ-ის ღიას შემდეგ დაასრულა, მაგრამ ორშაბათს, საკუთარ ვებგვერდზე დაწერა, რომ გამოსათხოვარი მატჩის გამართვა სურს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გოტფრიდ ლენცი**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608